ახალგაზრდული

ლიტერატურული ჟურნალი

№2, 2013



პეტრე ხვედელიძის დაბადებიდან 95 წლის იუბილე

მხატვარი ცისანა ჯანაშვილი

უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ ჩვენს თანამემამულეს, ფრანგული და ამერიკული ემიგრაციის პატრიარქს, „კბილ ყმას“, „უსენაესის მოციქულს“, „უხუცეს რაინდს“, „ემიგრაციის მემატიანეს“, „ღვთის რჩეულს“, „ბიბლიურ კაცს“ – ბატონ პეტრე ხვედელიძეს დაბადებიდან 95-ე წელს. ბატონო პეტრე, გვეამაყება თქვენ მიერ სპეტაკად განვლილი ცხოვრების გზა, ერთგულება, თავდადება, პატიოსნება, ქეშმარიტი მამულიშვილობა... თქვენ ბრძანდებით წმინდა სანთელი, რომელიც ინვის მხოლოდ იმისათვის, რომ სხვა გაათბოს და გზა გაუნათოს... ვისურვებთ დღეგრძელობასა და უფლის მფარველობას! და, კვლავაც მრავალთათვის დაგვბრუნებინოთ ქართული ღირსება, ჩვენი ქვეყნის გადარჩენისა და მომავლის იმედი. იხარეთ და იბედნიერეთ მრავალჟამიერ!

ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ტატა გედევანიშვილი,
მამული ზაქრაძე, თინა კავსაძე, რუსუდან კობახიძე,
გულბაათ ტორაძე, ერეკლე უგრელიძე, რუსუდან ქუთათელაძე,
თამარ შაიშმელაშვილი, თამარ წულუკიძე, დოდო ხიმშიაშვილი,
ივანე ჭაფარიძე, მზია ჭაფარიძე, სოფიო ჭაფარიძე,
სოფიკო ჭერვალიძე, ნინო ჩხიკვიშვილი, გიორგი მელუა,
მურთაზ ჭიშკარიანი, ჭუმბერ ჭიშკარიანი.

25. 06. 2013 წელი

ანეული

№ 2. ივნისი. 2013 წელი

ლიტერატურული ეჩინარი

ჯუბა ლებელი ადამიანისმაგვართა 3
შესავალი
ქართული მწერლობა მშვენიერების სამსახურში უნდა ჩადგეს... 4
პოეზია თამილა ჯაფარიძე 6
პროზა
თამაზ ხმალაძე აღსარება 9
ბია ხოფერია ანა კარენინა და ბებიაჩემი 12
პოეზია
ნინო ჟათათელაძე 15
ბიოჩბი მელუა 16
პროზა
ალეკო ნინილაშვილი (თოვლის ბასი) ფერფლის კუზი 18
ერთი ლექსი ლეილა ჯახველაძე ნეტავ იმას... 21
ნინო ტარყაშვილი ცრემლი 22
კლასიკოსის არქივიდან
ბონსტანტინე ბამსახურდია მგლური მეგობრობა 25
პროზა თეა ლომაძე ავტორის ამბავი 26
ენა და გლოსალიზაცია
დედამიწა არასოდეს იქნება ნაცრისფერი... 30
რექისორის არქივიდან 33
მოგონებანი გარდასულ დღეთა
თეიმურაზ პეტრიაშვილი „საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა სვანეთი“ 35
საოჯახო არქივიდან
სამშობლოს მოწყვეტილი მამულიშვილები 39
პოეზია მერი ბინაძე 41
პუბლიცისტის ჩანაწერები
ჯემბერ ჯიშკარიანი ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან 45
პოეზია თამარ შაიშმელაშვილი 50
მკითხველის შთამბეჭდილება
ლეილა ქიტოშვილი- სახლთხესიშვილი შეულამაზებელი სიმართლე სჯობს... 51
პოეზია თამაზ ჩადუნელი 57
მცირე პროზა
ემზარ ხვიტარიშვილი ძველი რვეულიდან 58
ლიტერატურული კრიტიკა
შოჩენა ჟერთიშვილი მარადიული წიგნი 61
ჩვენი პატარებისათვის
ინგა მილოჩავა მოქარგული ხელსახოცი 63
ქართული სული
ბონსტანტინე ბაბანელი ქართული ტიპი 66
თარგმანი
ინგლისური პოეზია (**თარგმნა ირმა ჯანგირაშვილმა**) 68
ანა ახმატოვა (**თარგმნა ნანა ღვინეფაძემ**) 69
ფრანც კაფკა (**თარგმნა ხათუნა პატაშურმა**) 71
თამარ ბაბალოშვილი თამაში მზეზე – იქ,სადაც ცა-მეტია 72
დემიული
თოხნიერ ნარიოზაული ლექსები 77
სხვენის კანდელი
ლეილა ქიტოშვილილი მზე აცილებდა 80
მონატრება
ნინო ზედელაშვილი მოგონებები გოდერძი ჩოხელზე 83

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახსებული
redaqtiaturaში გაერთიანება:

თამარ მიქაძე
ლეილა ქიტოშვილი -
სახლთხუცესი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ ხმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ღებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი redaქტორი

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი redaქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოჩბი ზუჩებიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გოჩა სოზიაშვილი

გარეკანზე: ბიოჩბი მეცხეს ნახატი „თეთრი ჯაღა“

redaქციის ტელეფონი: 551 00 50 58

redaქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

ჯუბა ღებელი

ადამიანისმაგვართა...

მინაწერი ლევან ბებურიშვილის წიგნზე – „მწერლობის მოთვინიერება გრძელდება“

შენ როცა გიჭირს, მამულო,
მეც, რა თქმა უნდა, ავად ვარ,
ბედნიერება მაოცებს
ადამიანისმაგვართა...

ნისლებში მოსჩანს მერმისი,
წარსული ხსოვნას ჩაბარდა,
აწმყოში ზეობს ლექს-ლიბრი,
ადამიანისმაგვართა...

ჯერ კიდევ ნაგვის ურნებში
ვეძებთ საკვებს და სამართალს,
ხორცს მიძიძგნიან სულები,
ადამიანისმაგვართა...

„ცუდას რად უნდა მტერობა“ –
თავის დასაცავ აბჯრად მაქვს
და მიდის სირთა სერობა,
ადამიანისმაგვართა...

ვის გავას მთვარემ აკოცა,
ვინ დედას ნამუსს თავად ხდის
და წერენ „ანტიტყაოსანს“
ადამიანისმაგვარნი...

ზოგს ცოლის საშო უყვავის,
„ზოგს ფეხებშუაგაჩრილი“,
ზეობენ წიგნის ყუაში
ადამიანის აჩრდილნი...

ზოგებმა ღმერთსაც შეჰბედეს,
საფლავზე მოსულ ყოილთაც,
ჩემო სამშობლოვ, შენს შემდეგ
ქვა ქვაზეც ნუღარ ყოფილა!..

„წყალნი წავლენ და წამოვლენ“,
თქვენ ჩარადელნი* ჩარჩები
უფლის ბოძებულ ამ სოფელს
ქვიშადაც არსად დარჩებით...

ადამიანში ღმერთია,
ღმერთშია მთელი სამყარო,
თქვენში ვინ არის, თქვენ ვინ ხართ,
ადამიანისმაგვარნო?!.

რა დედამ გშობათ, ან და რა
შვილები უნდა დაზარდოთ,
ადამიანისმაგვართა,
ადამიანისნაგვარნო?!.

შენ როცა გიჭირს, მამულო,
მეც, რა თქმა უნდა, ავად ვარ,
ბედნიერება მაოცებს
ადამიანისმაგვართა...

---

* ჩარადელნი – სენი, პირის-სახეთ გა(ნ)მრყვნელი *(სულხან-საბა)*

ქართული მწერლობა მშვენიერების სამსახურში უნდა ჩადგეს...

ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ თაოსნობით, მწიგნობართა ასოციაციაში გაიმართა შეხვედრა ახალგაზრდა კრიტიკოსთან – ლევან ბებურიშვილთან, რომელიც ავტორია წიგნისა „მწერლობის მოთვინიერება გრძელდება“.

შეხვედრა გახსნა და ახლად გამოცემული წიგნის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა „ანეულის“ რედაქტორმა თამარ შაიშმელაშვილმა. მთავარი მოხსენებით პოეტი ნინო ტარყაშვილი გამოვიდა. მისი თქმით, ლევან ბებურიშვილის წიგნი იმ დიდი ტკივილით დაწერილია, რამაც ახალგაზრდა ადამიანს კალამი ააღებინა.

„წიგნში „მწერლობის მოთვინიერება გრძელდება“, რომლის სათაურიც აკაკი ბაქრაძის წიგნის „მწერლობის მოთვინიერება“ მიხედვით შეირჩა, იგრძნობა ილიასეული ხელწერა. მწერალი მსჯელობს ზოგადად საჭირბოროტო პრობლემებზე, მისი წარმოშობის მიზეზებზე, ხელშემწყობ პოლიტიკურ გარემოზე და შემდეგ მოჰყავს კონკრეტული მაგალითები იმ მწერალთა შემოქმედებიდან, რომელთათვისაც დიდი ხანია აღარ არსებობს მორალური და ეთიკური ჩარჩოები. უფრო სწორად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისინი რაღაც ამორალურ მორალს ამკვიდრებენ. მხატვრულ ტექსტებში ყველაფრის აღწერილობას დასაშვებს ხდიან, იმისასაც, რისი გაფიქრებაც ზარავს ნორმალურ ადამიანს, ან რომელი ცოდვის შესახებაც მან უბრალოდ არც კი იცის. ასე დგება ქართული მწერლობა ცოდვის და არა მშვენიერების სამსახურში“.

ნინო ტარყაშვილმა დასძინა, რომ ლევან ბებურიშვილის გამოკვლევა ის წიგნია, რომლის დაწერაც აუცილებელი იყო. ეს არის ყველაზე საჭირო წიგნი ლიტერატურულ ცხოვრებაში თუნდაც ბოლო ოცი წლის მანძილზე, რადგან დღეს საქართველოს ზნეობრივი სიმტკიცე უფრო სჭირდება, ვიდრე ვინმეს თუნდაც „ლამაზი“ ლექსებიო... თუმცა, აქაც კი შეიძლება დაისვას კითხვა: ყველაფერი, რასაც დღეს „ლამაზს“ ვუწოდებთ, მართლა ისეთი ლამაზია, როგორც გვეჩვენება?

ლევან ბებურიშვილს წიგნის გამოსვლა მიულოცეს: გურამ პეტრიაშვილმა, რობერტ პეტრიაშვილმა, ციალა არდაშელიამ, მანანა კვაჭაძემ, აკაკი ბრეგაძემ,

გურამ ყორანაშვილმა, ცირა ყურაშვილმა, ზურაბ აბაშიძემ, ჯუმბერ ჯიშკარიანმა, თამილა ნიჟარაძემ, მაია ბერიძემ... მათი აზრით, საკითხი ღრმად და ზუსტად არის განხილული, ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა მოდუნებულია, გაზეთი და ჟურნალი არ არის, სადაც ამ თემაზე აზრს გაბედულად გამოხატავენ. ლევანის წიგნს თავდაპირველად ემზარ კვიტაიშვილი გამოეხმაურა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, ხოლო ჟურნალ „ამერ-იმერში“ თითქმის მთლიანად დაიბეჭდა და სხვადასხვა რეგიონში ასეც გავრცელდა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის თამარ მიქაძის თქმით, ნათებას ჰგავს წიგნის ავტორთან შეხვედრა: „ვუერთდები საერთო მოწონებას. ძალიან კარგად გავეცანი წიგნს. მეტსაც გეტყვით, ორჯერ წავიკითხე. ამ თემაზე სხვა წიგნიც მინახავს, მაგრამ რითი განსხვავდება ლევან ბებურიშვილის ეს წიგნი? აქ სრულყოფილი ანალიზია. ვისურვებდი, მაგალითი აიღონ სხვებმაც, უფროსმა თაობამაც. შეიძლება ისიც ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა ადამიანისგან უნდა წამოსულიყო ინიციატივა. ლიტერატურული ცხოვრება ყოფის ნაწილია, ვფიქრობ, საზოგადოებრივი აზრი უნდა გაძლიერდეს, რომ ერთი მუჭა ადამიანებმა ვეღარ გაბედონ თავისი აზრის ხელაღებით თავს მოხვევა“.

თამარ მიქაძემ გაიხსენა ნიკოლოზ ყიფიანის ვაჟის, მოღვაწისა და რჩეული პიროვნების წერილი ქალიშვილისადმი ბრიუსელში: „შვიდი ენა იცოდა მამამ, შვიდი ენა – შვილმა. ცოტა მეტი სიღრმე ჰქონდათ მე-19 საუკუნეში, ვიდრე დღეს ამ საცოდავ ადამიანებს აქვთ. ნიკოლოზ ყიფიანი წერს ქალიშვილს, ევროპამ თავბრუ არ დაგახვიოს, შენ ბევრი კარგი აიღე, მაგრამ არ დაგავიწყდეს, გახსოვდეს, რომ ქართველი ხარო. აი ეს არის ამოსავალი, რითიც უნდა ვიხელმძღვანელოთ მომავალში“.

ელგუჯა ლებანიძის თქმით, ბატონი ლევანის ამ გამოსვლამ შედეგი უკვე მოიტანა და ბევრი ადამიანის აზროვნება რადიკალურად შემოატრიალა.

იკა ქადაქიძემ ლევანის ნაშრომს იმ კატეგორიის წიგნი უწოდა, რომელიც უნდა განხილულ იქნას ძალიან სერიოზულად. „ლევან ბებურიშვილი სერიოზული კრიტიკოსია, რადგან სერიოზულად აანალიზებს ქართულ სატკივარს და წერს იმ გამომცემლობების დანაშაულებრივ საქმიანობაზე, რაზეც ჩვენი კომფორმისტული საზოგადოება მუდამ დუმდა... კარგია, რომ ლევანმა ამ ყველაფერს სისტემური სახე მისცა. ეს რომ ლევანს არ გაეკეთებინა, ჩვენი საზოგადოება იყო იმ მდგომარეობაში, რომ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკასავით ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ამაზე არავინ არ საუბრობდა“...

ლევან ბებურიშვილის თქმით, ეს წიგნი 6 თვის განმავლობაში იწერებოდა: „ზოგი დაინტერესდა, ვინმემ ხომ არ მომცა რჩევა, ბიძგი, რომ ეს დამეწერა. არავის არ მოუცია რჩევა, თავად მომაფიქრდა. ცხადია, წაკითხული მქონდა აკაკი ბარაძის „მწერლობის მოთვინიერება“, როდესაც თანამედროვე ტექსტებს ვკითხულობდი, იმდენად აშკარა პარალელების დაჭერა შეიძლებოდა, თუ როგორ ხდება ხელოვნების იდეოლოგიზება, გადავწყვიტე მასალების შეგროვება და მცირე წიგნაკის სახით მკითხველისთვის მიწოდება. არავის ამ წიგნის დაწერა არ ურჩევია, პირიქით დამიშალეს კიდეც გამოქვეყნება. ზოგიერთმა ჩემმა პროფესორმა, რომლებიც დღედაღამ სარწმუნოებაზე და ეროვნულობაზე ღაღადებენ, მითხრეს: ახალგაზრდა ხარ, უნდა დამკვიდრდეო. სხვათა შორის რამდენიმე ადამიანმა უარი მითხრა რედაქტორობაზეც. დაბოლოს, ქალბატონმა რუსუდანმა თავს იდო ეს საქმე და ამისთვის მას უღრმესი მადლობა ეკუთვნის“.

შეკრებილთ ერთხმად აღნიშნეს, რომ წიგნი უწინარესად კულტურის სამინისტროში უნდა წიკითხონ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დააფასონ, რაც მართლა ფასეულია და ნამდვილ ლიტერატურას განეკუთვნება.

თამილა ჯაფარიძე

აგვისტო 2008

იყოს ნამდვილი სინამდვილე,
როგორიც ღმერთი...
თეთნულდის ძირში სახლი გვედგას,
მაჩუბის გვერდით,
იალაღებზე გვყავდეს ხარები,
შვილებს ათივეს ჰქონდეთ შენი
ლურჯი თვალები....
სამასმეათე არაგველის დედა ვიყო,
მოშურნეც მყავდეს...
სწვავდეთ მამული, დედულეთი,
ცოლები ჰყავდეთ,
სოფლის ბოლოში გვედგას წისქვილი, –
ერთგულებას ფქვავდეს და ფქვავდეს...
ბუხარი ენთოს, სახურავზე
ცეკვავდეს კვამლი,
თვალი მეჭიროს ჭიშკრისაკენ
და ჩემი კალთა
სავსე იყოს წიწილების წიავ-წიავით...
ქროდეს ნიავი, ბალახებს ვწნავდე,
ენგურის წყალით ვზელდე მალამოს,
საქართველოს მოჭრილ მხრებზე
წამლად ვაფენდეთ,
კოდორის კართან კარავს შლიდე,
ელოდე შვილებს,
მღეროდნენ ლილეს, ბრუნდებოდნენ,
გულში იკრავდე,
სამასმეათე არაგველის მამა იყო,
გქონდეს სიმართლე...
ისე გიყვარდე, სამყაროს ცვლიდე...
...და ტაბლას ვშლიდე, ჯვრებიანი
ცხელი პურებით,
ყველა შინ მყავდეთ, გული გულობდეს,
კარებს აღებდე და ჩვენს სახლში
ღმერთი სტუმრობდეს...

ჩემი იანვარი

ჩემი გაზაფხული ისე ჰგავს იანვარს,
როგორც შენს ფორთოხლისფერ
მხრებზე მიკრული
გვირილებით მოხატული ჩემი კაბა –
ახლა საკიდზე აპრილის ანაბეჭდებს
რომ იმეორებს...
უშენო გაზაფხულის იანვარია...
მოქმედების დროა:
გააღე კარი,
შემოდი,
მოიხსენი დუმილის ტვირთი,
გაიხადე მტვერი და ჭუჭყი,
დახსენი ნერვული თასმები
და გათავისუფლდი;
გახსენი თმენის შესაკრავები
და ფიქრის ღილები,
კაბის საკიდიდან გადმოფინე გვირილები,
დაყარე ფორთოხლები შენი მხრებიდან,
გაშიშვლდი – გულის შიგნით გაშიშვლდი, –
შემმოსე შენი მკლავებით
და...
დამიცავი, დამიცავი,
გაზაფხულის იანვრისგან...

წვიმის სურათი

მიდიხარ ისევ...
წვიმს და იწვიმოს...
იდინოს, მაინც ბოლომდე შეგსვამს...
ნუ გაურბიხარ, სველი გიჟია
გამოგედევნა – რა მოხდა, შეცდა!
მოცურდა მხრებზე,
ტანზე მოგედო –
კოცნის ნიაღვრად,
თმების ქარიშხლად...
ტუჩზე ბროწეულს ისე დააკვდა –
ალბათ გაგიჟდა...
ჩამოიღვრება, ისევ წაგლეკავს –
სახიფათოა წვიმის თამაში!
თავს არ განებებს,
ნუ გაჯავრდები,
ის გიჟი მე ვარ,
წვიმის კაბაში...

მიწა არ გვეყო,
არც დედამიწა –
ცაში ავედით...
ქარის კარავში შევრეკეთ მგლები –
რუხი ღრუბლები...
და ეს იყო ისე ადვილი...
გაშალე ზეცა,
რომ ჩვენს სიყვარულს
დაეჭირა მეტი ადგილი.
მზეთა თაღებზე დავათარიღეთ
დღე და წამები...
და იმ წამებსაც ერქვა სახელი...
და ჰქონდა გემო მზეთა მტევნების.
ისე ავსებდი,
თითქოს არასდროს დავმთავრდებოდი.
თოვდა – იწვოდი,
ქუხდა – მღეროდი,
წვიმდა – ფხიზლობდი,
რომ წვიმის ტივებს არ გავყოლოდი,
ვიდრე შენ თვითონ გაედევნე
ქარის ხომალდებს.
და დამარქვი პენელოპეს
უცხო სახელი...
მერე ხატავდნენ გაზაფხულები
უშბას და შხელდას...
ვწურავდი მიწას,
ენგურს ვაშრობდი,
რომ გამომეხსნა ტყვეობიდან
ყველა ბილიკი,
გზაჯვარედინი –
საჩემო გზისთვის
და... შემხებოდი –
სიცოცხლისათვის!
და შენი ხმა,
ერთადერთი, როგორც სამშობლო
ზვავის გუგუნად –
ჩამრჩენოდა მთებში ჩაკეტილს...
გადაშრა ზეცა,
გადაჯეგეს მგლებმა კარავი,
და აღარავის სჭირდება ზეცა
თავისუფალი.
ვეხები ნაცნობ, წარმავალ ჰაერს...
ღრუბლების ყმუილს,
მართალს და ტყუილს,
სხვა თარიღების ისრუტავ თრიაქს...
მიაქვს საათის ისრების წრიალს
ის მელოდია.
აღარ გგავს ჩვენი უშბა და შხელდა,
დაკარგა ბგერა დაბრუნების
მეხმა და ელდამ...
ახლა ვღამდები,
ერღვევა მურყვამს ღამის გამები
და ქარის იქით ვწეწავ თარიღებს.
წაიღებს ესე ზღაპარამბავს
დრო ბასრი ხელით.
თოვს...
მყარად ვდგავარ დედამიწაზე,
ფესვგამდგარი და გატოტვილი ვარ...
თოვს...
თარიღები ნაფოტებად მცვივა
მხრებიდან...
თოვს...

სვანური ზარდახშიდან

დედულეთ შემოთვალეს – ჩამოდიო,
საგზლად წამოიღე ფიქრებიო,
– გული საგულეში თუ დავმალე,
ეხლავ დედულეთ ვიქნებიო;
უმალ შემატყო მახვში კაცმა,
გოგოს თვალებში ჰყავს პეპლებიო,
გზაზედ მარტო აღარ გაუშვათო,
ტანზედ მოაცვით ეკლებიო.
– არა, ბერიკაცო, არ იდარდო!
რჩეულ ვაჟკაცისთვის მიტირნია,
ეკალს ნუ ჩამაცმევ, შემომამსხვრევს,
მხარ-ბეჭ ისეთი ქვითკირი აქვ!

ვარდისფერობა

გაზაფხული რომ შემომიმტვრევს მდუმარე კარებს,
გამოვექცევი საკუთარ სახლს და სოფლის ქალებს,
ლამარიაზე წაგიყვან ჩუმად და ვარდის კვირას
ავახმიანებ უშგულში ზარებს...

ხალდედან ვიხმობ ულამაზეს სვანურ ულაყებს,
გახელებული გადავუქროლებთ კლდეთა წავარნებს,
მე მოგიყვები ლემშვენიერას სისხლიან ამბავს,
შენ კი — ა რ ა ფ ე რ ს...

ღამეს გაარღვევს ვარდისფურცლობა
და ვარდისფერი დაედება მწვანე ბალახებს,
მე ცრემლისფერებს წაგიკითხავ საბრალო ლექსებს,
შენ კი — ა რ ა ფ ე რ ს...

ვარდის კარავი იქნება თბილი და უხილველი,
ჩხრიალა წვიმა სიყვარულის ვერცხლით აგვავსებს,
ო, შენ ინატრებ დაიბრუნო ლამაზი წამი,
მე კი — ა რ ა ფ ე რ ს...

ადამიანებს ექნებათ ბევრი შხამი და ჭორი,
ჩვენ მივენდობით ლამაზ ვარსკვლავებს — ღამის დარაჯებს,
მე დაგპირდები მარადიულ ვარდისფერობას,
შენ კი — ა რ ა ფ ე რ ს...

ღამისფერ თვალებს დააკვდება კოცნები ჩემი,
ცრემლი ექნებათ ჩამოღვრილი სვანურ ულაყებს,
ო, მე გიმღერებ „ირინოლას“ და „ვოი, დედეშს“,
შენ კი — ა რ ა ფ ე რ ს...

ვარდის კარავი იქნება თბილი და უცოდველი,
დაჩრდილავს ძვირფას სასახლეებს, მაღალ ქარვასლებს,
მე ღმერთებს შევთხოვ დაიფაროს კარავი ჩვენი,
შენ კი — ა რ ა ფ ე რ ს...

ჩვენ შევსვამთ ღამეს თითბრისფერი მთვარის სასმისით
და დავივიწყებთ ამქვეყნიურ ყველა არაკებს,
მე ნაჭრილობევ და შეყვარებულ გულს გისახსოვრებ,
შენ კი — ა რ ა ფ ე რ ს...

გამთენიისას იისფერი იქნება ზეცა,
გამთენიისას იისფერი დაედება მწვანე ბალახებს,
შენ წახვალ — მეტყვი განშორების უცნაურ სიტყვებს,
მე კი — ა რ ა ფ ე რ ს...

სააპრილო

სიტყვას აღარ აქვს სისხლის ძალა, — მუსიკას ვუხმობ...
არ მინდა ცაში ატყორცნილი ქუდების ექომ
აშალოს ვერცხლის მავთულებზე მერცხლის ნოტები,
თუ არ მოვკვდები,
ვერ შეგელევი...
მოგაქვს მზეების ლურჯი მეწყერი,
მეღვრები მიწით სავსე სხეულზე, მარცვლად ვიბნევი,
ახლა იმდენი სათქმელი მაქვს ხელისგულებზე,
გადაირევი...
თმას მზესუმზირის ცეცხლი მიწვავს, გულს გაზაფხული,
დახანძრულია ღამე მზიანი და უშენობის
ჰაერი დგას
შენი ხმაურით...
დაჭიმულია სიტყვის სიმები, თასმები ლექსის...
ვერ ვთქვი — მთავარი სანანებელი გოდება ვერ ვთქვი,
მებრძვი დიადო, უკურნებელო სიყვარულო,
ბოლომდე მებრძვი....
აჰა, ხმალი!
და მოკვეცილი ჩემი ნაწნავი, — ბეწვის ხიდი
გადააფინე სიკვდილის ღიობს,
გნებდები, ოღონდ არ გააჩუმო,
სიცოცხლის წამი, —
ჩემი აპრილის ქვის ვიოლინო....

კონკურსს ათი გამარჯვებული ჰყავს

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა კონკურს „მცირე პროზაში“ გამარჯვებულთა დაჯილდოება. ეს პროექტი, რომლის ავტორი მუზეუმის დირექტორი ნანა ელიზბარაშვილია, შვიდი წელია მიმდინარეობს. კონკურსის მხარდამჭერია თბილისის მერიის კულტურის სამსახური და მასში მონაწილეობენ სტუდენტები, მაგისტრანტები.

წლეულს კონკურსში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან 52 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

ჟიურის წევრის, აღმოსავლეთმცოდნე ქეთევან ტომარაძის თქმით, სტუდენტები მეტი ყურადღებით და პატივისცემით ეკიდებიან მიზანს, ცდილობენ გამართულად წერას, მართლწერას და სტილს აქცევენ ყურადღებას.

ჟიურის წევრმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ლიტერატურის წრის ხელმძღვანელმა ნანული ჩიხლაძემ დასძინა, რომ წინა წლებთან შედარებით, თითქმის არ შემოსულა ნამუშევრები, სადაც ბილწსიტყვაობის სიუხვე იქნებოდა. ნამუშევრები იშვიათი გულწრფელობითა და ემოციურობით გამოირჩეოდა.

გამოვლინდა სამი გამარჯვებული და შვიდი ნომინანტი. თამარ გამგებელს, ნინი გლურჯიძესა და ბექა ბერულავას გადაეცათ გამარჯვებულის სიგელები (შესაბამისად, I, II და III პრემია), ასევე ფულადი ჯილდოები.

ნომინაციებში გაიმარჯვეს: ჯაბა შიოშვილმა, მარიამ ასკილაშვილმა, თამარ ჩქარეულმა, რატი წეროძემ, ნათია ლაცაბიძემ, ნინო თოდრიამ, ქეთევან სიხარულიძემ.

პროზა

თამაზ ხმაღაძე

აღსარება

ცოტა ხანს დაეხსენი მაგ სარკეს, შე გასახარელო, შენა. იმისთანას რასა ხედავ შიგა, რო თვალი ვეღარ მოგიშორებია? როგორ არა გწყინდება მიჭვრიტანაში მაგდენი ცქერა? მოდი, მოდი, დაჯექი აქა და ყური კარგად დამიგდე. რასაც გეტყვი, სამომავლოდ შენ თუ არა, შენს შვილებს უსათუოდ გამოადგება. ნუ მაგას ნუ მეტყვი: არა მცალიანო, მაგით ნუ მომიშორებ თავიდან. თუ იმიტომ მერიდები, რო გგონია, რჩევა-დარიგებას მიპირებსო, ნურც ეგ შეგაშინებს – ჩიჩინითაც არ შეგიწუხებ გულსა. განა არ ვიცი, რო ახალგაზრდებს ჭკუის სწავლება არ გიყვართ, ორი სიტყვის თქმას არ დააცდით ადამიანს. იმწუთას აიკლირსებით, შეხტებით და შემოტრიალდებით ხოლმე, იწყენთ. არა-მეთქი, მე ჩემი ბალღამი და ზარავანდი მაწუხებს. კი არ გარიგებ, გულისჭირს გიზიარებ მხოლოდ. ან ეხლანდელებს ჭკუის სასწავლი რა გჭირთ, ეშმაკს აიყვანთ შეგირდად... ჰოოო, აეგრე, შვილო, დაჯექი, დაჯექი აქა.

მე სუმუდამაც იმის მათქვამი ვიყავი და ვარ: ადამიანმა ისეთი არაფერი უნდა შესცოდო, რაც ღმერთმა შეიძლება შეგინდოს, მაგრამ თვითონ ვერასოდეს აპატიო საკუთარ თავსა-მეთქი. ეგ კია, თქმა ადვილია ამისა, ასრულებაა ძნელი. მოხდება ეგრე, ხშირად შენდაუნებურადაც. იგეთ რაღაცას ჩაგადენინებს მზაკვარი წუთისოფელი, რო მთელი სიცოცხლის მანძილზე ცხვირში ამოსაკრავი და სანანებელი გაგიხდება შენი ნაქნარი. ჯერ თავიდან ეგრე გგონია: ხანი რო გავა, მეშველება, მომშორდება გულიდან და წარსულს მიეფარებაო, მაგრამ არა! ის მუდრეგი იმისთანა დროს წამოგაგონდება, იმისთანა დროს გიყელებს და აგიწევს ყურსა, რო შხამად გიქცევს ყველაფერსა.

საწყალი ბებიაჩემი, დედაჩემის დედა, უპატრონო დედაკაცი იყო – ვაჟი არა ჰყავ-და – სანთლად მარტო ერთი ქალიშვილი ენთო. როცა ასაკი დაეტყო და მოუძლურდა, ქალ-სიძესთან გადმოვიდა საცხოვრებლად. აბა მეტი რა ჩარა ჰქონდა. სხვას ვის მიეკედლებოდა? უთქმელი, უწყინარი ადამიანი იყო, არაფრის დამშავებელი – წლები ისე გავიდა, ხელში ისე ჩაგვაბერდა, ოჯახში ყოფნას ვერც კი შეიტყობდი იმისას. ღვთის წინაშე, მამაჩემიც ქრისტიანულად იქცედა, ზედმეტი არაფერი უკადრებია, ის არ უთქვამს: წინა ჰზიხარ, უკან მიჯექიო.

აბა იმ დროის ხალხში ხო ზიარება დიდად მიღებული რამე გახლდათ – უცვალებელ, მოუშლელ წესადა ჰქონდათ დადებული და ამ ჩემმა ბებიამაც, სიბერისაგან უკვე გააკარაკებულმა და ჭკვაარეულმა (ეგე ეხლა სკლეროზს ეძახით თუ რაღაცა ჯახნამას, ალბათ ისა სჭირდა) აიტეხა: გინდა თუ არა, მაზიარეთო, იმას კი არას დაგიდევდათ, რო სხვა ხანა და დროება დამდგარიყო – მღვდლები აღარსად იყვნენ. ერთი სიღნაღში შემორჩენილიყო და თუ მოვიყვანდით, იქიდან უნდა მოგვეყვანა. აბა იმისი დრო და წუთისოფელი ვისა ჰქონდა, ისედაც საქმე თავ-პირს გვაჭამდა. ის კიდე ატყდა და აღარ დადგა. შეაწუხა დედაჩემი, დაინახავდა თუ არა, დაიწყებდა წუწუნს:

– ეხლა მე მალე მოვკვდები, შვილო, და მღვდელი მამიყვანეთ. აღსარება უნდა ვთქვა.

გეგონება, მღვდელი ჩვენს მეზობელ კოლში ცხოვრობდა და იმ საღამოსვე გადმოვვრიდით.

– იყავი შენთვინ წყნარად, ადამიანო, სააღსარებო რა გაქვს, – აშოშმინებდა დედაჩემი.

– არა, გენაცვალე, უნდა ვეზიარო, – თავისას არ იშლიდა ბებია, – შენს მეტი მიმხედავი ვინა მყავს, შვილო, იმას ნუ იზამ, რო უზიარებლად ჩავიდე მიწაში.

– კარგი, ეგრე ვიზამ, ოღონდ ცოტა მოიცადე, – ეუბნებოდა შებეზრებული დედაჩემი, – შემოდგომამდე რაღა დარჩა. რო ძალიან შეგვაღონა და აღარ გაჩერდა: – გოგო, იქნება შენ მოუხერხო რამეო, – დედაჩემმა მითხრა. თორმეტიოდე წლისა ვიქნებოდი მაშინ – ალი, ახტაჯანა, ეშმაკისფეხი – ცარიელ თავში ქარს შტვენა გაუდიოდა. აბა დედაჩემის წაქეზებაღა მინდოდა? ახალი გასართობი, ახალი სამაიმუნო გამომიჩნდა და რაღას დავიხვალიებდი, მაშინვე შევუდექი სამზადისსა: ერთი სამგლოვიარო შალი გვქონდა, შავი, მუხახისა, ის წამოვისხი, წინადან გულისპირად პირსახოცი ავიფარე, აი, როგორც მღვდლებზე გინახავს, ჩვენს მასწავლებელს რაღაცა მაღალი ქუდი ჰქონდა, ვთხოვე და დავიხურე, დიდი, თეთრი წვერიც გავიკეთე მატყლის ფთილებისაგან და აეგრე მოვდივარ ორღობეში.

დერეფანში ტახტზე იწვა ბებიაჩემი და: – მოეშადე, აგე მღვდელი მოდისო, – დედაჩემმა.

წამოჯდა საწყალი, თავისი ჭკუით კაბა ჩამოისწორა და სკუპია ეგრე ერთიბეწვა, მიმჭკნარი, დალეული.

მე კიდე მოვდივარ ორღობეში და რაც უბანში გოგობიჭობაა, მომდევს უკან. თან იხოცებიან სიცილით. გამოუვარდათ მამაჩემი, გედეერია და მიფანტ-მოფანტა: – გადაიკარგენით აქედან, ჩვენს ორღობეში არ დაგინახოთ, თორემ ჩემს მეტი ჭირი ნუ გინდათო. თქვენც სულელები ხართ და ესენიც. აჰყოლიხართ მსგავსი მსგავსსაო. გავთავდი კაცი, ხალხო, რას არ მოიგონებენ ეს ჯილაგძაღლები, მაინცადამაინც მთელი სოფელი თავზე უნდა შაიხედიონო.

იქამდე დედაჩემმა ორიოდე სიტყვა მასწავლა, რასაც ზიარებისას იტყვიან ხოლმე, ჯამში კიდე ალუბალი ჩავწურე, ვითომ საფერავია და იმით უნდა ვაზიარო.

მივედი, წამომჯდარი დამხვდა, თან რაღაცნაირად შემომყურებს და მე არ ვაცლი, რო მოგონდეს:

– გწამს უფალი? – ვეკითხები.

– მწამს უფალი!

– და აღვიარებ?

– და აღვიარებ! – ისიც მეუბნება.

კიდევ ვუთხარი რაღაცები, ის ალუბლის წვენი ჩავაყლაპე და გამოვბრუნდი. მოვდივარ, ცოტა რო გამოვცდი, თვალს გამოვერიდე, ვჩქარდი, ი შალზე ფეხი დამედგა და ზედ მამაჩემის ცხვირწინ მოვადინე ბღარტანი.

ეგ ცოტააო, – მითხრა მამაჩემმა, – მეტის ღირსები ხართ შენცა და დედაშენიცაო. რა გინდათ მაგ დედაკაცისგან, რას აწვალებთ, რას ამასხარავებთო, – გატრიალდა და წავიდა.

– აჰა, ეგეც ეგრე, ხო გაზიარა, დედი, რო აღარა ჰჩერდებოდი, ეხლა ხო მაისვენებ? – დედაჩემმა ჰკითხა.

– მაზიარა, ჰო, მაზიარა, მაგრამ ეგ რომელი მღვდელი იყო, გოგო, რატო ვერ ვიცანი?

– ნათიძე იყო, დედი, სიღნაღელი ნათიძე...

– ნათიძე, ნათიძე... ვერა, ვერ ვიხსენებ, არ მაგონდება... აბა ეგ რანაირი მღვდელი იყო, შვილო?

– რა იყო, რას უწუნებ?

– რა იყო და ორიოდე სიტყვა მათქმევინა და მორჩა, მოათავა, რაც სათქმელი მქონდა, არ მათქმევინა. სხვებმა ეგრე არ იცოდნენ ხოლმე.

– ეხლა სხვა დროა, დედი, სხვანაირი მღვდლები არიან, არა სცალიანთ და ჩქარობენ.

ამის მერე დადგა და დადგა. აღარ მოუთხოვნია ზიარება. მიწყნარდა, მიწყნარდა და ცოტა ხანში მიიცვალა კიდეც.

აჰა, მას შემდეგ ხო სამოც წელზე მეტი გავიდა, ვერა, ვერ იქნა და ვერ დავივიწყე ეგ ამბავი. ხო პატარა ვიყავი, უჭკუო, უგუნური, მაინც ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვინ. რაც არ უნდა კარგ ხასიათზე ვიყო, ეგ რო წამომაგონდება, მომეშხამება, მომეწამლება გუნება. მომეწურება, იგრე მომეწურება გული, გეგონება, ის საზიარებელი ალუბლის წვენი აქედან უნდა გამოწურონო.

ბია ხოფჩია

ანა კარენინა და ბებიაჩემი

(ბავშვობისას დაწერილი)

ტყვიას ვესვრი ამ ტელევიზორს. ცალკე ბებიაჩემმა გამიშრო სისხლი და ცალკე ამან. ჩავრთავ თუ არა, დამადგება თავზე მოგზავნილივით. გაიგებ, რას ლაპარაკობს?! პირდაპირ ყურთან მირაკრაკებს... თურმე სიზმარი უნახავს, ერთად აპირებს ყველაფრის მოყოლას და აღტაცებისგან თვალები უბრწყინავს. რომელს ვუსმინო, არ ვიცი! მოგშორდება?! მერედა რა გულდასმით აცმაცუნებს ტუჩებს. ერთი-ორჯერ წამოვიყვირე — ღმერთი არ გწამს, ადამიანო,მაცალე ერთ წუთს, არ დამალეწინო ეს დასაწვავი! აბა, გაგიგონია?! დამიტკბება სულ, კისერზე მომხვევს დამჭკნარ თითებს და თითქმის ჩურჩულით მეუბნება: შენ რო არ იყო აქანე, ბებია, თავს ჩამევიხჩობდი ამდეხანს. რას მიჩერებიხარ მაგენის ყრანტალს. ამდონი ხნის ქალი ვარ და ნამცეცი ხეირი არ მინახია ჯერ... და ჩართავს ისევ. განსაკუთრებით კოლექტივიზაციის ამბები ახსოვს,მერგოლური ყოფილა მაშინ და გადამატანა. ერთხელ სიმინდით გაძეძგილი ფარდებიანი ურემი გადაბრუნებია წყალში, წაუღია სიმინდი წყალს, უტირია და უბღავლია ამას, დამხვრიტავს სიმონიო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, თუ სადმე დამიჭირა, დედის ღმერთს ამაცლის, სიტყვა-სიტყვით იმეორებს ათასჯერ თქმულს.

ტელევიზორთან ნუ დამელაპარაკება ვინმე და მონად დავუდგები. წელიწადში ერთი-ორ ხეირიან გადაცემას ძლივს ახლაფორთებენ და იქაც ბებიაჩემი ჩამისაფრდება. რამდენჯერ გავიტყუე გარეთ, მეზობლებში გავგზავნე, ვითომ ქალები ნატრულობდნენ საჭორიკანოდ, მაგრამ სადაა საშველი, მადგას თავზე და არხეინად მემუსაიფება.

ამას წინათ „ანა კარენინა“ გადიოდა, როლში ვარ შეჭრილი და არ დამადგა დანით თავზე?! ჩაუცვია დაფხრეწილი შავი კაბა, დაუბიჯგებია ჯოხი და რამდენადაც შეეძლო მონდომებით, სერიოზულად მეუბნება — დამარტყი! არ ვაქცევ ყურადღებას, დაძაბული გავცქერი ეკრანს, მაგრამ ვატყობ წონასწორობა მეკარგება.

— უცებ დამარტყი, რომ ვერაფერი გევიგო ისე! — მეხვეწება ბებიაჩემი და იცრემლება.

— ???

— ბიჭო, რა უნდა ამას, უცებ იზამ და ყველაფერი, მეიხედე აქეთ! — ცხვირწინ არ დამიტრიალა დანა ამ ბებერმა?!

დანას ვინ ჩივა, ვერ მოზომა და ჩემს გამოსაფხიზებლად სუსტად მოქნეული ჯოხი, ისე მწარედ მომხვდა მუხლზე, „ანა კარენინაც“ დამავიწყდა და თავიც. ვიღრიალე ქვია! — რაღა მაინცდამაინც ახლა გამოშტერდი, რომელი მკვლელი მე მნახე, შე გამოტვინებულო! სიკვდილი თუ გინდა, წადი, ეგერ, ტიტიკიასთან და გაგაძრობს სულს! მომეცი აქ ეს დანა! — გამოვგლიჯე ცივი იარაღი ბებიას და საწოლის ქვეშ შევაგდე. რომ შეგეხედათ, სიცილით მოკვდებოდით, ისე მიყურებდა ჩემი გამღიზიანებელი.

— ჩაგიცივდა, ბებია, ენა, რას ღნავი, რო ღნავი! ტიტიკიასთან წევიდე მეე, შე მიწადასაყრელო, შვილიშვილიც შენნაირი უნდა, მართლა უხეირო და მუდრეგო, ტიტიკიასთან წევიდა შენი დამაწყევარი! რა გთხოვე იმისთანა, რაც ჩვენ მაშინ სიმიდი წაგვართვა წყალმა, დანა კი არა, ახლა როა რაცხა გამოგონებული, ქვეყანას რო სპობს თლიანად, რატო იგი არ გვეკუთნოდა. რაფერ მიქონდა მერე, იცი, იმ სიგრძე ტაროები წყალს, რო მახსენდება, ვგიჟდები! დამარტყი, რა იქნება, ბებია!

ამივარდა თავში. ლამისაა დასაბმელი შევიქნე. ამას ვის გადავეყარე! მთელი კვირა ნერწყვის ყლაპვით ველოდი „ანა კარენინას“ და რას მიშვება ეს ბებერი, მოდი და შეხედეთ, როგორ ელოდება ჩემგან პასუხს, თითქოს უფრო საცოდავი ქვეყანაზე არ მოიძებნება.

— ამოუხიკიათ მერე, აქეთ, ის ტაროები, გადაურჩენიათ, მიხვდი?

— რას ამბობ?

— ამოუხიკიათ-მეთქი, ყურსაც დაგაკლდა?

— ისე შენ გეიხარე, რავარცხა მაგი მართალი იყოს!.. ესე იგი არ მირტყამ?

— არა!

მომცილდა. იბორიალა ერთხანს ეზოში. ავიქალობის არაფერი აცხია ბებიაჩემს, მაგრამ სულ მისთვის ვის სცალია. ამ ბოლო დროს თავის მოკვლას მოუხშირა, თანაც ეშმაკზე ეშმაკია, ისე დაგისაბუთებს სასიკვდილი განაჩენს, თითქოს კანონების სწავლით ტვინგადატყაული მოსამართლე ან პროკურორი იყოს.

ანგელოზი გამოცხადებია ერთ მშვენიერ დღეს და გადამატანა. თუ სადმე დამიჭირა, სულს ამომაძრობს იმის მოყოლით. გუშინ მოხდაო ეს ამბავი, შვადღეზე, დაბეჯითებით იტყვის. ამდენი გუშინ სად ჯანდაბაში აქვს ამ ქალს, არ ვიცი. სამი წელი ერთი და იმავეს ღეჭავს და, იცით, როგორ სიამოვნებს, ნეტარებაშია. ასე იწყებს;

გუშინ, ბებია, გარაღმა ვიჯექი, ჭიშკართან. უცებ წამომიარა. გამოვარდი სახში, ევიღე დანა და აგერ, ნიგოზი რო დგას, იქამდე არ ვიყაი მისული, რაღაც მეტაკა მხარში და რაფერ დამარტყა, იცი?! ქე მაინც კისერთან არ მქონოდა დანა მიტანილი. მევიხედე და იმ ორ მკვდარ შვილს ვფიცავარ, ანგელოზი არ გამომცხადებია?! რაიო ქალოვო, თავს მეიკლავო, სული გინდა წეიწყმინდოო, შენი შვილები სამოთხეშია იქინე და შენ ჯოჯოხეთში წასვლა რამ მოგაგუნებაო — მიყვირა მარა, რა მიყვირა ანგელოზმა. მეგონა, ჩემი მესამე ენამყრალი ქმარი გაცოცხლდა და გინებ-გინებით შემოვარდა ეზოში, სული არ მიმყოლია ლოგინამდე! — ოდნავ შეწუხებული და თვალებში ეშმაკჩამდგარი ღიმილით მიყვება ბებია...

— რო გევიხედ-გამოვიხედე და სახში არევინი იყო, მთლად გადევირიე, გამოვარდი გარეთ და ლადოიასთან გევიქეცი, — დაამატებს ბოლოს.

გაურკვევლი კაცია ლადოიე. ერთ დროს მამამისი მღვდელი თუ დიაკვანი ყოფილა და ახლა შვილს ღვთისნიერად მოაქვს თავი. ბებიაჩებს რა გამოაპარებდა ამ ამბავს. ჰოდა,მივარდნილა ლადოიასთან, არც ისე შორს ცხოვრობს ჩვენგან.

— ანგელოზი გამომეცხადა და დევიღუპე! — ვიშვიშებს თურმე ბებიაჩემი.

— ოოო, რო იმახით, არაფერი არაა ქვეყანაზე, ხო ხედავ! — გამარჯვებულის იერით წამოუძახია პატივცემულ ლადოს.

მის მერე მიძახის და მიძახის - რო ამბობთ, არაფერი არაა ქვეყანაზე, ხო ხედავ!

— ვხედავ, ბებია, ვხედავ, ოღონდ დააყენე დასასრული, ყურები მატკინა შენმა ალილუიამ!

ეს „ანა კარენინა“ ხომ ჩამამწარა! ძლივს მოვიცალე ტელევიზორთან დასაჯდომად და ა, შემოფოთფოთდა ისევ?!

— ბებია, ბებერი კაცები არაა მაგაში? რაია მაგი, სულ რო შემოუტკიცინებიათ კაბები ტანზე, ძროხები!

— ?

— ჰაი, დედასა, ნეტაი იმ დროს, ბებია, ახალგაზრდა რო ვიყაი, ერთი ქალის ფასი გავლა მქონდა მარტო. სამი წელი მიყვარდა, სამი წელი. ახლა როა, ისეთი არ იყო მაშინ, დეინახავენ ერთხელ ერთმანეთს და ატყდებიენ. რა ვაწვალე ი ბიჭი?! ქოჩორი ქონდა იმფერი, გადაგრევდა, ასე ბღუჯა-ბღუჯად ეყარა შუბლზე. მის დანახვას არაფერი ჯობდა. მკერავი იყო დალოცვილი. ერთხელ ქუჩაში გამაჩერა, რაღაცა ჩანთა ჰქონდა, იქედან კაბები ამოალაგა, ყველეი შენიაო, მითხრა. მაშინაც უჟმური ვიყაი, ზედაც არ დავხედე. რამდენჯერმე რო გამიმეორა ერთი და იგივე, მის ხმაში სიცივე ვიგრძენი, მაგრამ მაინც ჯიუტად ვიდექი. თავზე დამახია ი კაბები, ცხონებულმა, არ გავნძრეულვარ. ვიფიქრე, მომკლავსთქვა. დედიშენის შვილი ხარ და ჩემს დუქანთან გამოივლიო, მიყვირა ცრემლმორეულმა და გამცილდა. ჩემგან დასაწუნი რა ჭირდა! რო შემომხედავდა, ახლა მიუხედა, ვინც იქინე ყავს, იმას, ტანში ქარაშოტი მივლიდა. ქალის ამბავს შენ მასწავლი? კი უნდა, მარა წვალება უყვარს. ქე წავყეი, მერე, მაინც, მარა რა გინდა, ბედი რო გექნება მომსპარი: პირველი შვილი წლის და ორი თუ სამი თვის მყავდა, რო დევიქეცი და ამოვარდი — ნათლობაში ვიყაით დაპაიჯებული, რამდენი მეხვეწა, ბოვში ჩემ დას დოუტოვე, რა მოხდება, მალე მოვბრუნდებითო, მარა მე ფეხებმოსანტროვმა, ეშმაკი შემიჩნდა თუ რა იყო, ვერ მივატოვე ი გასადღლეზი, კუჭი ქონდა წარა-მარა აშლილი და გოუშვი ქმარი მარტო. იქინე მეც მოუკითხივართ, ყველეი ცოლებით ყოფილან მაინც, შერცხვენია თუ გული ტკენია ჩემსას და არაყი უსვამს მთელი ღამე. არც გამოჩენია პატრონი არევინ და გალეშილ-გათიშული სახლიდან რო გამოსულა და გზა რო ვერ გოუგნია, იქვე საბძელში შესულა და თივაზე დაგდებულა.

ფილტვები დოუწვა არაყმა, რატო არ დეიწვა ჩემი გაჩენა...

— ?

— ეჰ, ბებია, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემზე, თვარა დანარჩენი არაფერი დამკლებია... რაია, ბიჭო, ამისთანა მა ამოსაგდებში, რო ჩააკვდი თლათ. რას ეუნება ი კაცი ახლა იმ ქალს ამისთანა გადასარევს, ოხოხოხო, მაგენი მეისპენ ბარეღამ.

გაჩუმდა. კისერზე ხელი მომისვა ოდნავ ნერვიულად და გამაგრებული კანის შეხება რომ ვიგრძენი, რაღაცამ ძლიერ გამკრა გულში, ისე ძლიერ გამკრა, დავრწმუნდი, მარტო გული კი არა, მთელი სხეული მიბჟუოდა. თურმე კარგა მონდომებით ვუსმენდი ბებიას, მაგრამ ეს ხდებოდა ჩემგან დამოუკიდებლად, თითქოს ძალიან შორიდან მოდიოდა ხმა, უფრო სწორად მთაში გავარდნილი ექო, რომელიც გასასვლელს ეძებს და მონახვისთანავე შურდულივით გაიჭრება, გაიშხუილებს. გაყოფილი მქონდა გონება, ბებიის ნაამბობის მოყოლა ზუსტად შემეძლო და ფილმის კადრებიც იქვე იშლებოდნენ და იკინძებოდნენ, ვითომ აყუნცულებულ „ეშმაკის ბორბალზე“ შემოხვეული იყო ბუნდოვნად აჭრელებული ფირები და თავდაუზოგავად ტრიალებდა ბორბალი.

ისევ ბებიას ხელებმა მოაწესრიგა ჩემი აფორიაქებული სული, თუ ამას მოწესრიგება და გონების განათება ჰქვია. რაც თავი მახსოვს, სულ ამას ჰყვება ეს გამოჩერჩეტებული და რაღა მაინცდამაინც ახლა გამოუვიდა ყველაზე კარგად, არ გამათავა კაცი! — ვფიქრობ გასავათებული. არ ვიცი, რაზე ვიტკინო თავი — ფილმზე თუ ბებიაჩემზე. უნებისყოფობამ დამძლია, გამოვგლიჯე ჩამრთველი და გაოცებისაგან პირდაღებულ მოხუცს მივახალე — ა, დეისვენე ახლა!

— ისე დაგისვენია, ჩემი შვილები რო ისვენებენ! — არ დამზოგა, თუმცა მისი წყევლის არადროს მეშინოდა, რადგან ერთხელ მითხრა — ბებია, კაცის წყევლა არ შეიძლება ოჯახში, ჭრის, ულვაშები უმოწმებენ და იმიტომ, თვარა დედა შვილს თუ დაწყევლის, არაფერია, ენა წყევლის და ძუძუები ლოცავენ.

ვერ იქნა და ვერ მოახერხა ჩემთან საუბარი. წრიალებს. მეც უკუღმართ გუნებაზე ვდგავარ. ტელევიზორმა და ბებიაჩემმა იმნაირად მომშხამეს, ორივეს დანახვა ჭირის დღესავით არ მინდა, ორივე თავში მიტრიალებს და ღდინს მაცლის... მეცოდება. რამდენი სათქმელი აქვს და მომსმენი, თანამოაზრე ვერ ნახა. ვითომ, მისი ჭკუით, ჩემში მიაგნო რაღაცას და იმედი გაუჩნდა, მაგრამ არაფერი გამოსდის. მეც კაი გაოხრებული ვარ, შვილიშვილმა ბებიას მიღების საათები უნდა დაუნიშნოს?! ბოლოსდაბოლოს აღმასკომებსა და სამინისტროებში ახერხებენ შეღწევას და საქმის გაჩალიჩებას, ერთ სახლში ვცხოვრობთ, აგერ და... გაგიგონიათ ასეთი უნამუსობა!

— შენ ვარ იყო აქანე, ერთი წუთითაც არ გავჩერდები, წაკიდებია ცეცხლი ყველაფერს. ზნაიშ მოი დელო კაკ? — ესლი ია რაბოტაიტ, ვსე მენია ზავიოტ, იდი, იდი სუდა, ჩურეკ ხოჩიშ, ილი ხლება. ა, ესლი ია ნე რაბოტაიტ, ტაგდა მენია ნიკტო ნი ზავიოტ, კაკ ვაშე ზდაროვიე. მოი დელო ტაკ და ტვოი დელო კაკ, ია ნე ზნაიუ... ჩემს თავისმტვრევასა და წუხილ-სიცივეში რომ ვიყავი გახირული,მომპარვია და გამიკეთა მოხსენება ქართულ-რუსულად. იმნაირი თვალები დავინახე მის თვალებში, ტირილი, სიცილი, ყვირილი, მოფერება, თავაწყვეტით გაქცევა, მწარედ გაღიმება, ჩაკეცვამდე ხარხარი, ყმუილი ერთდროულად მინდოდა, მაგრამ არცერთის ასრულების შესაძლებლობა არ გამაჩნდა და თავს უბედურად ვგრძნობდი.

სად ანა კარენინა და სად ბებიაჩემი! სიგარეტი რომ გავაბოლე და უსულდგმულო კვამლს გავაყოლე თვალი, შიში დამეუფლა, შიში არარაობის, რომელიც გაგიჟებული მდინარის ტალღებივით ასკდებოდა საფეთქელს და ჩემს უფერულ ცხოვრებას ემუქრებოდა.

ხოლო ბებიაჩემი კარგად რომ დარწმუნდა, რამდენად დაულაგებელი ვიყავი მისთვის, ჩამომცილდა, გამოიტანა სახლიდან პატარა სკამი და ლეღვის ჩეროში დაჯდა. რა დრო გავიდა ვერ გეტყვით, მაგრამ ბებია ისევ იჯდა ლეღვის ჩეროში და ირგვლივ მოწიკწიკე წიწილებს სიმინდს უტეტკვავდა. ერთხელაც არ გამოუხედია ჩემკენ. მხოლოდ გარკვევით გავიგონე რამდენიმე სიტყვა:

— რაიო, ქალოვო, თავს მეიკლავო?!

— ოოო, რო ამბობთ, არაფერი არაა ქვეყანაზეო, ხედავ?!

ნინო ჯუთათელაძე

* * *

რა ბედნიერი იყავი ალბათ,
როცა სამყაროს ქმნიდი, უფალო,
მე ჩემი ჩუმი სამყარო მზაფრავს,
როცა სინათლეს და მზეს ვუგალობ.
რა ბედნიერი იყავი ალბათ,
რადგან ქმნადობა შენი ნიჭია,
როცა ჩაჰბერავ სულს
ჩვილს და საპყარს
და დაუბრუნებ განცდას მიწიერს;
უსულო ბნელს რომ
მთვარეს დაჰკიდებ,
ან მზეს აანთებ დილის სიამედ,
მარადისობას დღედ აირეკლავ
და კვლავ მიდიხარ, როგორც იარე!
გზას არ აუქცევ ფერად გაზაფხულს,
მოგყავს სიმღარა სულში ნაჟური,
დილას უბრუნებ ღამეს დაკარგულს,
როცა ჩვენს მოდგმას
გვერდით ჩაუვლი...
რა ბედნიერი იყავი ალბათ,
როცა შეჰქმენი ხმათა ედემი —
ფუტკრის ზუზუნი, ღაღადი კრავი,
ფრინველთ გალობა როცა შეჰქმენი.
უნდა დაბრმავდე, ანდა დაყრუვდე,
რომ მიხვდე შენი
ქმნადობის სიბრძნეს...
მოხედე ჩემს სულს —
სიტყვის სავანეს
და დაუბრუნე ქარების სივრცე,
რომ ახმიანდეს, რომ აგიზგიზდეს
და სულ პაწია სიმღერად იქცეს.

* * *

ლილის

დღემ მოიმატა,
მზე და ნაღველი
ნელ-ნელა ისევ წამოტივტივდა,
უანგარიშო უთქმელ-სათქმელი
ამოაფრქვია ძველმა ფირფიტამ.
მღეროდა ვიღაც
ძველ სიყვარულზე
ძველ ქარიშხლებით
ვნებადაცლილი...
ისხდნენ ჩიტები ეულ მავთულზე,
დაოსებულნი მრავალ ქარ-წვიმით.
ისხდნენ ყვავებიც,
როგორც ეგების,
და ღამეს ჰგავდა მათი გალობა,
სანთლად ჰყვაოდა
ლურჯი ბეთლემი —
თვალშეუდგამი სანახაობა.

* * *

არავის კარზე არ მიმღერია,
არც სიტყვა მითქვამს
ჩემდა სარგებად...
არაფერია, არაფერია
და არაფერიც მალე თავდება.
იქნებ არაფერს თავის ფერი აქვს,
ხან სისხლად ჟონავს,
ხანაც ხუნდება...
მაგრამ სიცოცხლე გადამელია
და არაფერი
არ დაბრუნდება.
არაფერი ნთქავს
ღამის ნაღვერდალს,
დღისით ცეკვავს და
თანაც დაჰმღერის:
„არაფერია, არაფერია,
არაფერია ჩემი სახელი“!
ვისაც არაფრის არ ეშინია,
აბა, გაუძლოს
არაფრის სივრცეს! —
როცა ცხოვრებაც არაფერია
და არაფერი
შიგ სულში გიმზერს.



ბიოსბი მეღუა

იასამანს

კი არ მწყენია
შენი გაშლა და აყვავება,
მაგრამ სიმწვანით შემოსილმა
შენმა ტოტებმა
სულ დამიფარეს ერთი ფანჯარა,
ზამთარში ჩემი აივნიდან
რომ გავყურებდი.

* * *

წვიმს,
გიმძიმს,
ცრემლი სტრიქონს ასველებს,
აღარ მახსენებ...
გადასდის ღვარი ღვინისფერ კრამიტს,
წვიმს,
არ ემდური წვიმიან ამინდს.
წვიმს,
წვიმს,
ფოთოლი წვიმას თავს უხრის,
ყვავილობს მწუხრი.

გამოღვიძება

დამჭკნარა ვარდის წითელი ბაგე,
ამომშრალია ლარნაკში წყალი
და ქალი, როგორც სარკეში – სარკე,
წევს სავარძელში ცისფერი ქალი.
ცისფერი სიტყვით ცისფერი ბოლი
ასდის საფერფლეს, ლურჯდება ალი
და მგონი, როგორც ბულულში გნოლი,
წევს სავარძელში ცისფერი ქალი.
სიზმრების ფურცლებს
ჩამოშლის ხელით
(უბიდან ვნების იელვა ხალმა).
და ქალმა, თითქოს ამწვანდა ველი,
გამოიღვიძა სიზმრიდან ქალმა.

უნაბის ხე
ანჩისხატის ეკლესიის ეზოში

უი, ეს შენ ხარ უნაბის ხეო?!
საიდან გაჩნდი
ანჩისხატის ეკლესიის ნათელ ეზოში,
შენ ხომ სოფელში
ჩემი მეზობლის ღობესთან იდექ
და მწიფე ნაყოფს
ლამაზი ქალის ტუჩებივით მახარბებდი.
მითხარ, როგორ ხარ,
როგორ ცხოვრობდი,
რატომ დათმე ჩვენი ორღობე,
ან შენს დობილ კუნელს
რატომ გამოექეცი?!
ჰო, კარგი, კარგი,
მახსოვს შენი მორცხვი ბუნება,
ანდა ასე რას გემართლები,
თითქოსდა მე არ დავხარბებოდე
ნაცრისფერი კვარტლის ოპიუმს.
ეჰ, ჩემო კარგო,
მარტოობაზე ჯვარდაწერილებს
ვგავართ მე და შენ,
თითქოს უდაბნო გამოგვევლოს
ოაზისში დასავანებლად
და რაოდენი სამწუხაროა
აქ კვლავ ცხელი ქვიშის შრიალი.
ეკლესიაა
ჩვენთა სულთა ისევ მფარველი
და როცა გუნდი გალობას იწყებს,
შენ ტაძრისაკენ თავმიდრეკილი,
თითქოს შიგნით შემოსვლას ლამობ...
და მეზმანება სამოთხის ბაღში
შენი ჩუმი გადასახლება.

* * *

როგორც ჩაკბეჩილი წითელი ვაშლი,
როგორც აშვებული ფრანი ქარიანში,
როგორც მთვარეზე
არმსტრონგის ნაფეხურები,
როგორც დაბზარული ძველი პლანეტა,
მივიწყებული ვარ და
სტალაქტიტივით მდის
ცრემლი სულის...

* * *

იგი გულიდან
ჩემი სხეულის ზედაპირზე გადმოიცემა.
მერე მე ხელისგულით ვეხები
და ვკითხულობ:
ეს არის ჩემი სხეულის
წინასწარმეტყველება
ხვალინდელ დღეზე,
ეს არის ახალი ტკივილები,
რომელიც უნდა მეწვიოს
და ზოგჯერ ცოტა სიხარულიც,
აქაური ცხოვრება
აუტანლად რომ არ მომეჩვენოს.
ნუ მკითხავთ,
რარიგ ძნელია წინასწარ იცოდე
ხვალინდელი ავბედითობა,
მე მხოლოდ იმ წუთზე ვფიქრობ,
როცა ჩემი საწყისი
პირველად შეირხა,
რატომ იყვნენ
მთვარე და ვარსკვლავები
ასეთი მოწყენილნი
და რატომ მომწერეს
ნაღვლიანი სიცოცხლის წერილი.

* * *

გავრბივარ სიტყვების მზარეული,
გავასწრებ ქალაქს და გარეუბანს,
მთვარეული და გზაარეული,
რომ შევხვდე ახალმთვარეობას,
რომ ღამეს, სევდით ამოქსელილს,
სიჩუმის კლავიშებში ჩავესვენო
და ჩემი სულის სამოსელის
მთვარის მელოდია გავიხსენო.

* * *

ტყე ისევ ლურჯი ნაკვერჩხლით ბოლავს,
ტყე ისევ ლურჯი ნაკვერჩხლით იწვის,
აწვალებს ხეთა ჯადოსნურ ფუნჯებს
მიახლოება იდუმალ სივრცის
და ქორბუდების წითელი რემა
თავაწყვეტილი ცისაკენ მიჰქრის,
ისევ ბავშვივით ვუყვარვარ მთვარეს
და საშობაო ბარათებს მიძღვნის.

* * *

მაშინ პირველად მივუტევე,
როცა გამაგონეს –
ძველ ხეებს ადგილს არ უცვლიანო.
შენ მაინც იცი – ცის თვალებისთვის
სიყვარულის თვალებით
ახსნა რომ ვისწავლე,
სივრცის ბილიკი გამოვთვალე
და სინათლის მგზავრი დავირქვი.
მაშინ მაჩუქე ეს სხეული
დიდი გზისათვის,
გამწირე, რადგან
ასე ძლიერ გიყვარვარ
და შეცნობის გზისკენ მიბიძგე.
ახლა ასე ნაწამებს მხედავ
და გულით ხარობ,
რომ ჩემი სისხლის წვეთები
უსასრულობაში ვარსკვლავებად
ანათებს,
რომ დიადი სიჩუმის თეატრს
არ დავკლებივარ,
რომ მართლა ვიცი –
სიყვარული კოსმიური სინათლის
გვირგვინია.
მაშინ პირველად მივუტევე, რაბი,
როცა შევიცანი!

* * *

შენ გამჭვირვალე სიშორეში
დაიბადები,
როცა საღამო შემოივლებს
ნიავის მკლავებს,
როცა ცის კაბას ყვავილივით
ჩაეხატები,
ჭიანურივით აგვატირებ
მე და ვარსკვლავებს.
როცა საღამო განზავდება
შენს სინათლეში
და გვირგვინივით შემოიწნავ
იდუმალ რკალებს,
როცა სიჩუმის ალს ჩაიდგამ
ლამაზ თვალებში,
ჭიანურივით აგვატირებ
მე და ვარსკვლავებს.

ალეკო ნინიღაშვილი
(თოვლის ჯასი)

ფერფლის კუზი

1

დაწყვეტილი სიმების სუსტი, წკრიალა ხმა, მომაკვდავის უკანასკნელი ამოსუნთქვასავით, ისე მიაწყდა ფანჯრის მინებს, რომ თითქოს ვიღაცის უხილავი მარჯვენა, ჩამომპალ ჩარჩოებს ჩამოხსნის და ის თბილი სიო, რომელიც გარედან ელამუნება, ყავისფერად, წვიმის წვეთებისგან, ლამის გალერეაში გამოფენილი ნახატების მსგავსად აჭრელებულ

(თავისებურად მოხატულ) ხის კედლებს, სახლში შეიჭრება და ფილტვებისთვის არც თუ სახარბიელო, დახშულ, ჩახუთულ, ცხელ ჰაერს, მეტ-ნაკლებად გასწმენდს.

სიმების წკრიალი, გატეხილი ფანდური, ისე გადაიშალა, გადაიხსნა, თუთის ხუფი, როგორც გაცვეთილი ფეხსაცმლის ლანჩა.

ფეხის ნაბიჯის ხმა ისმის, თეთრი, გაჭკნარი ხელის თითები სწვდება გატეხილ ფანდურს, უხერხულად იშმუშნება, წელში მოხრილი, ლამის ლაჯებშითავმოდებული, მოშვებული სხეული და მუსიკალურ ინსტრუმენტს, იქვე გაცრეცილხალიჩაგადაფარებულ ტახტზე მიაგდებს. ისევ წკრიალი, ოღონდ უფრო სუსტი, მოკრძალებული და ცოტა არ იყოს გამაღიზიანებელი ექო, მხოლოდ და მხოლოდ ასაკშეპარული სმენის აპარატისთვის განკუთვნილი.

ეს ვიღაც მოძრაობას იწყებს, იმ ოთახისკენ, საიდანც ეს ესაა შემოვიდა. სამზარეულოში, მაგიდაზე დახვავებულ ხახვის ნაფცქვენებს კრეფს, მუშტში იქცევს, რამდენჯერმე გაშლის და მომუშტავს ხელის მტევნებს, დაჟინებით დასქცერის მოვარდისფრო, გამხმარ ფურცლებს და სანაგვეში ყრის.

სინამდვილის შეგრძნების დაკარგვის შემდეგ, წამიერად, ადამიანის ყველა უჯრედს იპყრობს, გაურკვეველი სიამოვნებისა თუ უსიამოვნების ის განცდა, რომლითაც მისი მთლიანობის აღქმის უნარი, მეტისა და ნაკლების გათვალისწინებით, მოჩვენებით სილამაზესთან ასოცირდება და სწორედ მთლიანობის დარღვევა გახლავთ, სიმახინჯის მთავარი საძირკველი, საფუძველი, რომლის წყალობით მთელი ის ავადმყოფური მიდრეკილებანი ვლინდებიან, რომელთა წინასწარ მკაცრხელდამორჩილებული გამოხატულებანი — სიღრმისა და ზედაპირულობის ჩამოშლილი ერთობა, ქმნის მოცემულობას მოცემულობისას და „სხვა“ მოცემულობის ნაზავს, რომელიც თავის მხრივ სრულებით შესაძლებელია, როგორც სიამოვნების, ასევე უსიამოვნების თანმხლები პროცესებით მიმდინარეობდეს.

წკრიალი შეცვალა ფეხის ხმამ, პირის წკლაპუნმა და მოხუცის სხეული წამოიმართება, იგი გაივლის ჩაბნელებულ სახლის ოთხებს. კედლებზე გადაკრულ წვიმისგან და ნესტისგან თავდასაცავად გაფენილი ლურჯი ფერის, ბრეზენტის ნაჭრებზე ჩამოკიდებულ გადიდებულ, ქალის შავ-თეთრ ფოტოს, ისე გახედავს, რომ დამცინავი ღიმილი, ფოტოზე გამოსახული ადამიანისა, მის ბაგეებს გადაედება, როგორც ჭირი, როგორც ავადმყოფობა და იგი არასრულჭკუაზე მყოფი ადამიანივით, იწყებს ხარხარს, თითქოს დასცინის მას, თითქოს გამარჯვების სურვილი სიცოცხლისა, მობერებულ, მომჩვარულ სხეულში, აღარ ემორჩილება ბუნებას, ადამიანურ ბუნებას, ადამიანის მოქმედების არეალიდან გამოდის და იგი როგორც ცალკემყოფელი, ამოიმართა მისი უპეებიდან, როგორც არა სიშავე, როგორც არა შეღამება, არამედ როგორც მოციმციმე, დაუმორჩილებელი სულის მქრქალი ნათება და იგი იცინის, იგი დასცინის სიცოცხლისა და სიკვდილის იმ ზღვარგმყოფ სინამდვილეს, რომლის სივრცეში ჩაგუბებული, ჩამდგარი საუკუნეების გამოცდილება, თითქოს სადაცაა იხუვლებს და წალეკავს წარმოდგენებსა და შეხედულებებს მასზე.

სინამდვილე, ჩვენი ყოფნისგან გამორჩეული მომნუსხველობა, რომელიც იმდენად ამაზრზენი და თავისმომაბეზრებელი ხმაურიანობით გამორჩევა, რომ მოგონება ჩვენი მოგონებისა, სინამდვილისა და „გვერდითა“ სინამდვილის, იმ ბეწვის ხიდზე გაივლის, რომელიც მიმალული, გამოკიდებული ყოფნის სივრცეში, არც კი გამოეხმაურება ხოლმე, ჩვენის არსებობის გამოძახილს.

სინამდვილე, იგი უნდა დაგვემსგავსოს... როგორ დამცინავად ჟღერს ეს ფრაზა: „იგი უნდა დაგვემსგავსოს.“ ადამიანები, ჩვენი აზროვნება სისულელესა და ცინიზმის სიბრტყეში გავლებული წრფივია, რომლის გაყოლებაზე ჩვენი მონდომება გადარჩენისა, გადარჩენის გზაზე გამოსული მოხეტიალე დერვიშია, რომლის ერთადერთი დანიშნულება, გნებავთ მიზანი, გნებავთ ოცნება, გნებავთ მოქმედების სივრცე თუ არეალი, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენივე უსუსურობისა და შესაძლებლობების ნიადაგზე აღმოცენებული აბსურდის ზეა.

ეზოში გადის მოხუცი, იგი ჯდება იმ ცაცხვის ხის ქვეშ, რომლის ქვემოთ, ეზოს ეს ნაწილი, ხელისგულივითაა მოხრიოკებული, თუ გავითვალისწინებთ ეზოს, დანარჩენ, ამწვანებულ ნაწილს, კაცს ეგონება, მოეჩვენება, ვიღაცას თითქოს განზრახ, წაუფარებია აქ, ეს ბუნებრიობის მარადიული მწვანე ხალიჩა, რათა მოხრიოკებული ადგილი, როგორც სიმელოტეშეპარებული ადამიანის თვალისთვის მიუჩვეველი თავი, გამოიყურებოდეს გამომწვევად.

წვება ხის ძირში, თავს სდებს ხის ფესვზე, კუდაფუნფულებულ თრიას მოჰკრავს თვალს ხის ტოტებში, რომელიც ორი მოძრაობა და ხეს კენწეროზე მოექცევა, მერე იგი მზერას უწვდენს კენწეროს, იქიდან მტვერი ეყრება, ალბათ თვალზეგადაკრული ლიბრი, მიჩვევის უნარი, შეგუებულობა, როგორც ასაკის მოთხოვნილება, აძლევს საშუალებას არ მოჭუტოს თვალი. თრია ქვემოთ ეშვება, რამდენიმე წამით ზის ფუღუროსთან, თათებს ილოკავს და ამავე ფუღუროში უჩინარდება.

სინამდვილე, იგი მეუფეა და თუ ილუზიის მაღმერთებელნი არსებობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან თავის დაღწევის სურვილი იმდენად ძლიერია, ადამიანებში თვითჩაბრუნების უნარი იღვიძებს, უნარი თვითჩაღრმავებისა, იგი გველეშაპია, კოლხეთის ჭალებში ჩაბუდებული, ჩაძინებული და ძნელია მისგან მოიტაცო ის საწმისი, რომლის იდეა, არსი, მთლიანობაზე აგებული სტრუქტურა, მოგცემს შესაძლებლობას, მეხსიერების სამეფოდან გამოიტაცო იგი. ძნელია გამოჰყო შენივე თავიდან, გამოცალკევო, რათა ისევ შეითვისო, რათა ისევ აქციო შენად, ხოლო გამოყოფისა და გამთლიანების, მთელი ეს ფილოსოფია, მთელი ეს არსებულობა, იქცეს ზრდისა და წვდომის ღირებულებად.

იგი მიწისკენ ბრუნდება, ახლა თავდაღმა წევს, უნდა ჩაიძინოს, ესმის ჭის სახელურის ჭრიალი, ვიღაცამ როგორც ჩანს, ვედრო ჩაუშვა „ჩაბნელებულ ხახაში“, თავს სწევს, სულ ტყუილად იფიქრა ასე, უბრალოდ სიომ შესძლო მისი ყურადღების მიპყრობა, იჭიმება თოკი და სულ ბოლოს თქფუნის ხმაც ისმის, ანუ ვედრო, რომელსაც გვერდები შეჭყლეტილი აქვს, წყლის დონეზე ეშვება.

წამოდგეს?

გადაიფიქრებს.

ცოტა ხანში ჩაეძინება.

2

ადუღდა, ათუხთუხდა, გავარვარებული მიწის მასა, რამდენიმე წამი, იქნებ წუთიც, ბუნებრივი შადრევანი, ამოფრქვევის დროს წარმოქნილმა, მოთეთრო ფერის აირმა დაფარა რამდენიმე მეტრის რადიუსის ფართობი, მერე გაიკრიფა ეს თეთრი, მიწის ვნების თანხმლები ოხშივარი და ეს გავარვარებული ფერფლის ბემბულები, ერთმანეთზე დაეხვავნენ, გაშეშდნენ, როგორც საუკუნეთა განსასჯელი და გარკვეულწილად ამავე საუკუნეთა მსჯავრის დადების მიზეზნი.

— მარუან, მარუან, მარუან, — სამჯერ განმეორდა მისი სახელი, სამჯერ ჩაესმა ძილში ეს სახელი, რომელსაც აგერ უკვე ბავშვობის წლების, შემდეგ აღარავინ ეძახის, ჯაჭვის წკრიალმა აიძულა, ძილში შემხტარიყო, გადაბრუნდ-გადმობრუნდა, მიწყნარდა ხმა, მისი სიფხიზლე ისევ მოდუნდა.

— მარუან, — თითქოს ხელი წაავლო, ფაქტზე დაიჭირა ქურდი, თვალები გაახილა, წამოჯდა მარუანი, ხის ფესვებსა და იმ ალაგს დახედა, სადაც ჩაეძინა რამდენიმე წუთის წინ, შორს, მოშორებით მდგარ ფერფლის სვეტს, ისე უელავს გვერდები, რომ წამიერად საკუთარი სიზმარი გაახსენდა, გზისკენ გაიხედა, ჭიშკრის მდუმარებამ გული შემოჰყარა, ეს ძველი ბავშვობის სახელი საიდანღა წამოუტივტივდა გონებაში? თუმცა იგი სიზმარმა შეახსენა.

გაიარ-გამოიარა ეზოში, ისევ წკრიალის ხმა, ჭასთან მივიდა, ვედრო ამოიღო, ცივი წყალი დალია და ოდესღაც ნანახი სურათის, ბავშვობისდროინდელი წარმოდგენის, თუ იქნებ სინამდვილეში ნანახის, გონებაში აღდგენას შეუდგა.

ფეხები ტიტლიკანა, იგი გარბის, მერე ჯაგნარებში შედის, სისხლი სდის, ხელს ისვამს წვივებზე, დაყნოსავს სისხლს, რომელსაც არაამქვეყნიური სურნელი სდის, მარუანი კი გარბის, უკნიდან სახელი მოსდევს, თავისი სახელი ესმის, დედის ხმაა: „მარუან, მარუან.“

სინამდვილეა ის, რომ რეალობა (თუნდაც მოჩვენებითობისა და მიმბაძველობის საფუძველზე) არსებობს, მაგრამ რეალობაა ის, რომ სინამდვილის შესახებ არაფერი ვუწყით.

მარუანს კი ეჩქარება, ფეხი წამოჰკრა ქვას, ტკივილის დასავიწყებლად, საჭიროა წამოდგე, კვლავ გაიქცე, უფრო მეტად, მეტი თავგამოდებით, თითქოს ტკივილი საერთოდ არ არსებობს, ჩვენი ორგანიზმი, ჩვენი ფსიქიკა, იგი ილუზიებშია, იგი ცდილობს შეგვაყოვნოს.

დედის ხმა აღარ ესმის, ჩერდება, მორჩა საკუთარი სახელისგან გაქცევას, ახლა შეუძლია დაისვენოს, კიდევ რამდენიმე წუთის განმავლობაში ვერ მიაგნებენ, მერე ალბათ უკან, შინ დააბრუნებენ.

მარუანი ჯაჭვს ათვალიერებს, იგი წკრილებს, ზემოდან ქვემოთკენ გადმოწოლილი ჟანგის ჩრდილი, იგი ჟღარუნობს, მისი ეს ხმაური მოსწონს მარუანს, დგას და უყურებს, დგას და უმზერს, აფრთხილებენ, აქეთ წამოსვლა საშიშია, აქ ის ქალი ჩნდება, წელიწადში ერთხელ და ღმერთმა არ ჰქნას მან თვალი მოჰკრას.

მარუანი ბავშვია, მას ეს ქალი, მოჩვენება არ აინტერესებს, ჯაჭვი იზიდავს, მიდის ხელს ჰკიდებს. ეცდება დაიქნიოს, სუსტი მცდელობა გამოუვა, ქარი დასჯაბნის, ქარი ღონიერია, ამ ჯაჭვს ალბათ ოდესმე ჩამოგლეჯს და მის ნაცვლად მხოლოდ მოგონებებს დასტოვებს, მერე ადამიანები სუსტი მხრებით, მაჯებით, მთელი სამყარო რომ ლამის ზედ ადგათ, ისევ მოიწადინებენ აღადგინონ მისი სილუეტი, მაგრამ ქარი კვლავ იმძლავრებს და ეს მარადიული, დაუსაბამო ჭიდილი, არსებობასთან წილნაყარი, გაგრძელდება, ხოლო ქარი, ეს ღონიერი სტიქია, ერთადერთია, რაც ამ სუსტებს აფიქრებინებს, რომ მათაც შეუძლიათ რაღაცის შეცვლა, რაღაცის შენარჩუნება, რაღაცის დაძლევა, იგი მათი იმპულსია, მათი წამბიძგებელი, მათი მუხტი.

ჯაჭვს ხელი შეუშვა, დაბნელდა, ქარი გაძლიერდა, მარუანს შეეშინდა, ახლა კი ინატრა საკუთარი და-ძმების, ან მშობლების აქ ყოფნა, უკან დაიხია, ზემოთ ახედვას ვერ ბედავს, ეჩვენება, რომ სვეტის თავზე, არა რომელიმე წმინდანის კაფანდარა ლანდი, არამედ ის ქალი დგას, რომელმაც სვეტი, ეს დროში გახირული ურჩხულის ნარჩენები, უნდა მოასუფთავოს.

თავზე ეცემა რაღაც, ხედავს ლეღვის ჯერკიდევშეუმწიფებელი, მწვანე ნაყოფია, შემდეგ ვაშლები, აქა-იქა კი გამხმარ ხეთა და ბალახთა ნარჩენები ეფინება, მარუანს ასეთი რამ არ უნახავს, უკან-უკან მიდის, ალბათ მალე მოჰკურცხლავს, მაგრამ ბავშვია, მაგრამ მისი ცნობისმოყვარეობა სძლევს შიშს, იგი სიკვდილსა და სიცოცხლეზე მეტად შორს მიდის, მისი ცნობისწადილი, არყოფნის ყოფნისა და ყოფნის არყოფნის, თავდაპირველ მდგომარეობამდე მაღლდება.

უხსნებლის ფერფლისგან შედედებული ფერფლის კუზი, იქ ზემოთ შავი კვართის ბოლოები ფრიალებენ, მხოლოდ ამ ბოლოებს ხედავს მარუანი, მერე მზერას ზემოთ აყოლებს, ქალს სახეზე ჩამოშლია გრძელი თმები, რომლებიც ლამის განივ სწვდებიან ფერფლის კუზის ნაპირებს, მარუანი თვალს ხუჭავს, ახლა უნდა დაბრმავდეს წესით. როგორც ამბობენ, სიბნელეში მარადიული ნათელის კონტურები სჩანს მხოლოდ.

სახლისკენ გარბის, ეზოში შესული, ცაცხვის ხის ქვეშ ჯდება, დედა ამჩნევს მას, არაფერს ეუბნება, იმასაც კი, რომ ეძახდა, ისინი ვერაფერს ხვდებიან, მარუანმა კი იცის უნდა დაბრმავდეს, მიიკუნჭება ცაცხვის ძირში, ცოტაც და შეერწყმება, ცოტაც და ისინი ერთნი გახდებიან.

იქ ჩაძინების დროს ნახა მარუანმა ეს სიზმარი პირველად, გავარვარებული მასა, ლავა, მიწის ვნება, როგორ მიიწევდა ცისკენ, ხოლო შემდეგ თუ როგორ გავერცხლისფერდა ყოველი, დადგა და იქცა ფერფლის კუზად, დედამიწიდან ამოზრდილ კუზად.

ეზოს კართან მიდის, ჭიშკართან ბავშვი ზის, იგი თამაშობს, მიწას ჩიჩქნის, მარუანი თავზე წაადგება, ბავშვი ჩრდილით ხვდება ადამიანის მიახლოებას, თავს ააღერს, იცინის, თითქოს ამით ამბობს, სთხოვს მასპინძელს, რომ იმ ჩხირების ღობიდან გამოძრობისთვის, რომლითაც ერთობა, არ დასაჯოს.

— თამაშობ? — მარუანი ღია კარში დგას

— წყალი დამალევინე.

ბიჭი უკან მისდევს, მარუანი ვედროსთან მიიყვანს, იქ კიდევ დგას წყალი, რომელიც ამოიღო სულ რამდენიმე წუთის წინ მასპინძელმა, ბიჭი სვამს უგერგილოდ, ალბათ არც სწყუროდა.

— დღეს გველი მოვკალი, — ამბობს ბიჭი.

— თავი თუ გაუჭეჭყე?

— თავი?

მარუანი თავს უქნევს.

— უნდა გამეჭეჭყა?

— არ აქვს მნიშვნელობა, თავი, ჯერჯერობით მხოლოდ ადამიანების საკუთრებაა.

— ჯერჯერობით?

— შენ ვერ გაიგებ.

ბავშვი ჩუმდება, მარუანი სახლს უმზერს, მერე ისეც ცაცხვის ხეს, ბავშვი ფესვებთან მიდის, ერთ მათგანზე გადაჯდება და თითქოს ცხენი იყოს, შეუძახებს, ფეხებით მიწას ფხოჭნის, ყლოჭინებს, ცდილობს, უფროსების მსგავსად მანაც რაღაც, უფრო ბოხი ხმა ამოუშვას ხორხიდან, მერე იგი ჩამოხტება „ცხენიდან.“

— დღეს გაწვიმდება, — ბავშვი მოზრდილი, გამოცდილი ადამიანივით უმზერს ჰორიზონტს, იქ, სვეტის თავზე შავი ღრუბლები იყრებიან.

— შენ ალბათ გიხარია.

გაოცებული უყურებს მოხუცს ბავშვი, იგი ვერ ხვდება რა უნდა უხაროდეს ან რატომ, — მე წავალ, — ამბობს იგი

იგი აზვავდება, იგი მოიქუფრება, შეეხლება ღრუბელი ღრუბელს და ჩვენ მომსწრები გავხდებით, მხოლოდ და მხოლოდ წვიმის, — ირონიულად ჩიფჩიფებს მარუანი, მერე კი აგრძელებს, ეძახის თავის თავს: — მარუან, მარუან მარუან, — წელანაც თავად ეძახოდა, მხოლოდ თვითონ ეძახდა საკუთარ თავს სიზმარში. — ამხედრებულა იგი მხედარი, ფეხები მიწამდე დაუშვია, თითქოს ფერფლის კუზი ის ძალაა, რომლის წყალობით წონასწორობას შეინარჩუნებს, იგი ფრთების ტყლაშუნში შეიმალება, ჩვენი ხმა დაცვენილ ბუმბულივით გაიფანტება და რამდენიმე სანტიმეტრიან სისქის საფარველად გადაეფინება დედამიწის ზურგს.

ბავშვი მიდის, მისი ფეხის ხმა ესმის მარუანს, მას ეჩქარება, ალბათ მოახლოებული ავდრის გამო.

ისიც მისი ხნის იქნებოდა მაშინ, მარუანი არ დაბრმავებულა, მხოლოდ სიზმარს ხედავდა გამუდმებით, დღესაც ხედავს იმ სიზმარს, ფერფლის კუზი კი სწორედ იმ, ძველი დროის სიზმარივით ბრწყინავს, ხანდახან ღრუბელი — ქალის კვართი თუ გადაფარავს, ხოლო ჯაჭვის ჟღრიალს, რომელიმე გატეხილი ნივთის ხმაური შეცვლის.

ყველაფერი იქ მიდის.

ყოველი იქით მიიწევს.

ფრთების ხმაურში იკარგება სინამდვილე.

გაშლილი თმის ბოლოები ფარავენ თვალსაწიერს.

პოეზია

ლეილა ჯახვერაძე

ნეტავ იმას...

იის კონის
სურნელი სდის
სულხან საბას
სიტყვის კონას.
ერთი, უფლის გზა —
ხსნად მიღირს,
ნარს ვუკაფავ
სიბრძნის მწონავს.
ველად მოვფენ
ვარდის ფურცელს —
— შოთას ლექსის
მადლს და სურნელს...
ნეტავ იმას,
ვინც მოიკრებს,
ვინც ჩამოხსნის
ტყავსაბურველს...

ნინო ტაჩყაშვილი

ც რ ე მ ლ ი

შეხე, მიჯნურო, როგორ ნაზად მორაკრაკებს თვალზე ცრემლები.
თითო ცრემლი, თითო ნოტია, ჩემს ლოყებზე აჟღერებული,
გეგონა ვტიროდი? — არა, ვმღერივარ!
ჩემი ცრემლები, ჩემი სიმღერაა უფლის წინაშე.
ჩემი ცრემლი ჩემი შუბია და ხმალი, რითაც ბოროტსა და
მაცდურზე ვიმარჯვებ.
ამ რაკრაკა მდინარესთან ირმები მოდიან და
ჩემს ცრემლებს წყაროს წყალივით ეწაფებიან.
ტანზეც იპკურებენ, ფეხებზეც, რქებზეც და ცრემლით მობრჭყვიალე რქებით,
მიწას ზეცასთან აერთებენ.
ირემი უფლისაა. მე ირმისა ვარ.
ირმის ფეხებით და ნუკრის თვალებით
და ჩემი მღერა საამოა.
ჩემი ცრემლები რწყავს მწვანე ბალახს, იას და ვარდებს.
მათ კი ძვირფას სატრფოებს უძღვნიან და ახარებენ.
ჩემი ცრემლები მთესველია სიყვარულისა და თავად ხნული,
სადაც სიყვარულს სთესენ და მასვე მკიან.
ნატიფ ჩრდილებად ირხევიან თვალთა ღაწვებზე
სიყვარულის თავთავები.
ჩემი ცრემლი სიტყვაა, რომლითაც უფალთან ვსაუბრობ,
და ვკადნიერდები და მისმენს უფალი.
სიტყვასა და სიტყვას შუა ბეღურები ჟღურტულებენ,
ფრინველები გალობენ, არწივნი ქრიან და
მთის მწვერვალებს აწყდებიან.
სიტყვასა და სიტყვას შუა
ბალახი მობიბინებს.
ყვავილები აცეკვებულან.
ირმები ბალახს ძოვენ.
ირმები ერთმანეთს ბალახს უწვდიან.
თავზე ხან მზე დაგვნათის, ხან მთვარე და ვარსკვლავები..
და საამოა დილა...
და საამოა საღამო...
ჩემი ცრემლები თვალთა წყაროდან მორაკრაკე ნაკადულია.
წარბები გადაკალმულან.
წერენ და წერენ ამბავს უკვდავი მიჯნურობისას.

ჩემი ცრემლები ჩემი ლოცვაა, ჩემი საგალობელი,
რომლისაც უფალს ყველაზე უფრო და ყველაზე მეტად ესმის.
ჩემი ცრემლები ჩემი როკვაა უფლის წინაშე,
მსგავსი დავით მეფსალმუნისა,
და ჩემს მაგივრად ისინი შესთხოვენ,
ისინი ღაღადებენ.
მათ უკეთ იციან, რა და როგორ ითხოვონ.
ისინი უფლის წინაშე დილის ცვარივით ბრწყინავენ
და მდაბლად ქედს იხრიან, მიწაზე ეცემიან,
მიწას და გულს ანედლებენ.
ამ გულით შემდეგ ერთ ვარდს ფურცლებად ცხრა და გაიყოფს.
თითო ფურცელს თმის სარჭად ნაწნავში ჩაიკერებენ.
ცხრა მზეთუნახავი და მდინარეზე წავა საბანაოდ.
ოქროს წყალში თმებს გაიშლიან.
ჩამოივლის ცხრა ძმა. დაინახავს ბროლის სახეზე
ოქროსფერი ტალღების ლივლივს.
ცხრა ძმა მათ ცოლად მოიყვანს.
ცხრა ოქროსქოჩორა ვაჟი გაუჩნდებათ.
ცხრა ოქროსთმიანი ქალიშვილი..
ჩემი ცრემლები მიწას სინანულის მარილს აყრიან,
მიწას ცრემლით ამარილებენ, გულს — სითბოთი და სიყვარულით და
ამ მარილით შაქრდება გული,
როგორც მინანქრის თეფშზე ჩაყინული თაფლი.
ჩემი ცრემლებით გულს მიწასთან და ცასთან ვაერთებ.
ანგელოზებთან ერთად ვნეტარებ,
შუაგულ ცეცხლში ვდგავარ და არ ვიწვი,
რადგან ღვთის ნებით, ცეცხლი ცვარად გარდაიქმნება.
ჩემი ცოდვები ცრემლში იწვიან,
რადგან ჩემი ცრემლი მხურვალეა.
დიახ, ცეცხლი, ცოდვა, მარილიან წყალში, —
ცრემლში იწვის და იფერფლება, ნაცრდება.
ცრემლი საშლელია, ამოვაგდებ მეხსიერებაში ჩაძირულ ცოდვებს
და უფალი ცრემლით შლის.
ამოვაგდებ და უფალი ცრემლით შლის... და ვმსუბუქდები,
საპნის ბუშტზე სიფრიფანა და ჰაერზე მჩატე ვხდები.
ჰაერის ოკეანის ფსკერიდან მწვერვალისკენ მივიწევ.
აღარ მიჭირს დიდხანს თვალხილულმა ვუცქირო ზეცას, ვუყურო მზეს.
სიყვარულის მზე ცრემლს ფერად ფანქრად აქცევს.
ფერადი ფანქრით მე წარსულს ვაფერადებ.
შემდეგ აწმყოს და მომავლის კონტურებს.
ყოველ ბუჩქში, ყოველ ქვაში, ყოველ ხეში
ოქროს ტახტრევანზე დაბრძანებული უფლის დანახვას ვცდილობ
და უფლის ნებით, მისი ხილვის იმედი მიპყრობს.
ღვთისმშობელი, ანგელოზები, სერაფიმნი და ქერუბიმნი,
მოციქულები და წმინდანები,
რომელნიც აღვსილან უფლის დიდებითა და სიყვარულით,
მისით ბრწყინავენ, მისით სუნთქავენ, მისით იკვებებიან.
ჩემს ცრემლებს ჩემთვის წყალობა მოაქვთ, უფლის თბილი და
ტკბილი წყალობა და თუმცა, არა მაბადია,
მე ამით მდიდარი ვარ.

ჩემი ცრემლებით შევიგრძნობ უფლის უკიდეგანო სიყვარულს
და მრავალიც მქონდეს, უკეთესს რას მოვიძიებ?
ჩემი ცრემლები მარადიული მარგალიტებია.
მათით ვიგებ წმინდა სახლს და ვემალები ათას განსაცდელს.
ჩემი ცრემლები ჩემი ფარი და ხმალია,
რითაც ბოროტს და მაცდურს ვიგერიებ.
ჩემი ცრემლები, ჩემი ფრთათეთრი რაშია,
რითაც ზეცაში მივქრივარ.
იგია ჩემი უსასყიდლო შუამავალი ღმერთთან.
არას ითხოვს, არას მავალებს.
როცა სულს სცივა,
ცრემლია ჩემი ტანისამოსი,
ჩავიცვამ და ვთბები,
ცრემლია ჩემი სახლი,
შევიყუჟები მასში და ვთბები.
როცა ცრემლი მეკარგება, დავტირი ცრემლებს უცრემლოდ
და ისევ მათ ვუხმობ ჭირისუფლად, მათგან ველი ნუგეშს.
თბილია ცრემლით განედლებული თვალი და
თვალთაგან მომდინარე ცეცხლი
ვნებასავით კი არ წვავს და აღაგზნებს ადამიანის გრძნობას,
არამედ, გზას უნათებს მას, როგორც სანთელი.
თითო ცრემლი თავად თითო სანთელია უფლის წინაშე.
ჩემს სახეს ფერუმარილის ნაცვლად
სინანულის ცრემლები მოსავს
და ვინძლო ღვთის თვალში, ჩემს სხვა შესაწირს სჯობს.
როცა უფალი გვიღიმის, — ცაზე ჩახჩახა მზეა.
როცა ის სწუხს ჩვენი ცოდვებისათვის, — ტირის და
მისი ცრემლი მიწას წვიმად ეპკურება.
ამ დროს, მე მიხარია, როცა ვტირი და
ჩემი ცრემლები უფლის ცრემლებს უერთდება.
მე და უფალს ერთი ცრემლი გვაქვს და
ამ ცრემლით გვიყვარს ერთმანეთი.

დოსტოევსკის მამული აღდგება

დოსტოევსკის საგვარეულო მამულის აღდგენა იგეგმება ბრესტის ოლქის ივანოვოს რაიონში...

ინიციატივას მხარს უჭერენ რუსული და ბელარუსული მხარეები, ოღონდ საბოლოო გადაწყვეტილება სამოკავშირეო სახელმწიფოს მინისტრთა საბჭომ უნდა მიიღოს. ბელარუსის კულტურის სამინისტრომ, თავის მხრივ, უნდა მოამზადოს აუცილებელი დოკუმენტაციის პაკეტი.

ფულადი სახსრების გამოყოფის თაობაზე განცხადება სამოკავშირეო სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დოსტოევსკის მამულის აღსადგენად სათანადო ორგანოებში უკვე შესულია.

პროექტს დიდი მნიშვნელობა ექნება ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთ-თანამშრომლობისათვის.

საგვარეულო მამულის აღდგენის შემდეგ იქ განთავსდება ცნობილი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სამუზეუმო ექსპოზიცია. მამული ნაწილობრივ 1943 წელს, ხოლო გასული საუკუნის 60-იან წლებში მთლიანად განადგურდა.

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲑᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲐ

ᲩᲔᲛᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ ᲒᲣᲓᲝᲕᲜᲘ

მგლური მეგობრობა

ადრიან სიჭაბუკიდან მაგონდება: განსვენებული მამაჩემი მოწადინებული იყო მე და ჩემს ძმას ნიადაგ უნდა გვენადირნა, თოფის სროლაში და ისინდის ტყორცნაში გვევარჯიშნა.

მერმე ის იყო, ჩვენ ისე კარგად ავითვისეთ ეს ყოველივე, გაჭენებული ცხე ნიდან ვესროდით ხარიხაზე დაკიდებულ მათრახს და ზედ ენაზე ვახვედრებდით.

ბოლო ხანს თვით უძნელესი რამ ავითვისეთ. უბელო ცხენს ვაჭენებდით, ჩამოვხტებოდით და მეორე მხრიდან შევახტებოდით.

ერთ დღეს მამამ შეგვნიშნა, მე და ვანო არხეინად ვიწექით ჩვენი შტომრავალი კაკლის ძირას და სასაცილო ამბებს ვუყვებოდით ერთიმეორეს.

მამა თავს წაგვადგა და გვითხრა:

„ადრე დამიბერდით, ბიჭებო, სამხრულ დასვენებას შესდგომიხართ. ხვალ უთენია წადით სირიაჩქონს და ჩვენი ათივე ცხენი აქ მომგვარეთ“.

მეორე დღეს ბევრი ვეძებეთ, მაგრამ სირიაჩქონში ვერც ერთი ცხენი ვერ ვიპოვეთ. მერმე ის იყო, პალიასტომის ტბისკენ გავიარეთ.

აქ კი ვიხილეთ უცნაური სანახაობა, რომელიც დღემდე არ დამვიწყნია. ცხრა ცხენი ნებიერად ბალახობდა მეჯოგის კარვის მახლობლად, ხოლო მეათეს ამბავი არც თუ სახუმაროდ გვეჩვენა. ჩვენი საყვარელი ლაფშა, რომელსაც ლომას ვეძახდით, სამ მგელს გაენაპირებინა. ლომა ვაჟკაცურად ებრძოდა სამივე მხეცს, ზოგს ტორებს უთავაზებდა, ზოგსაც საკბენად წაეტანებოდა. ორი მგელი შავი ზღვისაკენ ეზიდებოდა ლომას, ხოლო მესამე ჩვენსკენ, ე.ი. იმ ნაპირისაკენ, რომელზედაც ჩვენ ვიდექით, ეს იყო მკერდშევერცხლილი უზარმაზარი მგელი.

ჩვენ თოფიანები რა დაგვინახეს, ორმა მაშინვე მოუსვა, ხოლო მესამემ ველარ მოასწრო გაძრომა და მე მას ვუთავაზე მკერდში ჟაკანი. ხოლო გაქცეულთაგან ერთს ვანომ მიართვა ჟაკანის ტყვია. მაგრამ მგელმა ჩაყვინთა და მერმე მისი გასაგისიც ველარ ვიხილეთ.

II

ჩვენ დიდად გავიხარეთ მგლებზე გამარჯვებით. ეს ყოველივე მამას ვუამბეთ. მე ჩვენს მოხსენებას დავსძინე: ორი მგელი შავი ზღვისაკენ ეზიდებოდა ლომას, ხოლო მესამე ჩვენსკენ, ის მესამე აღმოჩნდა-მეთქი ჩვენი ნამდვილი მეგობარი.

მამამ ირონიულად გაგვიღიმა და სთქვა: „ჰე, თქვე ნაცარქექიებო, ის მესამე თქვენსკენ კი არა, თავისკენ ექაჩებოდა საცოდავ ლომას“.

* * *

ეს იგავი მაგონებს მავანსა და მავან მოღვაწეებს, რომელნიც ამ ბოლო ხანს მომრავლდნენ ჩვენში. მუშაობისას ისინი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიან, თითქოს ჩვენი ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის ზრუნავენ, მაგრამ საქმით იმ პალიასტომელ მგელს მაგონებენ, რომელიც მართლაც ჩვენსკენ კი არა, თავისაკენ ეზიდებოდა ჩვენს ლაფშას.

ტფილისი. კოლხური კომეკი.
1972, 25.XI.

თეა ღომაძე

ავტორის ამბავი

(ნაწყვეტი მოთხრობიდან „ქარის მოტანილი ამბავი“)

ქარი ქალაქიდან ცოტა მოშორებით ცხოვრობს. მას სამი თმაგაწეწილი ქალიშვილი ჰყავს. დიდი შავი თვალები და თეთრი კანი აქვთ. არ გაინტერესებთ, მთელი ეს ამბები ასე კარგად საიდან ვიცი? თავიდანვე აღვნიშნე, თითქმის ყველაფერი საკუთარი თვალით მაქვს ნანახი-მეთქი.

მე ქარის უმცროსი ქალიშვილი ვარ. როგორც ყველა პატარა, გრძელთმიანი გოგონა, მეც ვერ ვიტან თმის ვარცხნას. არც არავინ მაძალებს და, საერთოდ, დიდი ხნის განმავლობაში სავარცხელი სულ არ გვქონდა ოჯახში. აბა, საიდან ვიცი, რომ ვერ ვიტან? იქიდან, რომ ბევრჯერ დამინახავს, როგორ იტანჯებიან პატარა გოგოები ამ დროს.

ჩვენ, დებს, ძალიან გვიყვარს დედა ისევე, როგორც თქვენ, ადამიანებს. მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ჩვენ, შეიძლება, მოგვეწონოს თქვენი დედა, თქვენ კი არავის მოგწონთ ჩვენი დედა-ქარი. არადა, ის ისეთი კარგია, როცა საქროლად არის წასული, ჩვენ მას მოუთმენლად ველით. მერე დედა მოდის და ათასგვარ ამბავს გვიყვება. რა აღარ იცის ქვეყანაზე! ჩვენ ვსაუბრობთ, ვმღერით, ვიცინით და ვხატავთ. სახატავი ფურცლები და ფანქრები დედას მოაქვს ხოლმე. თუ მშვიდად არის, მსუბუქი ნივთების მოტანა შეუძლია, ხოლო თუ ბრდღვინავს, თუნდაც, ფესვებიან ხეს მოიტანს. ისე, დედაჩემი ძირითადად წყნარი ქალია. ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ ხშირად ვხატავთ. თავიდან ჩვენ მხოლოდ ქარის წისქვილების ხატვა ვიცოდით, არის ქვეყანა, სადაც ადრე ბევრი ქარის წისქვილი იყო. იქ ახალგაზრდობაში ბებიაჩემი ქარობდა და ამ წისქვილების ხატვა დედასაც და ჩვენც მან გვასწავლა. მერე დედამ მოგვიტანა წიგნი „ვისწავლოთ ხატვა“. მშვენიერი სახელმძღვანელო იყო და ნელ-ნელა ყველაფერი ავითვისეთ. ბებია ახლა ძალიან მოხუცია. თქვენებურად რომ ვთქვათ, პენსიონერია. როცა დედა შინ არ არის, მას ჩვენ ვუვლით. ბებია მოხუცია, მაგრამ არასოდეს მოკვდება იმიტომ, რომ ჩვენ უკვდავები ვართ. აი, მე მაგალითად, არასოდეს მოვკვდები. თუ სიმართლე გინდათ, ზოგჯერ თქვენც უკვდავები ხართ, ოღონდ რაღაც სხვანაირად... ამაში ჯერ კარგად ვერ ვერკვევი.

ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ არასოდეს მოვკვდები, გავიზრდები და მეც ქარი გამოვალ. მოთმინებით დაველოდები, მზე როდის გამანაწილებს სამუშაო ადგილზე. ჰო, მზე, ის ყველაზე მთავარია. გავიზრდები, ქარი გავხდები და მეც არ გეყვარებით არავის. დილით ფანჯარაში რომ გამოიხედავთ და ხის ერთმანეთში გადახლართულ ტოტებს დაინახავთ, დაიჯღანებით, ფუ, რა საზიზღარი ამინდიაო. ეს, რომ გავიზრდები – მაშინ. ახლა კი, რომ დამინახო, შეიძლება, მოგეწონო კიდეც. მგონი, საკმაოდ საყვარელი ვარ და თან ისე ლამაზად შეკერილი, გრძელი, ცისფერი კაბა მაცვია! ისე, სულ ფერად-ფერადი კაბები მაქვს. თმები და კაბის კალთები ყოველთვის მიფრიალებს იმიტომ, რომ ქარის ქალიშვილი ვარ. აი, ჩემს უფროს დას კი კაბა აღარ უფრიალებს. ხომ ვთქვი, ხანდახან დედას რაღაც ნივთები მოაქვს-მეთქი. ერთხელ შემთხვევით სავარცხელი მოიტანა. ეს კი

არ უნდა ექნა. ჩემმა უფროსმა დამ აღარ ისურვა თმაგაჩეჩილობა, მთელი ორი თვის მანძილზე ივარცხნა და ბოლოს მსხვილი ნაწნავი დაიმშვენა. ჰოდა, აბა, თმადაწნილი ქარი ვის გაუგონია? ის, ალბათ, ქარი აღარ გამოვა, სხვა რამეს მოიფიქრებს, ამიტომაც შეუწყდა კაბის ფრიალი.

ბებია ძალიან გვიყვარს. სწორედ ის გვიკერავს ფერად-ფერად კაბებს და ბევრ საინტერესო ამბავს გვიყვება ქარის წისქვილებიან ქვეყანაზე. მას მუდმივად სჭირდება ჩვენი ყურადღება. ზოგჯერ მოიწყენს ხოლმე და მაშინ ჩვენ, დები, უნდა მოვუყვეთ რამეს და გავამხიარულოთ. მოსაყოლი ბევრი გვაქვს იმიტომ, რომ საკმაოდ ბევრი ვიცით. დედა ყოველთვის ზრუნავდა ჩვენს განათლებაზე და ნაირ-ნაირი წიგნები მოჰქონდა ჩვენთან. საკმარისია, ბებია დავივიწყოთ ან ნაკლები ყურადღება მივაქციოთ, რომ ის ისეთ ღრმა ძილს მიეცემა, მისი გაღვიძება თითქმის შეუძლებელი გახდება. მოხუცებს ხომ ძალიან სჭირდებათ შვილიშვილების ყურადღება! მგონი, თქვენთანაც ასეა, მაგრამ ვერ ხვდებით. ბებიას, ალბათ, ძალიან გაართობდა ტელევიზორი თავისი სერიალებით, მაგრამ მისი უვნებლად მოტანა დედას ძალიან გაუჭირდება, თანაც ჩვენი სახლის გარშემო სულ ქრის, ამას კი ვერცერთი ანტენა ვერ გაუძლებდა. ისე რომ, ბებია რადიოს სჯერდება, თუმცა იმ საცოდავსაც სულ შიშინი გაუდის.

საერთოდ, თქვენ, ადამიანები, ძალიან გათამამდით და უხეშად ერევით ბუნების კანონებში, მერე კი ისევ ბუნებას აბრალებთ ყველაფერს. აი, მაგალითად, ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში სწავლობთ, რომ ტყის გაჩეხვას ბევრი უბედურება მოჰყვება. მერე რა, ვინ დაიჯერა? გაანადგურეთ ტყის საფარი ზოლი და ახლა ხშირად ჩივით, ძლიერმა ქარმა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაგვიზიანაო. მერედა, ვისი ბრალია? ისე უყვარს დედაჩემს ხეებს შორის სრიალი, მათი შეჯანჯღარება... მაგრამ სადღაა ტყე! ზოგჯერ კი თქვენ თვითონ მოიწყობთ ხოლმე ქარიშხალს. ერთხელ, მახსოვს, დედაჩემს დასვენების კვირეული, თქვენებურად რომ ვთქვათ, შვებულება ჰქონდა. ჰო, დამსახურებული შვებულება, ჰოდა, იყო თავისთვის წამოწოლილი და ნებივრობდა. ჩვენც ფერხთით ვესხედით. ამ დროს რადიო აცხადებს: გაცნობებთ, რომ დღეს მოსალოდნელია ძალიან ძლიერი ქარი 35 მ/წმ სიჩქარით. საღამოს შვიდი საათის შემდეგ ეცადეთ, სახლიდან არ გამოხვიდეთ და აივნებიდანაც ყველაფერი აიღეთო. დაცინვაც ამას ერქვა. რა უნდა ექნა საწყალ დედაჩემს, სულ არ ეხალისებოდა წამში 35 მეტრი სიჩქარით ქროლვა, მაგრამ, სინოპტიკოსებს ნამუსი უნდა მოვწმინდოო, და წაფრიალდა. ძალიან გაბრაზებული იყო, რას ჰქვია, აივნები გაცალეთ, თავი ძალით უნდა მოვიგიჟიანო და თან ვერაფერი გავტეხოო? გაბრაზებულმა წამში 36 მეტრი აკრიფა და კარგადაც დაამტვრია რაღაც-რაღაცები იმიტომ, რომ თქვენ, როგორც წესი, დაჯერება არ გჩვევიათ და აივნები არ გაგიცლიათ. მოკლედ, ასეც ხდება ხოლმე, ბევრ რამეს ტყუილად აბრალებთ. აი, თუნდაც ყვითელი ფოთლები ავიღოთ; გეცოდებათ, რომ საძაგელი ქარი გლეჯს და სადღაც შორს გააქროლებს, მიაფრიალებს. ამაზე საწყალობელ ლექსებსაც წერთ, სინამდვილეში კი მათ ისე მობეზრდათ ერთ ადგილას ყოფნა, ნატრულობენ კიდეც, წყნარ ამინდში კი არ ჩამოცვივდნენ, არამედ ქარმა მოწყვიტოს, რომ ცოტა ხნით მაინც მის ფრთებს აჰყვნენ და იფრინონ.

ახლა კი დროა, იმაზე მოგითხროთ, თუ როგორ ჩამივარდა ხელში ზემოთ მოყვანილი ამბავი. დედის საქმიანობისადმი დებს შორის მე გამოვიჩინე ყველაზე მეტი ინტერესი. ამიტომ მას ხშირად დავყავდი თან, ხელს ჩამჭიდებდა და ერთად მივქროდით. თავიდანვე ძალიან მომეწონა თქვენი ქალაქი... თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერი – არა. ვთქვათ, რას ჰგავს ეს სხვადასხვაფრად ამოშენებული აივნები ან ეს საგაზაფხულოდ გადაჭრილი ხეები ან კიდევ ნაგავი? იცით, ძალიან არასასიამოვნოა, ჰაერში რომ ცეკვავ და თან ცელოფნის პარკებს, კანფეტის ქაღალდებს და სხვა ათას საშინელებას აიყოლიებ. მაგრამ ცუდზე არ მინდა ვილაპარაკო. საერთოდ, აღფრთოვანებული ვიყავი, ყველაფერს ვაკვირდებოდი და ვიმახსოვრებდი. ეს ძალიან გამომადგა. იმიტომ, რომ ერთხელ დედა ავად გახდა (ეჭვი მაქვს, გამონაბოლქვით დაბინძურებული ჰაერის ბრალი იყო). ეს უიშვიათესი ამბავია. ქარები, როგორც წესი, ავად არ ხდებიან და თუ ეს მაინც მოხდება, მზეს, სულ ცოტა, ორი ადამიანი მაინც უნდა დაუსახელო, ქარი რომ უყვარს. როგორი ძნელი მოსაძებნია ასეთი ადამიანები, თავად მოგეხსენებათ. დედას ისე ახველებდა, განძრევის თავი არ ჰქონდა, ბებიას არ შეეძლო, ჩემი

დებიდან ერთი უკვე თმადაწნილი იყო, მეორე კი სულ არ იცნობდა დედის სამუშაო ადგილს. ჰოდა, აი, აქ გამომადგა ჩემი დაკვირვებულობა. უცბად გავიხსენე ორი ადამიანი და მზესთან წავფარფატდი. ძალიან ვღელავდი. მზესთან მოქცევის ეტიკეტის წესებს გზაში ათასჯერ ვიმეორებდი. მთავარი იყო, თვალებში არ შემეხედა. რასაც თქვენ ხედავთ, ის მზის მშვენიერი, ოქროსფერი თმებია, მის სახეს ვერ დაინახავთ (რა თქმა უნდა, მზე ისეთი ცხრათვალა არ არის, თქვენ რომ ხატავთ). ეს ძალიან საშიშიც არის. ვინც მზეს თვალებში შეხედავს, მაშინვე ბრმავდება. ბრმა ქარი გაგიგონიათ? მე – კი. მინახავს, ვიცნობ კიდეც. მან გაბედა და სწორედაც თვალებში შეხედა მზეს. მოკლედ, საბედნიეროდ, ყველაფერი სწორად გავაკეთე და ზრდილობიანი სალამქალამის შემდეგ დედაჩემის მოყვარული ორი ადამიანი დავუსახელე. პირველი იყო ერთი მეტად ცნობილი და უცნაური მწერალი, რომელსაც მხოლოდ ქარიან ამინდში ეწვეოდა ხოლმე მუზა და მეორე – ზუსტად მის ქვემოთ მცხოვრები, თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი, ცამეტი წლის ბიჭი. გაგიკვირდებათ, იმას რატომღა უყვარდა ქარიო. ეს ბიჭი კვირაში სამჯერ ჩოგბურთზე დადიოდა ღია მოედანზე. არ ვიცი, დიდად გულზე არ ეხატებოდა ეს ჩოგბურთი თუ წასვლის წინ სიზარმაცის შემოტევა ეწყებოდა, ეს კია, ხშირად ნატრობდა ქარს ან წვიმას, რადგანაც ამ დროს გაკვეთილი უცდებოდა. წვიმა მოედანს ასველებდა, ქარი კი დარტყმულ ბურთს მიმართულებას უცვლიდა. ეს იყო და ეს. ამ ორმა ადამიანმა გადაგვარჩინა და სახლში რომ დაბრუნდი, დედა უკვე გამოჯანმრთელებული დამხვდა. ამ ამბის შემდეგ ამ ჩვენს გადამრჩენლებს მეტ ყურადღებას ვაქცევდი. განსაკუთრებით, ბიჭი მომწონდა. მას ძალიან უყვარდა სუფთა ჰაერი და ოთახის ფანჯარა ხშირად ჰქონდა ღია. მეც შევსრიალდებოდი და მის ბინას ვათვალიერებდი ხოლმე. ერთხელაც მის ოთახს თვალს რომ ვავლებდი, საწერ მაგიდაზე ის რვეული დავინახე, რომელშიც საღამოობით ხშირად წერდა რაღაცას. რვეული ჩემთვის ცოტა მძიმე იყო (მე ხომ ჯერ პატარა ვარ), მაგრამ ძალიან მოვინდომე, ორივე ხელი მაგრად ჩავჭიდე და გავაქროლე. ეს ამბავი იქ ამოვიკითხე. ძალიან მომეწონა იმიტომ, რომ, თუ კარგად დაუკვირდებით, მასში დედაჩემი თითქმის მთავარი გმირია. სასწრაფოდ გადავწერე და რვეული უკან დავაბრუნე. ცუდად მოვიქეცი, არა? ეგ თქვენთვის, თორემ მე ხომ ადამიანი არა ვარ. ისე, მართლაცდა, რა მოხდა, დიდ-დიდი, ერთი-ორი დღე ეძებნა. ისედაც დიდი მოწესრიგებულობით არ გამოირჩევა, სულ რაღაც ნივთს კარგავს და მერე მთელი დღე ეძებს ხოლმე.

მწერლის მოყოლილი ამბებიდან ყველაზე მეტად სვიტრის ამბავი მომეწონა და დედას ვკითხე, ხომ არ იცი, გამოიგონა თუ მართლა მოხდა რაიმე მსგავსი-მეთქი.

– როგორ გეკადრება, რას ქვია, გამოიგონა! – იწყინა მან, – ზუსტად ასე მოხდა, ის ბიჭი თვითონ იყო და ეგ ამბავიც თავის თავზე მოუყოლია. საიდანღაც მორბოდა, სიცივისაგან იკრუნჩხებოდა. მე თოკზე თბილი, მშრალი ტანსაცმელი მოვძებნე და ზედ თავზე ჩამოვაცვი. მე გადავარჩინე, – სიამაყით ჩაურთო, – მან კი მოახერხა და მეორე დღეს თავისი შორეული ნათესავი ცოლ-ქმარი იპოვა. იმათ ნამდვილი დედობა და მამობა გაუწიეს. იმ სვიტრს კი დღემდე ინახავს კარადაში. ეგ კაცი უკვდავია, ჩვენსავით არა, მაგრამ ადამიანურად.

ასეც ვიცოდი, რომ დედაჩემი გულის სიღრმეში ძალიან კეთილია, ჰოდა, მინდა სხვებმაც გაიგონ.

სანდროს რვეულიდან შევიტყვე, მწერალმა წერას თავი დაანებაო და ძალიან დამწყდა გული. მართალი გითხრათ, ქართული ლიტერატურის ბედი მაინცდამაინც არ მანაღვლებს, უბრალოდ, ჩავთვალე, თუ წერას თავი დაანება, ქარიც აღარ ეყვარება-მეთქი. დედას ხვეწნა დავუწყე, წამო, თავი შევახსენოთ-მეთქი. თითქოს ჯიბრზე, ყველაზე უქარო სეზონი იდგა, მაგრამ დედამ ჩემი მუდარა შეისმინა, ხელი ჩამკიდა და თან წამაფრიალა. ბევრი ვიქროლეთ მისი სახლის გარშემო, სულ ყურში ჩავჩურჩულებდი, რატომ აღარ წერთ, ასე არ შეიძლება-მეთქი. სასიამოვნო მუსიკის ხმა შორიდან მის ყურამდე მიმქონდა, მოკლედ, ძალიან ვცდილობდი და, მართლაც, ჩემსას მივაღწიე. ბოლოს და ბოლოს მწერალს გულმა გაუწია და ქაღალდის ხელსახოცზე რაღაცის ჩხაპნა დაიწყო. მერე სხვა ნაკუწზე გადავიდა. ვაი, ახლა ეს საუკეთესო სახელიანი ქალი, მერია თუ ვიღაცა, ყველაფერს გადაუყრის-მეთქი, შევშინდი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და მწერალმა ისევ დაიწყო, ოღონდ სულ სხვანაირი წიგნის წერა. მან დაიწყო

წერა ბავშვებისთვის. სხვა მწერლებს რომ ჰკითხოთ, შემოქმედებით მწვერვალზე მყოფმა სამი ნაბიჯით უკან დაიხიაო, მაგრამ, აბა, იმათ რა ესმით! ჰო, რა თქმა უნდა, საბავშვო წიგნებში დიდ პრემიებს არავინ მისცემს, მაგრამ ეყო, რაც დიდებს ემსახურა და ყოვლად გაუგებარი რომანები შექმნა. ახლა კი ისე შეიცვალა! მკაფიოდ და გასაგებად წერს. ახლა აღარ არის საჭირო მისი ნაწერის ორჯერ ან სამჯერ წაკითხვა, რომ მთავარი აზრი გამოიტანო. საიდან ვიცი? იქიდან, რომ მერისაც უყვარს ოთახების განიავება და ხანდახან მწერალს ქაღალდებში ვუჭყიტინებდი. ის ბავშვები, სამივენი, მისი წიგნის პერსონაჟები გახდნენ. თითქოს ადგნენ და რეალური ცხოვრებიდან პირდაპირ წიგნში მოადინეს ტყაპანი. ყველამ – ჩემ გარდა. თუმცა მეც ბავშვი ვარ, მაგრამ ვერავინ მხედავს, არავინ მიცნობს. არადა, მგონი, საკმაოდ საყვარელი ვარ. აი, რომ გავიზრდები, ვერ ამიტანენ, იტყვიან, ფუ, რა ცუდი ამინდიაო.

რა ვქნა, მოთმინებით ველოდები იმ ახალი საბავშვო წიგნის გამოსვლას. ამ ჩემს ნაწერს კი, ახლა რომ კითხულობ, იცი, რას ვუპირებ? გადავწყვიტე, დავასურათო და რომელიმე ენთუზიასტ გამომცემელს შევუგდო ოთახში, იქნებ, მოეწონოს და საკუთარი ხარჯით გამოსცეს. თუ არა და რას ვიზამ! დედას ვეტყვი და შურს იძიებს. ერთი კარგად აუჩეჩავს თმას და ერთ-ორ ფანჯარასაც ჩაუმტვრევს. რა ვქნა, ალბათ, ცუდია ასე მოქცევა, მაგრამ მე ხომ ქარის ქალიშვილი ვარ, თქვენ რომ თითქმის არავის გიყვართ, იმ ქარისა და სხვანაირად მოქცევა არ შემიძლია. ეს ამბავი მოგიტანეთ და უკან აღარ წავიღებ, როგორც ქარს სჩვევია.

ახლა პატარა ნიავი ვარ, ყველას რომ მოსწონს. მერე დიდი რომ გავიზრდები, ქარი ვიქნები და არავის გეყვარებით. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რომ ამბობენ, ბავშვი ყველა კარგია, მაგრამ რომ იზრდებიან, მერე... ისე რომ, ნუ გაგიკვირდებათ. არ გეყვარებით, მაგრამ ზოგჯერ... ზოგჯერ ხომ ინატრებთ ქარს, რომ ღრუბლები მორეკოს და წვიმა ან თოვლი მოიყვანოს? ზოგჯერ ხომ დაიხუთებით სიცხისაგან და ისურვებთ, ნეტა, ნიავმა დაუბეროსო? ჰოდა, მოდი, ეს შემთხვევებიც გაითვალისწინეთ და მარტო ცუდი ნუ გაგახსენდებათ.

მე კი, ვიცი, მეყვარებით. უბრალოდ, რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია, უნდა ვიქროლო. ზოგჯერ ყურში რაღაცას ჩაგჩურჩულებთ, ზოგჯერ საგულდაგულოდ დავარცხნილ თმას ავიწეწავთ, რა იცით, იქნებ ასე უფრო გიხდებათ? შეიძლება, ქოლგაც წაგართვათ... მაგრამ ამავე დროს, თუ მომეწონებით, მოგეფერებით, კისერში გაკოცებთ, თუმცა ამას თქვენ ვერ იგრძნობთ. და თუ იგრძნობთ, ალბათ, მეორე დღესვე ყელი აგტკივდებათ.

ბოლოს კი ამის თქმა მინდა: გააფრთხილეთ დედები, ტანსაცმელს გარეთ ნუ გაკიდებენ ან, იქნებ, პირიქით, გაკიდონ! თუ ჩვენ წავიღებთ, იცოდეთ, იმას მივუტანთ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება.

ვულოცავთ

ჩვენი ჟურნალის ლიტერატურული გაერთიანების წევრს, დიმიტრი ყიფიანის პირდაპირ შთამომავალს, მწერალს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ილია ჭავჭავაძის ცენტრის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ქალბატონ თამარ მიქაძეს დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალს, დიდი წინაპრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. 24 აპრილს ქვიშხეთში მას მედალი გადასცა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ბერაიამ.

მომავალშიც წარმატებებს ვუსურვებთ ქალბატონ თამარს შემოქმედებით თუ სამოღვაწეო ასპარეზზე.

პატივისცემით:
ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ რედაქცია

ენა და გლობალიზაცია

დედამიწა არასოდეს იქნება ნაცრისფერი...

საკითხის აქტუალობის გამო, მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ მარი წიკლაურისა და ანა ედილაშვილის ინტერვიუს (აწ გარდაცვლილ) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან, გელათის აკადემიის აკადემიკოს-მდივანთან, პოეტ მიხეილ ქურდიანთან

— თქვენი აზრით, რამდენად რეალურია,რომ ინგლისური ენის გავლენით ქართული დაკარგავს ძირითად საკომუნიკაციო მნიშვნელობას და შინ სალაპარაკო ენად იქცევა?

— არ დაიღალა კაცობრიობა მსგავსი მონსტრების გამოგონებით?! საბჭოთა კავშირშიც ყოველთვის გვეუბნებოდნენ, რომ ოდესმე დადგებოდა დრო, იქნებოდა ერთი ენა და ყველა ხალხი ამ ენაზე ილაპარაკებდა. შემორჩენილ მცირე ენობრივ განსხვავებებს, მხოლოდ საშინაო ენის ფუნქცია ექნებოდა. ეს არ გამართლდა. მეტსაც გეტყვით — მე ლინგვისტი ვარ და ვიცი, ენას ერთადერთი მიდრეკილება გააჩნია — გაყოფისაკენ. ჩვენ მოვესწრებით იმას, რომ ყველანი ისევ ქართულად ვილაპარაკებთ, ხოლო შეიქმნება ინგლისური ენის ახალი ვერსიები და ერთ მშვენიერ დღეს, ავსტრალიელები და ამერიკელები, ან ინგლისელები და სამხრეთ აფრიკელები ერთმანეთს ვერ გაუგებენ; ამით დამთავრდება ერთიან ინგლისურ ენაზე საუბარი. თქვენ რომ ნახოთ ინგლისურსა და ამერიკულს შორის განსხვავებათა ლექსიკონი, უბრალოდ, შეგეშინდებათ.

ყველას გვახსოვს, იყო დრო, როცა მეცნიერება ლათინურ ენაზე იქმნებოდა და მთელი კათოლიკური ეკლესიაც ლათინურად ლაპარაკობდა. გაამართლა ამან, გამოიღო შედეგი? ლათინური ენა დაიშალა უამრავ სხვადასხვა ენად, მივიღეთ: ფრანგული და ოქსიტანური, ესპანური და პორტუგალიური, რუმინული, იტალიური, სარდინიული და ა.შ. მომავალში ასევე დაიშლება ინგლისური ენაც, როგორც უნდა ვეცადოთ მისი შეკავება. რაც მეტი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი მიიღებს მონაწილეობას ინგლისური ენის ფუნქციონირებაში, მით მეტად დანაგვიანდება ეს ენა, მით მეტი ლექსიკური ერთეული შევა ამა თუ იმ ენიდან, რომლებიც უკვე გაუგებარი იქნება სხვა რეგიონებისათვის, ამას დაუმატეთ სხვადასხვა სახითა და დოზით ინოვაციები სხვადასხვა დიალექტში.

აი, ნახეთ უზარმაზარი არაბეთი — დღეს ეგვიპტელი და სირიელი ერთმანეთს ვერ ელაპარაკება თუ კლასიკურ არაბულს არ მიმართეს. დამთავრდა არაბული ენის მთლიანობისა და მონოლითურობის სტადია, დაიშალა ეს ენა. შევიდა ესპანური სამხრეთ ამერიკაში, რა მივიღეთ შედეგად? ის, რომ თუ არ ილაპარაკეს სალიტერატურო კლასიკურ ესპანურზე, არგენტინელი და კოლუმბიელი ერთმანეთს ვერ გაუგებს. ამიტომ, შეუძლებელია, რომელიმე ენამ მოიცვას მსოფლიო და ლინგვისტური თვალსაზრისით იმავე ენად დარჩეს, მსგავსი რამ არც მომხდარა და არც არასოდეს მოხდება...

— როგორ აფასებთ გლობალიზაციას და რით უნდა დაიმკვიდროს საქართველომ ადგილი გლობალურ სამყაროში?

— დედამიწა ძალიან პატარა პლანეტაა, უფრო პატარა, ვიდრე თქვენ ამისი წარმოდგენა შეგიძლიათ. ჩვენ, დედამიწელები, ძალიან ცოტანი ვართ. ახლა მე თქვენ წინ ვდგავარ და მიხეილ ქურდიანი ვარ, ჩემს მშობლიურ ტომში მე ვიქნები მულაზელი, ჩემი ტომიდან რომ გამოვალ, სხვა ქართველებთან მიმართებით სვანი ვიქნები, საქართველოდან რომ გავალ, უბრალოდ, ქართველი ვიქნები. აზიაში ევროპელი ვიქნები, ისინი — აზიელები, ამერიკაში — აღმოსავლეთ ნახევარსფეროს წარმომადგენელი,ისინი — დასავლეთ ნახევარსფეროსი. როგორც კი კოსმოსში გავალთ, ჩვენ — ყველანი ადამიანები ვიქნებით. აი, ეს არის გლობალიზმი. ცნება „ოიკუმენაც“ სწორედ ამას, გლობალურ სამყაროს ნიშნავს.

ჩვენ ხანდახან გვიცხოვრია ოიკუმენას პერიფერიაში. ერთი პერიოდი ვცხოვრობდით სამყაროში, რომელსაც განაგებდა სპარსული ენა. როდესაც ხაყანი შირვანიმ აღმოაჩინა, რომ ამ სამყაროში ორი ახალი პოეტი გამოჩნდა, დაწერა ლექსი: მართალია, პირველობას მეცილებიან,მაგრამ ვერაფერს დამაკლებენ განჯელი ძაღლი და რუსთაველი ვირიო. მე სულაც არ მწყინს, რომ ხაყანი შირვანიმ ღვთაებრივ რუსთაველს ვირი უწოდა, ანდა ნიზამი განჯელს — ძაღლი. უბრალო მიზეზის გამო არ მწყინს — რუსთაველის სიცოცხლეში ეს მისი პირველი მოხსენიებაა. ორი ახალგაზრდა პოეტი რომ ისე გაამწარებს და გააცოფებს ისეთ დიდ პოეტს, როგორიც ხაყანი შირვანია, რომ ლანძღვაზე გადაიყვანს, ამაზე დიდი შეფასება შეუძლებელია. ეს ადამიანი რომ ძაღლს გიწოდებს, ეს იმის მანიშნებელია, რომ თავის კონკურენტად გაღიარა, თითქმის მეფე გიწოდა.

რატომ უნდა სცოდნოდა ხაყანი შირვანის, რომ საქართველოში იყო შოთა რუსთაველი? იმიტომ, რომ იმ დროის სამყარო ძალიან პატარა იყო და გენიოსის გამოჩენას მაშინვე ხვდებოდნენ, ზოგს უხაროდა,ზოგს აცოფებდა. ასე რომ, მომავალშიც ასეთი სიტუაცია იქნება.

ჩვენ ამ გლობალიზაციას უნდა მივესალმოთ, ოღონდ თანასწორობის პრინციპი უნდა არსებობდეს. რუსეთმა, ამერიკამ, ჩინეთმა არ უნდა დაიჯერონ, რომ ისინი ვინმეზე უკეთესები არიან, ისევე, როგორც ჩვენ. ჩვენნაირი ხალხი რომ დედამიწაზე არ დადის, ეს ჩვენს პირველობას სულაც არ გულისხმობს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სხვებს არ ვგავართ.

— მაინც რით არ ვგავართ სხვებს, რა არის ის მთავარი ღირებულება, რაც აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ?

— ჩვენი წინაპრებისაგან ერთი ძალიან დიდი ფასეულობა მივიღეთ, ეს ღირსების გრძნობაა. ქართული ლიტერატურა ღირსების ლიტერატურაა. მთავარია, რომ ჩვენც ღირსების ხალხი ვიყოთ. აი, გახსოვთ, „ვეფხისტყაოსანში“ არის ასეთი ეპიზოდი: მიადგებიან ქაჯეთის ციხეს ფრიდონი, ავთანდილი და ტარიელი. ფრიდონი საკმაოდ ავანტიურისტულ, თუმცა საინტერესო გეგმას შესთავაზებს. ავთანდილი ამ გეგმას დაუწუნებს, მოიხმობს არგუმენტებს და თვითონ წარმოადგენს უნაკლო გეგმას. როცა პირველად ვკითხულობდი „ვეფხისტყაოსანს“, ვფიქრობდი, რას იტყოდა ტარიელი, მას ხომ არგუმენტი აღარ დარჩა. მაგრამ, უცბათ დავმარცხდი — ტარიელს აღმოაჩნდა ყველაზე მთავარი არგუმენტი, მან თქვა: რომ გადმოიხედავს ჩემი სატრფო ომის ხმაზე და მე ვერ დამინახავს, „ესე მე დამსვრისო“. ანუ მან ღირსების არგუმენტი წარმოადგინა.

ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ საქართველოში ღირსების ინსტიტუტი არ დაიკარგოს. თუ ის არ დაიკარგება, მაშინ არავითარი ამერიკა ჩვენთვის საშიში აღარ იქნება, ხოლო თუ დაიკარგება, მაშინ მასთან ერთად გაქრება ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობაც, გაქრება ენაც.

მე ჰუმბოლტიანელი ვარ და უნდა გითხრათ, რომ ადამიანი ენობრივი არსებაა, ანუ მისი ენით აგებულ სამყაროში ცხოვრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ენა გარკვეული მსოფლხედვაა, ადამიანი ამ ენიდან ხედავს სამყაროს. თუ რომელიმე ენა მოისპობა,მაშინ გაქრება კიდევ ერთი მსოფლხედვა, კიდევ ერთი სიტყვა ღმერთისთვის, დედისთვის, სიყვარულისთვის. ამიტომ, გლობალიზაციის ეპოქაში, კაცობრიობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს, ნებაყოფლობით, ნებისმიერ ფასად, ყველა სხვა დანარჩენი ენისა და ერის გადარჩენა. რადგან, რამდენი ენაც არის, იმდენი ერია. კაცობრიობის მშვენიერება ისაა, რომ ადამიანები ერთმანეთს არ ვგავართ, მაშასადამე, სხვადასხვა ფერს ვმატებთ დედამიწას. დედამიწა აღარ იქნება ნაცრისფერი...

მგონია, რომ ადამიანის მკვებავი ძარღვი მისი წინაპრებიდან მოდის. მე ჩემს შვილებს ყოველთვის ვეუბნები, რომ ისინი კარგი ქართველები იქნებიან არა თავიანთი წარმომავლობის უარყოფით, არამედ, სწორედ მისი წყალობით. იმ მფეთქავი არტერიის, რომელიც ჩვენი წინაპრების მიწიდან, იმ სოფლიდან, იმ სახლიდან მოდის, სადაც, მაგალითად, ბაბუაჩემის მამა დაიბადა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია და თუ ეს დავთმეთ, მაშინ ყველა მოგვერევა. ამ გლობალიზაციის პროცესში უამრავი ერი ირჩევს ახალ ორიენტირს, მაგრამ, მეორე მხრივ, უამრავმა ერმაც თვალი გამოახილა. თქვენ გაგეგოთ რაიმე შვედურ ნაციონალიზმზე? მე მგონი, პეტრე პირველის შემდეგ, არაფერი, ხომ მართალია? ახლა იქ იღებენ სპეციალურ კანონებს იმისათვის, რომ

ანგლიზაციას გადაარჩინონ თავიანთი ენა და ეს შესანიშნავია! ჩვენც არასოდეს ვიქნებით ამერიკის ენობრივი და კულტურული კოლონია.

— ჩვენთან ხომ არ იღებენ ასეთ კანონებს?

— ერთ მშვენიერ დღეს მოვესწრებით იმ დროს, როცა საქართველოში ყველა საჭირო კანონს მიიღებენ. მაგრამ კანონს ხომ მაინც ადამიანი იმუშავებს, ღმერთი კი რამდენი ხანია ამბობს: „არა იპარო“, „არა იმრუშო“, „არა კაც ჰკლა!“ ჩვენ ამას მაინც ვაკეთებთ. არადა, ამაზე მეტი კანონი გაგონილა? ყველაზე მთავარია, რომ ვინც ამას არ ჩავდივართ, მხოლოდ ჩვენი შინაგანი კანონის გამო და ეს არის ის ერთადერთი, რაც ერს გადაარჩენს. თუ თვითონ არ მოვსპობთ მშობლიურ ენას, ამას ვერავითარი ტანკი და ატომური ბომბი ვერ შეძლებს. ჩვენ ვართ ერთადერთი, ვისაც შეგვიძლია, ენა მოვსპოთ ან ვაცოცხლოთ.

გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 27/IV- 4/V, 2001 წ.

პოეზიის საღამო ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში

„მე ბორანი ვარ, თეთრი ღამეების უტყვი მოდარაჯე და აღელვებულ მდინარეზე გადამყავს ახლა მარტოსულები“, — ეს ლექსი ამშვენებდა მოსაწვევს, რომელიც თამარ შაიშმელაშვილის პოეზიის საღამოზე იწვევდა მსმენელს. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის ლამაზმა, მყუდრო დარბაზმა ვერ დაიტია ჭეშმარიტი პოეზიის დამფასებელნი.

საღამოს წამყვანმა, პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა აღნიშნა, რომ თამარ შაიშმელაშვილმა ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან ერთად პოეზიაში საგრძნობ წარმატებას მიაღწია. საღამოზე სიტყვით გამოვიდა ქალბატონი მანანა ჩიტიშვილი და თამარის ერთი ლექსი წაიკითხა.

თამარ შაიშმელაშვილის პოეზიაზე და მის პიროვნებაზე ისაუბრა რადიოპროგრამა „ჩვენი საგანძურის“ ავტორმა და წამყვანმა, ჟურნალ „ანეულის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ივანე ჯაფარიძემ, ობიექტური მიზეზის გამო საღამოზე ვერ მობრძანდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი მეუფე თადეოზი. თამარს მიესალმა და საღამო დალოცა დეკანოზმა იოვანემ.

თამარის ლექსების მიხედვით კომპოზიცია წარმოადგინეს მოსწავლეებმა: ანა-მარია ბაგალიშვილმა, ქეთევან ზურაშვილმა, ალისა არჩვაძემ; თამარის ლექსები წაიკითხეს: გიორგი მელუამ, ეკატერინე ბაზერაშვილმა, გოჩა წიკლაურმა. თამარს მიესალმნენ ახალგაზრდა პოეტები: შორენა თამაზაშვილი და გიორგი ცხვიტარია.

საღამო სიმღერამ და მუსიკამ დამუხტა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: ანსამბლი „პოპური“ და თამარ კერესელიძე; მარინა კოლხიდაშვილი, ლუკა შაიშმელაშვილი, სოსო მჭედლიშვილი, მარიამ დარჩიაშვილი... თაქთაქიშვილის სახელობის მე-19 მუსიკალური სკოლის მოსწავლე ნინო ფროდიაშვილი, ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლე, უამრავი კონკურის ლაურეატი ლიზი ბუდაღაშვილი., თამარის პოეზიის მოყვარული გიგო სვანიძე...

ნინო ტარყაშვილისა და ჟურნალ „ანეულის“ ინიციატივით უნდა დაიწეროს ხატი — „წმინდა ქართველი პოეტები“. იმ დღეს შეგროვდა შემოწირულობაც... და ეს მადლიანი საქმეც დაიწყო.

რეჟისორის არქივიდან

ნანა დემეტრაშვილს, რეჟისორს, რომელის სახელსაც უკავშირდება გასული საუკუნის 60-70 წლებში მესხეთის სახელმწიფო თეატრის ხელახალი შექმნა-აღორძინება, ქართველი მაყურებელი და მკითხველი კარგად იცნობს.

ისე მოხდა რომ... ამ საინტერესო რეჟისორის არქივი ხელთ მაქვს და, სავარაუდოდ, წივნადაც იქცევა...

მანამდე კი გთავაზობთ ამ არქივიდან ბათუმელი პოეტის მამა ვარშანიძის ერთ ლექსს. და, მიუხედავად იმისა, რომ ლექსი ტროპული მეტყველების მხრივ სუსტია, განწყობის შექმნას მკითხველში მაინც ახერხებს და კიდევ ერთხელ გვახსენებს, თუ რა დიდი ეროვნული მისია ჰქონდა მესხეთის თეატრის გახსნას კომუნისტური რეჟიმის ყამს, რა ღვაწლი მიუძღვის ამ ეროვნულ საქმეში ახალგაზრდა რეჟისორ ქალს და რა გამოსახული ჰპოვა უშუალოდ, ოთარ ჩხეიძის „თედორემ“.

ნინო ჩხიკვიშვილი

ო, როგორ მიყვარს

(ვუძღვნი მესხეთის თეატრის მოძღვარს — ნანა დემეტრაშვილის)

ო, როგორ მიყვარს ჩემი მესხეთი,
მესხეთი თითქოს ჩემი გულია,
ვიდრე ცოცხალ ვარ, ვერ დავეხსნები,
უმისოდ თითქოს დაკარგული ვარ,
ყოველდღე მის გულს გულით ვეხები,
ის არის ჩვენთვის მთელი დუნია.

აჰა, წინ მიდევს მე ისტორია,
აჰა, წინ მიდევს და ვეწაფები,
და რომ ბრწყინავდა, ეს არც ჭორია,
ლურჯი ცა იყო მისი აფრები,
მეც იმ აფრებით ვფრინავ მგონია,
და ვგავარ არწივს ცაში აფრენილს.
ჩემო ვარძიავ, შენი თამარი
დიდ საქართველოს აღლუმს აქ იხდის!..
შოთა რუსთველი, ბრძენი, თამამი,
დიდ მეფე-ქალთან კრძალვით ქედს იხრის,
მეც ხომ ვეწვიე ჩემი ამალით,
გადმოვიარეთ ჩვენ მთები ლიხის.
ჩემთვის ვჩურჩულებ ჯერ ნედლ სტრიქონებს,
აქ საქართველო რა დიადია.
ვინ გაუტოლდეს რუსთველის ღონეს,
და პაექრობა რომელს სწადია?!
მეფეს წიგნს აწვდის რუსთველი ვგონებ,
ასე მგონია, რაღაც დარდი ჰკლავს.

თავაზიანად თამარი ართმევს,
მერე უბოძებს ძვირფას საბოძვარს,
უპირველესად თვალების ნათელს...
ვიღაც მოშურნეს სულიმც ამოძვრა...
ჩემთვის ვლოცავ და მას ვუნთებ სანთლებს, –
დიდ საქართველოს მებრძოლ ამორძალს.
„თამარი არის ჩემთვის ყოველი, –
ჩემი სიცოცხლე და აღმატება.
მე ნეტარებას მისგან მოველი,
მზეა და მე კი არ მენათება.
წავალ, ვერ ნახონ ჩემი მპოვნელიც,
ვახ, რომ სამშობლო მომენატრება,
ჩემი თამარი მომენატრება!“
თითქოს მომესმა ეს ხმა საბრალოს,
ვინა თქვა ნეტავ?!
იქნებ შოთამ თქვა?!
უცებ ჩამოწვა სიბნელის კალო
და უკუნეთის წიგნი მომართვა.
ეჰ, საქართველოს ბავჯაღლო თვალო,
მე შენი სიბრძნის დავრჩი მონათა.
ვინ დაეკარგა ჩემს დიად მესხეთს,
ჩემს საქართველოს ვინ დაეკარგა?!
შოთა რუსთველი?!
მეც მის კვალს ვეძებ,
ამიკიდია მეც მგზავრის აბგა...
შენს მარადიულ სამშობლოს მთებზე
დიდ პოეზიის ანთიხარ ჩანგად!
და პოეზიის ტალღა წინ მიდის,
დამშვიდდი, ქართლო, ნულარას შფოთავ,
ის არის ჩვენი ფოლადის ხიდი,
ზედ, რომ გაივლის ყოველი მოდგმა....
არ იქნებოდა მესხეთი დიდი?!
არ იქნებოდი არაცა შენ შოთავ!
თქვენია ჩვენი მარადი ლოცვა,
თქვენ გასჭრით ათას ღამეს კუნაპეტს,
შენ და თამარმა საქართველოს ცა
პოეზიის მზით მოაგუმბათეთ,
თქვენს ხატს ვიფიცებთ,
თქვენს ხატს უწმინდესს,
მარადიულად ჩვენს ერს უნათეთ,
უნათეთ!

10 მაისი, 1981წ.
ბათუმი

მოგონებანი გარდასულ დღეთა

თეიმურაზ ჰეტერიაშვილი

ჟურნალი „ანეული“, რუბრიკით „მოგონებანი გარდასული დღეთა“, მკითხველს სთავაზობს შესანიშნავი მეცნიერისა და დიდებული მამულიშვილის, საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორის, 70-დე მეცნიერული შრომის, საქართველოს ავბედით ისტორიაზე არაერთი საყურადღებო წიგნისა და მრავალი პუბლიკაციის ავტორის თეიმურაზ პეტრიაშვილის მცირე მოგონებას მისი ბავშვობის მევობარზე, 2005 წელს მწვერვალ უმაზე ტრაგიკულად დაღუპულ ცნობილ არქეოლოგსა და მთამსვლელზე ზაალ ქიქოძეზე.

„საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა სვანეთი“

ზალიკო ქიქოძის გახსენება

მე და ზალიკო მთაწმინდაზე ვცხოვრობდით. ორივენი 47-ე სკოლაში ვსწავლობდით და ერთმანეთი რომ გავიცანით, მე პირველ კლასში ვიყავი, ზალიკო – მეორეში. მალე დავმეგობრდით.

ჩვენი თაობის ბავშვების ოცნება პიონერთა სასახლე იყო,რადგან გამუდმებით გვესმოდა, რომ იქ რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა. თანაც სასახლის სკოლასთან სიახლოვე კიდევ უფრო გვიმძაფრებდა იქ მისვლის სურვილს. ბავშვები ხშირად ვმსჯელობდით, რომელი წრე შეგვერჩია. ერთი ჩვენი მეგობარი დრამწრეს გვირჩევდა, რადგან იქ თავადის როლს მოგვცემდნენ და ქამარ-ხანჯლიან ჩოხაში გამოვეწყობოდით, რასაც ყველანი ვნატრობდით. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, არ მოეცათ თავადის როლი? ამიტომ უმჯობესი იყო ცეკვაზე გვევლო, მაშინ ჩოხის მორგება გარდაუვალი იქნებოდა.

მე მაინც დრამწრეში მივედი, ზალიკო არც კი დაინტერესებულა; მას არც ცეკვაზე უვლია.

იმ დროს დრამწრეს საუკეთესო პიროვნება,მსახიობი ვახტანგ სულაქველიძე ხელმძღვანელობდა. იგი ყველასთვის ცნობილია,მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმით „ქვევრი“, სადაც ქვევრის შემკეთებლის როლს ასახიერებს.

მეგონა, სასახლეში მისვლისთანავე რომელიმე სპექტაკლში მნიშვნელოვან როლს მომცემდნენ, აღმოჩნდა, რომ საქმე ასე არ ყოფილა. ეტიუდებზე მუშაობა და მხატვრულ კითხვაში ვარჯიში კი მალე მომბეზრდა და დრამწრე დავტოვე.

მესამე კლასში ვიყავი,ზალიკო მეოთხეში, სკოლაში შესვენებისას გვერდზე რომ გავიყვანე და ჩურჩულით ვუთხარი:

– ზალიკო, მოდი, კარგ რამეს გეტყვი: პიონერთა სასახლეში ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტია, იქ ჩვენი ოჯახის ახლობელი, ბებიას ნათესავი, ცნობილი ალპინისტი, ალექსანდრა დეიდა მუშაობს. ხშირად მოდის ჩვენთან სტუმრად და სულ მეუბნება,– იარე ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში, მთელ საქართველოს ფეხით შემოივლი, მთაშიც წახვალ და ნამდვილი ვაჟკაცი დადგებიო.

– უნდა მივიდე, თუ გინდა, შენც წამოდი.

ზალიკოს სიხარულისაგან თვალები აუციმციმდა:

– ვაააა! მართლა? ხვალვე წავიდეთ, მშობლებსაც შევეკითხები და... მეორე დღესვე მივაშურეთ პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტს, სადაც არაჩვეულებრივი ადამიანები მუშაობდნენ; კაბინეტის ხელმძღვანელი იყო ქალი-ლეგენდა ალექსანდრა ჯაფარიძე, პედაგოგები – ცნობილი მთამსვლელი

თეიმურაზ პეტრიაშვილი და ზაალ ქიქოძე ბაკურიანში

მარინე უთმელიძე და ქალბატონი დენიზა გოზალიშვილი. კაბინეტის დამაარსებელი მზია ერისთავი უკვე წასულიყო სასახლიდან და საქართველოს ბავშვთა ტურისტულ სადგურს ხელმძღვანელობდა. დასანანია,რომ აღარ მახსოვს იმ ბავშვების გვარები, რომლებიც მაშინ ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში დადიოდნენ, ვიცი, რომ მათგან ბევრი, ღირსეული და ცნობილი ადამიანი გახდა.

პედაგოგებს პირველი შეხვედრისთანავე მოეწონათ და შეუყვარდათ ზალიკო. „ძალიან ნიჭიერი და კარგად გაზრდილი ბავშვიაო“ – ამბობდა ქალბატონი ალექსანდრა.

ზალიკო მართლაც უმალ იქცევდა გარშემომყოფთა ყურადღებას, თუმცა განზრახ თვალში მოსახვედრად არასდროს იქცეოდა.

დიდი ენთუზიაზმითა და ხალისით დავიწყეთ სიარული ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში, რომელიც სასახლის მეორე სართულზე იყო განთავსებული (არ ვიცი, ახლა სინანულით გავიხსენო თუ სიამაყით ის დღე, როდესაც ზალიკომ ჩემი წაქეზებით, ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტიდან მთებისაკენ პირველი ბავშვური ნაბიჯი გადადგა. მისი უშბაზე დაღუპვის შემდეგ, სიამაყისა და სინანულის ორმაგი განცდა არ მშორდება). ვრცელ, ნათელ ოთახში კარადები და დიდი მაგიდები იდგა. კედელთან,ერთ-ერთ კუთხეში განთავსებული იყო დიორამა – საკმაოდ მოზრდილი რელიეფური მაკეტი, რომელზეც გამოსახული იყო მაღალი მთები, მდინარის პირას გაშლილი ტურისტული ბანაკი კარვებით და კოცონთან მიმსხდარი ტურისტების პატარა ფიგურები.

დრამწრისა არ იყოს, სადაც მისვლისთანავე მთავარ როლს ველოდით, მე და ზალიკოს ახლაც გვეგონა, რომ მეორე დღესვე მყინვარწვერზე თუ არა, მთაწმინდის კლდოვან ფერდობებზე მაინც დავეკიდებოდით თოკებით, მაგრამ აქაც გაგვიცრუვდა იმედი. პირველ ხანებში მოგზაურობისთვის მოსამზადებელ მეცადინეობებს გვიტარებდნენ, გვასწავლიდნენ თოკით კვანძების კეთებას და გვაჩვენებდნენ თოკში ჩაბმის წესებს; წერაყინის გამოყენებას, მთაში ბანაკის გაშლას, მეხის არიდების ხერხებს, გვაცნობდნენ ალპინისტურ აღჭურვილობას და სხვა.

პირველივე დღეებში ვნახეთ ფილმი, როგორ ადის მიუვალ კლდოვან და ყინულოვან მწვერვალზე ქართველ ალპინისტთა ჯგუფი. მაშინვე ვიცანი ჩემი ნათესავი ალიოშა ჯაფარიძე, სახელოვანი ალპინისტი, რომელიც უშბაზე დაღუპა, მისი ფოტოები ბევრჯერ მენახა წიგნებსა თუ საოჯახო ალბომებში.

ფილმის ჩვენებისას ბავშვებმა ერთდროულად შეკივლეთ:

– ვიცანი, ვიცანი! ...

ეკრანზე ქალბატონი ალექსანდრა ჩანდა, რომელიც თოკში ჩაბმული, წერაყინით ხელში, საოცარი ოსტატობით მიიწევდა მწვერვალისაკენ. ეს კადრები რომ არ გვენახა, ვერასოდეს წარმოვიდგენდით, ერთი შეხედვით ასეთი ნაზი და სათნო ქალბატონი, როგორ ერკინებოდა უმკაცრეს მთებსა და სტიქიას.

ზაალ ქიქოძე

მეორე დღეს სკოლაში, მე და ზალიკო დიდი სიამაყითა და აღფრთოვანებით ვუყვებოდით თანატოლებს ნანახი კადრების შესახებ – როგორ ადიოდა ჩვენი მასწავლებელი, დეიდა ალექსანდრა, ყინულოვან კლდეებზე...

ერთ დღესაც გამოგვიცხადეს, რომ ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის ბავშვებს ლაშქრობა უნდა ჩაგვეტარებინა; ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; ჩემთვისაც და ზალიკოსთვისაც ეს პირველი ტურისტული ლაშქრობა იყო.

40-ზე მეტი ბავშვი გრძელ თოკში ჩავებით და ფუნიკულიორიდან ერთ მწკრივად დავიძარით კუს ტბისაკენ. ბილიკი მთის დამრეც ფერდობს მიუყვებოდა, თუმცა რთული სავალი არ იყო; ცოტა ხანში ზემოდან გადავხედეთ კუს ტბას და თბილისის ხედს. სულ სხვაგვარად აღვიქვით ჩვენი მშობლიური ქალაქი.

ამ ლაშქრობის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ თბილისს ესტუმრა პოლონეთის სამთავრობო დელეგაცია, პოლონეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვლადისლავ გომულკას ხელმძღვანელობით.

დედაქალაქში დიდი აჟიოტაჟი იყო.

ტრადიციისამებრ, სტუმრები პიონერთა სასახლის დასათვალიერებლად მოიყვანეს, მათ საქართველოს მაშინდელი პირველი პირი ვასილ მჟავანაძე ახლდა. ჩვენი კაბინეტის კარი ღია იყო, სტუმართაგან ოთახში არავინ შემოსულა,მაგრამ როდესაც ჩაიარეს, ჯგუფს ერთი კაცი გამოეყო, ოთახში შემოიხედა და ხელის აწევით მოგვესალმა.

ზალიკომ მიბიძგა და მითხრა, რომ ეს გომულკა იყო. მარწმუნებდა, გაზეთში ვნახე მისი სურათი და ვიცანიო...

სასახლის ეზოში დიდი მზადება იყო, ადგილი შემოღობეს, ბლომად შეშა, ფიჩხი და მუყაო მოაგროვეს; დელეგაციის ეზოში შემოსვლისთანავე ბავშვებმა ნავთი გადაასხეს გროვას და ცეცხლი გააჩაღეს. უნდოდათ, სტუმრებისათვის პიონერთა სასახლის მეხანძრეთა წრის წევრების ოსტატობა ეჩვენებინათ. „ნორჩ მეხანძრეებს“ ცეცხლი რამდენიმე წუთში უნდა ჩაექროთ. უეცრად ეზოში გაბმული საყვირით შემოგრიალდა დიდი, წითელი ფერის სახანძრო მანქანა, საიდანაც მეხანძრის ფორმაში გამოწყობილი ბავშვები გადმოხტნენ და დაიწყეს „ხანძრის ჩაქრობა“. მანქანიდან სწრაფად გადმოიღეს დიდი „შლანგი“ და ეზოში არსებულ სპეციალურ ონკანთან დაიწყეს მიერთება. ერთ-ერთ პატარა „მეხანძრეს“ „შლანგი“ ხელიდან გაუვარდა, ცოტა დრო დაკარგა, თუმცა მალე გამოასწორა შეცდომა, სწრაფად მიუერთა ონკანს და „ხანძარი“ დროულად ჩააქრეს. ამ ყოველივეს ჩვენ სასახლის ფანჯრიდან ვადევნებდით თვალს.

– აუ, წამოიძახა ზალიკომ და ხელი შუბლზე იტკიცა, – ნეტავ არ გავარდნოდა „შლანგი“ ხელიდან – გულწრფელად წუხდა და განიცდიდა ქართველი თანატოლის შეცდომას...

მოყვასისადმი თანაგრძნობის განცდა, მისი ხასიათის მთავარი თვისება იყო.

ბავშვობიდანვე მწვერვალთა დალაშქვრის სურვილითა და ჟინით შეპყრობილი ზალიკოსაგან განსხვავებით, ჩემი „მიღწევები“ ალპინიზმში, ბაკურიანის თოვლიანი ფერდობების „დალაშქვრით“ შემოიფარგლა.

ზამთარში, სასკოლო არდადეგების პერიოდში, ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის ბავშვები ბაკურიანში დავყავდით თხილამურებით სასრიალოდ და სავარჯიშოდ.

მე და ზალიკო ასაკით ყველაზე პატარები ვიყავით. ზალიკოს მშობლებმა, გარეგანი და შინაგანი კეთილშობილებით შემკულმა არაჩვეულებრივმა ადამიანებმა, ზალიკო ბაკურიანში ბებიაჩემის იმედად გამოუშვეს, რომელიც ინსტრუქტორებთან ერთად, პედაგოგად გვახლდა ბავშვების ჯგუფს.

გზად დავათვალიერეთ გორის ღირსშესანიშნაობები, აგარის შაქრის ქარხანა, ლიკანი, ბორჯომი და „კუკუშკით“ ავედით ბაკურიანში.

ბაკურიანში „დინამოს” სპორტულ ბაზაში დავბინავდით. მე და ზალიკო ორი კვირა ერთ ოთახში ვცხოვრობდით.

– დილის დაჭურვაზე!

ყოველდღე, უთენია გვესმოდა „ღოროტოტოდან“ ცნობილი სპორტსმენისა და ტანმოვარჯიშის, პირველი ქართული სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ ყოფილი წევრის, ჩვენი პედაგოგის, ძია დათას, დათა გელაძის ხმა. ვარჯიშის შემდეგ საუზმე, შემდეგ კი თხილამურებით გასეირნება გველოდა. თხილამურებზე დგომას გვასწავლიდა ცნობილი მოთხილამურე ლალა ფანჯიკიძე, რომელიც ზალიკოს ძალიან შეუყვარდა.

დაუვიწყარი იყო კობა წაქაძესთან შეხვედრა და მასთან საუბარი. კობა მაშინ თავისი წარმატების ზენიტში იყო, ის საქვეყნოდ ცნობილი „მფრინავი მოთხილამურე“ გახლდათ და ამავე დროს საოცარი თავმდაბლობით გამოირჩეოდა. ზალიკო თვალს არ აშორებდა კობას და მის ყოველ სიტყვას, რაც ტრამპლინიდან ხტომას ეხებოდა, დიდი ყურადღებით ისმენდა.

თხილამურებით სავარჯიშოდ კოხტა გორისა და პარკის ტერიტორიაზე ყოველ დღე გავდიოდით, ორივემ პირველად ვნახეთ სათხილამურო ტრამპლინი. დავათვალიერეთ მელიების სანაშენე მეურნეობა.

ორი კვირის შემდეგ კი ბორჯომის მატარებლით თბილისში დავბრუნდით და ჩემმა „პედაგოგმა“ ბებიამ, ზალიკო მამამისს „უვნებლად ჩააბარა“. მე და ზალიკო ერთმანეთს „დავემშვიდობეთ“ მეორე დღეს პიონერთა სასახლეში კვლავ შეხვედრის იმედით.

როგორც აღვნიშნე, ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტს დიდი დიორამა ამშვენებდა. ერთ დღესაც დაგვავალეს, რომ ამ რელიეფურ მაკეტზე არსებული გამოსახულებების მიხედვით, საკუთარი ფანტაზიით შეგვექმნა ნაწარმოები, დაგვეწერა პატარა თხზულება, რომელშიც უნდა გადმოგვეცა ტურისტულ ბანაკში ცხოვრების პერიპეტიები. წერის დროს ერთმანეთის რვეულებში ჩახედვა მკაცრად აგვიკრძალეს.

დავიბენი, ვერ მივხვდი რა უნდა დამეწერა; მივედი დიორამასთან და დაკვირვებით დავიწყე თვალიერება, თან მაინტერესებდა რას აკეთებდა ზალიკო.

ის თავდახრილი იჯდა და გამალებით რაღაცას წერდა. უცებ წამოდგა, დიორამასთან მივიდა, გულდასმით დააკვირდა, მალევე დაბრუნდა მაგიდასთან და წერა განაგრძო.

– ნეტავი რას წერს ამდენს, – გავიფიქრე და მაგიდას მივუახლოვდი, ცალი თვალი მისი რვეულისაკენ გავაპარე.

გარკვევით გავარჩიე პირველი წინადადება, რომელიც ახლაც ფოტოგრაფიული სიზუსტით მახსოვს – „საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა სვანეთი“, ეწერა ფურცელზე.

– სვანეთი? ესე იგი, ზალიკოს ჰგონია, რომ დიორამაზე სვანეთია გამოსახული? ეს ჩვენთვის არავის უთქვამს, არც მიფიქრია, რომ ეს სვანეთია, ვინ იცის, იქნებ მართლაც ასეა, გავიფიქრე და ჩემს რვეულში ჩავწერე – „რა ლამაზია სვანეთი“, თუმცა ნაწერი მალევე წავშალე და წერა შევწყვიტე, შემრცხვა, რომ ზალიკოს სიტყვებს ვიმეორებდი.

ზალიკოს თხზულება კი, როგორც მერე მასწავლებლებისაგან შევიტყვეთ, თავისი შინაარსითა და მხატვრული ღირსებით გამორჩეული იყო ყველა ნამუშევარს შორის. მასში ბავშვურად, მაგრამ საოცრად მდიდარი ფანტაზიით იყო აღწერილი სვანეთი, კუთხე, რომელიც ზალიკოს მაშინ ჯერ თვალითაც არ ენახა.

2005 წლის იმ ავადსახსენებელ დღეს, როცა სვანეთში, მწვერვალ უშბაზე დატრიალებული უბედურება გავიგე, გაოგნებულსა და თავზარდაცემულს, ზალიკოს რვეული და ის ერთადერთი წინადადება გამახსენდა – „საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა სვანეთი!..“

ამეკვიატა და კარგა ხანს არ მასვენებდა ფიქრი, რომ რაღაც ზეციური, ამოუცნობი, უხილავი კავშირი ხომ არ იყო ზალიკოს მაშინდელ ბავშვურ ნააზრევსა და მის დამღუპველ განაჩენს შორის. გარემოს მშვენიერებითა და სულიერი დიდებულებით აღსავსე, იგი ხომ იმ ჯადოსნურმა ძალამ წაიყვანა თავისი ცხოვრების ბოლო, მარადიული სითეთრისა და ზამთრის ბილიკებიან გზაზე, რომელიც ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან შეიგრძნო, შეისისხლხორცა და მიენდო.

ღვთიური ცეცხლით ანთებული ეს უმდიდრესი შინაგანი ბუნების ადამიანი, ქვეცნობიერად, ბავშვობაშივე ხომ არ გრძნობდა, რა ელოდა თავის ლამაზ, დიდი სირთულეებითა და სიკეთით აღსავსე ცხოვრებაში...

თუმცა, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის...

მართლაც შეუცნობელია გზანი უფლისანი...

საოჯახო არქივიდან

სამშობლოს მოწყვეტილი მამულიშვილები

დოდო სულხანიშვილი, ჯოია და ნინო

„ნუთუ ჩვენი სურვილი უფრო შორს არ მიდის? რატომ არ გვაქვს ნება, მოვითხოვოთ დამოუკიდებლობა რუსეთისგან? რო ჩვენი საქართველო, რომელიც ყველა სახელმწიფოზე უძველესია და რომელსაც უძველესი ისტორია აქვს, იყოს თავისუფალი?“

წერდა ნინო ყიფიანი არჩილ ჯორჯაძეს 1903 წლის ივლისში, ბრიუსელიდან პარიზში გაგზავნილ ბარათში.

ნინო, ანუ როგორც მას ეძახდნენ – ნუცა, ნუცულია, იყო დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟის, ნიკოლოზის შუათანა ქალიშვილი. მას დამთავრებული ჰქონდა ბრიუსელის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. როგორც პოლიტიკური მოღვაწე აქტიურად მონაწილეობდა 1900-იანი წლების რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რისთვისაც დაპატიმრებული იყო მეტეხის ციხეში. 1907 წელს მას აუკრძალეს რუსეთის იმპერიაში ცხოვრება და თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით საზღვარგარეთ გაასახლეს. ნინო ბელგიაში ცხოვრობდა, საიდანაც გადავიდა იტალიაში (რომში) და იქ ბელგიის საელჩოში მსახურობდა თარჯიმნად. ჰყავდა მოწაფეებიც. სხვა ყიფიანების მსგავსად, იგი შესანიშნავად ფლობდა რამდენიმე უცხო ენას.

ნინო ჯერ ფედერალისტი იყო, შემდეგ ეროვნულ – დემოკრატებთან იყო დაახლოებული. როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურ წევრს ახლო ურთიერთობა და ინტენსიური მიმოწერა ჰქონდა ისეთ გამოჩენილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან როგორებიც იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, ანდრია და გიორგი დეკანოზიშვილები, ეკატერინე და რევაზ გაბაშვილები და სხვა. ამ მიმოწერის ნაწილი დაცულია ჩვენს საოჯახო არქივში, რომელიც შეიცავს საინტერესო მასალებს XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური თუ საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესასწავლად. წინამდებარე სტატიაში ვაქვეყნებთ ნინო ყიფიანის წერილს, რომლის ადრესატია ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კიტა (ივანე) აბაშიძე (1870-1917).

წერილში მოთხრობილია პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) ამბები, სადაც ნინო კიტას ატყობინებს, რომ ვერ მოახერხა სამშობლოში დაბრუნება და ჩარჩა რომში.

„ძვირფასო ძმაო კიტა!

ჩემს თავს ძალიან დამნაშავედ ვგრძნობ შენს წინაშე, რო აქამდინ არაფერი მოგწერე, მაგრამ ჩემს გასამართლებლად იმას გეტყვი, რო იმედი მქონდა საქართველოში დაბრუნებისა; ყოველი კორესპოდენცია ჩამეფუშა. ჩემი იმედები გამიცრუვდნენ და ჩავჩი იტალიაში და მერე როგორ! არსაიდგან არ მომდის „არც ხმა, არც ძახილი“ და არვიცი რა ხდება სამშობლოში და ჩემიანებისგანაც არავითარი ამბავი არ ვიცი, ვწერ გაუთავებელ წერილებს და არც ვიცი, თავის დანიშნულებამდინ აღწევენ, თუ არა. ვერ აგიწერ ჩემს დარდს და ნოსტალგიას! წარმოიდგინე, ჩემო კარგო, საქართველოში გავგზავნე 5 თვის წინათ და მე თითონ აქ ჩავჩი. ფლორენციითგან რომში წამოვედი, მინდოდა, რომ კარგად დამეთვალიერებინა, მენახა ნეაპოლი და ბრინლიზითგან გეზის აღება ბათუმისკენ – და აი, ამ უბედურმა ომებმა იფეთქეს და მეც ჩავრჩი რომში და ლამის გავგიჟდე.

ამ წერილს საელჩო გზავნის კურიერის ხელით რუსეთში, ასე რომ, უნდა მაპატივო, რომ უმარკოთ მოგივა. ახლა ყველა წერილები რუსეთში ამნაირად იგზავნებიან, სხვა გზა არ არის, მას შემდეგ რაც დარდანელი დაიკარგა.

შენთან ერთი თხოვნა მაქვს, იმედია, არ გაგიძნელდება აღსრულება. ნახე ჩემიანები და უთხარი, რო ბარე 7 წერილი მივწერე, პასუხი კი არ მომსვლია აქამდინ, რო

ძალიან შეწუხებული ვარ მათის სიჩუმით და ველი დაწვრილებით მათ ამბავს რო უფულოდ ვარ და გამომიგზავნონ საჩქაროთ საელჩოში, გარდა ამისა, აი კიდე რა გადაეცი, იკითხონ ტფილისის სადგურზე ჩემი ბარგის ბედიღბალი. და ვინაიდგან დრო გადის და საშიშია, არ დაიკარგოს, ყოველი ღონისძიება იხმარონ, რო ჩემს მაგიერ მიიღონ. ჩემს წიგნებს შორის, რომელიც ამ პარკით გავგზავნე, შენი „ვეფხისტყაოსანიც“ არი, და ამიტომაც შენა გთხოვ, დახმარება აღმომიჩინო, რო ბარგი არ დაიკარგოს. იმედი მქონდა, რო სინემ ეს ყუთი საქართველომდე მოვიდოდა, მე უკვე თბილისში ვიქნებოდი და მივიღებდი ჩემის ხელით, მაგრამ...

შენი დიდი მადლობელი ვიქნები თუ ამ წერილზე დაუყოვნებლივ გამცემ პასუხს. მომწერე შენი და შენი ოჯახის ამბავი, ყველას ჩვენი საერთო ნათესავების და ნაცნობების, ნუ დაიზარებ, მათ შორის, ვის მოუხდა ომში წასვლა?

ოჰ, რო იცოდე, როგორ მტკივა გული და რა დარდით მევსება, როდესაც წარმოდგენილი მაქვს ჩვენი ქართველობაა ამ ომში ჩართული! რამე ამბავი მაინც ვიცოდე! ნეტავი, ამ დროს სამშობლოში ვყოფლიყავი! ბევრ რამე საინტერესოს მოგწერდი, მაგრამ ახლანდელ დროში ლაკონურობა არი საჭირო ან უკეთ რო ვთქვათ, სიჩუმე.

მაპატიე ამ დაჯღაბნულ წერილისათვის, ვწერ ღია ჰაერზე, სადაც საშინელი ქარი ქრის. გიგზავნი ათას სალამს შენ, შენს ცოლს და ყველა ჩვენ საერთო ნათესავებს. შენი ბავშვები დამიკოცნე,

სიყვარულით, ნინო“.

ნინომ სამშობლოში მხოლოდ მოგვიანებით შეძლო დაბრუნება. მძიმე ცხოვრებისაგან ტუბერკულიოზით დაავადებული, გარდაიცვალა 1921 წელს. დაიკრძალა ქვიშხეთში, ყიფიანთა კარის ეკლესიის გალავანში.

თამარ მიქაძე, მურად მთვარელიძე, გივი გელაშვილი, გუბაზ მეგრელიძე

დედის გარდაცვალების შემდეგ მისი ერთადერთი ქალიშვილი, 8 წლის თამარ ბაგრატიონი (როგორც სახლში ეძახდნენ ჯოია), მათხოვრის ძონძებში გადაცმული. იძულებით გააპარეს საქართველოდან, რადგან სამშობლოში დარჩენა სახიფათო იყო. მას მფარველობდა ნათლია – დედოფალ ვიქტორიას ახლო ნათესავი, მეუღლე – ბრიტანეთის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ჟორჟ კენზონისა, რომელიც 1919-1924 წლებში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ამასთან, ხელმძღვანელობდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციას.

შემდეგში თამარი ცოლად გაჰყვა წარმოშობით ფრანგ შვეიცარიელს, რომლის გვარი იყო მორონი, მათ შვილი არ ეყოლათ, ბოლო წლებში ქალაქ ლოზანაში ცხოვრობდა მორონ-ყიფიანის გვარით.

88 წლის ასაკში იგი გულისტკივილით იხსენებდა სამშობლოს, რომლის ნახვა 8 წლის შემდეგ აღარ ღირსებია, რადგან მთელი ცხოვრება დარწმუნებული იყო, რომ მისი ნათესავები ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლნი იყვნენ.

ქალბატონ თამარს გაზეთ „ჩვენი ეპოქის“ საშუალებით მივაკვლიეთ. ჩვენ შორის რამდენიმე ემოციური საუბარი შედგა ტელეფონით – ინგლისურად, რადგან მას ქართული აღარ ახსოვდა, რუსული კი, მისივე თქმით, შეგნებულად დაივიწყა. თავად 5 უცხო ენაზე საუბრობდა.

მას აუხდენელ ოცნებად დარჩა საქართველოში დაბრუნება და დედის საფლავის მონახულება ქვიშხეთში.

2005 წელს მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა ქალბატონი, რომელსაც 80 წლის განმავლობაში ეძებდა ოჯახის სამი თაობა, მათ შორის კინორეჟისორი გურამ პატარაია, ასევე, თვით ექვთიმე თაყაიშვილი.

ნინო ყიფიანისა და მისი ქალიშვილის თამარ ბაგრატიონის ცხოვრება – დიმიტრი ყიფიანის შთამომავლების ერთ-ერთი საინტერესო, ამავე დროს, ტრაგიკული ფურცელია.

P. S. 2013 წლის 26 აპრილს, ქვიშხეთში „დიმიტრობაზე“ ჩასულ შთამომავლებს სასიამოვნო სიურპრიზი დაგვიხვდა – ნინო ყიფიანის საფლავი აღდგენილი და გაკეთებულია. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ მადლიან საქმეში მონაწილეობდა.

თამარ მიქაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
მწერალი, დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი
შთამომავალი

მეჩი ბინაძე

„პოეტი ბრბოში“

მერი ბიწაძე იყო პირველი ცოცხალი პოეტი, ვინც პირადად გავიცანი ადრეულ ბავშვობაში და დღეს, როცა ის აღარ არის ცოცხალთა შორის (2005 წელს გარდაიცვალა), კიდევ უფრო მეძალება ტკივილი მისი ჯვარცმული ცხოვრების გამო. როგორც თავის ლექსში ამბობს: „ერთი დღე არ გამახარეს, ასე დამღალეს“. მართლაც, მთელი ცხოვრება ლაშის ჯოჯოხეთად ექცა. ჯერ სტუდენტობის დროს, ავადმყოფობის გამო მეექვსეს საწოლს და რამდენიმე წელი დედა უვლიდა კახეთში, სოფელ კარდენახში, სადაც ის 1930 წელს დაიბადა. მერე, როცა ფეხზე სიარული ხელახლა შეძლო, უნდოდა ენერგია, გული და გონება ხალხის, ქვეყნის სამსახურში დაეხარჯა, რის საშუალებასაც მას უსპობდნენ, მუდმივ ბარიერებს უქმნიდნენ. ჩვენ სკოლის მოწაფეები ვიყავით მოწმენი, როგორ არ ეხალისებოდათ მისი გამოჩენა იმ სკოლის კედლებში, რომელიც მან წარჩინებით დაამთავრა.

მან საუნივერსიტეტო განათლება ვეღარ მიიღო და სოფელად დამკვიდრებულს დღიურ ლუკმაზე ფიქრი ულრღნიდა გულს. ის თითქმის არასოდეს გასცილებია თავის ლობე-ყორეს, აქ, კაკასიონის და ვომბორის მთების შუაგულში ვაჟტარა მთელი ცხოვრება და ბუნებასთან და ადამიანებთან ურთიერთობა უხარებდა გულს. ის იყო ყველას დამხმარე და ნამდვილი განმანათლებელი. სოფლის სკოლაში დააარსა ხელნაწერი ჟურნალი „კვირტი“, სადაც შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეულ მოსწავლეებს იკრებდა. უტარებდა საუბრებს მწერლობაზე, ცნობილ ქართველ პოეტებსა და პროზაიკოსებზე, რომელთა სახელი სასკოლო სახელმძღვანელოებში იმხანად არ ყოფილა შეტანილი. ასე გაიგეთ სოფლის ბავშვებმა პირველად მისგან პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, რეგაზ ინანიშვილის სახელები. მისი თაოსნობით იმართებოდა სოფლის კულტურის სასახლეს და სკოლაში ლიტერატურული საღამოები და მხატვრული კითხვის კონკურსები. ივი ეხმარებოდა ყველა გაჭირვებულ ადამიანს სიმართლისთვის ბრძოლაში, რკინის ქალამანს ჩაიცვამდა და ვიდრე სიმართლეს არ აპოვნინებდა, არ მოისვენებდა. იმდროინდელ რაიკომის მდივნებს და პარტიულ ნომენკლატურას თავიანთ რისხვად და კომუნისტური რეჟიმისთვის საშიშ პიროვნებად მიაჩნდათ ივი, მაშინ ასეთ სიმართლის მოქმელ და უშიშარ ადამიანებს „ინტრიგანის“ იარლიყით ნათლავდნენ და საზოგადოების თვალში საეჭვო რეპუტაციას უქმნიდნენ. იმას კი აღარ კითხულობდნენ, რომ ამ ადამიანს არაფერი ჰქონდა პირადული სათხოვარი, ის სოფლისა თუ კოლრეჟული ადამიანების გასაჭირის მოგვარებას ცდილობდა. მართლაც აუტანელი იყო ასეთ ვითარებაში გაძლება! ნაზი მამასაურს რაც დამართეს, მთელი საქართველოსთვის არის ცნობილი. მერი ბიწაძესაც ამ დღეში აგდებდნენ და იმავე მეთოდებით უსწორდებოდნენ, მაგრამ უძლიერესი ნებისყოფის გამო ნირს მაინც ვერ ახრევინებდნენ. ის ხმალაძოლებული ებრძოდა უსამართლობას. ცხრათავიან დეკეთან მეომარ ერთადერთ გმირად მოჩანდა ივი იმდროინდელ მორჩილ საზოგადოებაში.

და რა დასანანია, რომ არც კომუნისტების შემდეგ დადგა მისი დრო, ისე ჩუმად მიიცვალა, უფრო სწორად, ჩაიფერფლა. ვინც ამ დიდი ბუნების ადამიანს შეხვედრია, ვერ დავიწყებს რა კრიალა სულის პატრონი იყო, რა ღირებულებებს ერთვულებდა. ის იყო ჩვენი ფანჯარა სამყაროში, სულის ნამდვილი მეოხი და თვალის ამხელი... გამოხდა ხანი და დამრჩა სინანული. ჩემს ძვირფას მშობლებს გულით უყვარდათ ივი და, როცა სტუმრად ეწვეოდათ, სიხარულით ცას ეწვოდნენ ხოლმე.

როცა ქალბატონი მერი გარდაიცვალა, დედაჩემს მითხრა, მე მგონი არავინ მახედავს მის ლექსებს და ობოლ საფლავს და გთხოვ, წიგნი გამოუცე და საფლავსაც საკადრისი

მიავლო. ახლა, როცა დედაჩემი აღარ არის ცოცხალთა შორის, სულ უფრო ხშირად მახსენდება მისი სინანული და თხოვნა მერი ბიწაძის გამო. წლეულს აუცილებლად მინდა გამოვცე მისი პოეტური კრებული სახელწოდებით – „პოეტი ბრბოში“. ეს ერთი ტაეპია მისი ლექსისა, იმ საშინელების გამოძახილი, რაც მის გულს მთელი ცხოვრება სერავდა. მინდა „ანეულის“ მკითხველს მერი ბიწაძის წივნის გამოსვლამდე წარვუდგინო მისი რამდენიმე ნიმუში, რომლითაც ივი ირწმუნებს, რომ ეს არ არის დასაკარგი პოეზია. მე მას ქართველ ემილი დიკინსონს დავარქმევდი, რომელმაც თავისი ფრიწონიარე ლექსებით იების, გვირილების, ბაბუაწვერების,კნუტებისა თუ მერცხლების სულსა და თვალებში ჩაგვახედა. ამსოფლიურ სიავესა და მეხთლობაში მერი ბიწაძე ჯიუტად მანც სიკეთის ერთგულებდა, ბოლომდე ვერ გააავეს, სიცოცხლეზე ხელი ვერ ჩაქნევინეს. როგორც თავგანწირულ მეომარს სჩვევია,ბოლომდე დარჩა ბრძოლის ველზე და თავისი წილი წუთისოფელი ასე მოუდრეკლად და ამყად გალია...

ახლა კი მოდით, თვით ლექსებს მივცეთ მწკანე გზა. ჩემი აზრით, პოეზიის საუფლოში შემოდის ავტორი, რომელიც რაღაც დანაკლისს ავსებს და თავის წილ კუთხე-კუნჭულს იმკვიდრებს. მისი ათიოდე ლექსი კი ქართული პოეზიის ყველა ანთოლოგიაში იპოვის კუთვნილ ადგილს და ცრემლივით იკიაფებს.

გიორგი ლალიაშვილი

ფურუსულები

ფურუსულები დათოვლილები
წითელწინდება ფურუსულები,
ბავშვობას აქეთ დატოვილები,
თებერვლის გასულს ამოსულები.
ო, განა ჩვენზე გულმოსულები?
ვით ფერიათა წყნარი სულები,
სულ რომ გველიან დაუსრულებლივ,
ერთხელაც ვნახოთ ფურუსულები...

ყურს დავუგდებ ამ სიმღერას

ყურს დავუგდებ ამ სიმღერას,
გაზაფხულის ხმას,
ფოთლის კაბას შევიკერავ,
მოვიქარგავ თმას;
ხიდან ჩიტებს ჩამოვრეკავ,
მეხვეოდნენ გარს;
მცირე წყაროს გამოვიყვან
მწვანე ქოხის კარს,
თუ ამ გზაზე დაგიღამდა,
მოგინათებ კვარს...

ქარი

სახლიდან ჩუმად გავდივარ
და დავადგები გზას,
და უადგილო ადგილას
გადავეყრები ქარს.
ყველამ თავისი გზა იცის,
რაღაც უყვარს და სწამს...
მარტო ადგილი თავისი
ვერ უპოვია ქარს...

ზამთარი

თეთრი მთვარე და თეთრი ზამთარი,
ციდან მიწაზე ფიფქი სართავი,
მყუდრო ბინაში ჭრელი ზღაპარი, –
ალიართალი,
ბალიართალი...
ზეცა – საცერი,
მზე – ალმაცერი
თოვლზე ბავშვების ხელით ნაწერი...

* * *

ისევ მოვა გაზაფხული
ჭექით, ზათქით, ქარებით, –
გავახუნო შავი ღამე
ჩემი შავი თვალებით...
ცოტა კიდევ დამაცადე,
ტყე დამშვენდეს კვირტებით, –
გომბორს ნისლი ავაცალო
ჩემი თბილი თითებით.

* * *

– როცა მიწაზე ურცხვად დადიან,
რაღაც უკეთესს ჩემს გულში კლავენ.
როცა ნედლ ხეებს რტოებს აჭრიან,
ასე მგონია, მე მკვეთენ მკლავებს.

* * *

მეც შევერიე გაზაფხულს თითქოს,
თითქოს მასავით ქარებს მოვყვები,
ასე მგონია,
მოვა ვიღაცა,
რომ დამამტვრიოს მწვანე ტოტები.

* * *

ნეტავ ეს რა მემართება დღეს,
რად ვიბნევი,
რად ვიცინი ბევრს,
ტკბილი სიტყვა
ვინ მასმინა დღეს,
ასე შვებით გული რატომ ძგერს?
ასე რატომ ვლამაზდები დღეს?
ჩამოიღეთ გიტარა და თარი,
იქნებ ვინმემ შემაყვარა თავი!
იქნებ გზაზე სიყმაწვილე შემხვდა,
გამიცინა,
ია ეპყრა ხელთა,
იქნებ ვინმემ გული მანდო წრფელი
და მადინა სიხარულის ცრემლი...
ჩამოიღეთ გიტარა და თარი,
ვაჰ, თუ ვინმემ შემაყვარა თავი...

* * *

მინდა ბალახებში თავი მივდო,
მინდა სიხარულით გავირინდო,
მინდა გულზე მიწა დავიყარო
და ზედ გვირილებმა გაიხარონ.
მინდა მთვარე დაბლა ჩამოვიღო,
თავქვეშ ბალიშივით ამოვიდო...
მინდა ბალახებში თავი მივდო,
მინდა სიხარულით გავირინდო.

გვირილა

ფართოდ გაუღია მზისფერი თვალები,
ხამლად ერთი პეშვი მიწა უკმარია,
არავის არ ეძებს,
არავის არ ელის,
კორდზე მარტოდმარტო
დგას და... უხარია...

სიტყვა

ეკლიან სიტყვას,
როგორც ავგაროზს
სიკეთის მცველად ვატარებ მხოლოდ
და ზოგიერთი ჭკუით საბრალო
ვიცი, მეძახის ავასა და ბოროტს.
რა ესმით, ეგებ მჭირდება ნიღბად
სიტყვა ცხოვრების ჩარხზე ნალესი,
რომ დავიფარო რაღაც მის მიღმა
უსპეტაკესი და უნაზესი.

სამძიმარა

არხილოსკალოში მცხოვრებ
ხევსურ ქალს – სამძიმარა არაბულს

ცა იკვალთავს
ნისლის კალთას,
მიწა ძოწით მკერდს იფარავს,
შირაქის მზეს ეფიცხება
სამძიმარა – მთების ქალა.

სადღაც კრუხი აწიოკდა, –
ცაზე ძერამ გადიარა
თვალებს ახელ.
არწივი ხომ არ გეგონა,
სამძიმარა?

ხევსურეთი მირჩევნისო, –
სევდიან თვალს არ მიმალავ, –
ცხორი, წყალი და ჰაერი
ჰყოფნიდისო სამძიმარას.

ბარისახო რა შორს არის,
კაბას ცრემლით რად ინამავ,
აქაც შენი სამშობლოა,
შენი ცაა, სამძიმარა!

უწყინარი ღრუბლის ფარა
მთებს გადაღმა გადიმალა...
მიუყურდი შირაქის მზეს,
ხედავ? –
გათბობს, სამძიმარა!

ხომ შეიძლება

ხომ შეიძლება,
ხომ შეიძლება,
შიმშილით მოკვდეს პოეტი ქალი;
გულში ხვდებოდეს შური ისრებად,
მას კი არ ჰქონდეს პური და წყალი.
მის სამშობლოში მგლები ლაღობდნენ,
მას სამშობლოზე რჩებოდეს თვალი...
ხომ შეიძლება,
ხომ შეიძლება,
ძაღლივით მოკვდეს
პოეტი ქალი.

* * *

სიკვდილმაც რომ
ურცხვად ხელი მახლოს,
ვერ გაგცილდე,
შენთან ვიყო ახლოს –
ვაი, ჩემო დარბეულო,
ვაი, ჩემო დამშეულო,
ვაი, ჩემო დაქცეულო,
ვაი, ჩემო დაქანცულო,
ვაი, ჩემო შეცდენილო,
აი, ჩემო შერცხვენილო,
ვაი, ჩემო საცოდავო,
ხალხო!..

1992 წლის 16 თებერვალი

* * *

ამ მშვენიერი დილის ნაცვლად
მე რომ მომართვეს;
ამ მოზუზუნე კორდის ნაცვლად,
სად მგონია თავი უფალი;
ამ გულყვითელა ჩიტის ნაცვლად
ჩემს ბაღჩაში ხილს რომ უგალობს,
ამ საოცარი ღამის ნაცვლად,
ნაბადივით რომ შეიფარა
ჩემი სინაზე, –
ბროლის კოშკი რომ
ამიშენონ? –
რა შავქვად მინდა...

* * *

მზემ რომ სხივი მომაშუქოს,
ერთი სათოფური დამრჩა,
ისიც ვინმემ რომ დაქოლოს,
ხომ გადიქცა სული ნაცრად?
ვაჰ, თუ გაწყდა ცის ზღაპარი,
ერთი რამცა
თეთრი რამცა,
ცოტა შუქი,
ცოტა ლექსი,
ბევრი სინანული დამრჩა.

* * *

არ მერგო წილად, ეკლისგან
ვარდები გამომერჩივნა,
და მაინც ვერრა ვიღონე,
რომ სული გადამერჩინა.
მოჰქრიან თალხი ირმები,
მე თეთრი მტრედი მერჩივნა.

გაყიდული სირცხვილი

აღარ მხიბლავს ცაში ვარსკვლავთ ციმციმი,
გული სკდება კაცთა სულის სიმცირით,
ღმერთო ჩემო!
რარიგ ურცხვად იცინის
შავ ბაზარზე გაყიდული
სირცხვილი...

რას მიყივის ნეტავ ვაჟა?

მთები რისთვის მელანდება,
ბედკრულს რა შემიძლია,
ან მე რისთვის მედარდება
ის ბეჩავი ნიბლია?
თუკი სულში წყარო დაშრა,
თუკი გახმა ჯეჯილი,
რას მიყივის ნეტავ ვაჟა
ჩოხაშემოგლეჯილი?!.

პოეტი ბრბოში

ვინც დღენიადაგ უაზროდ ლხინობს,
ვინც ნეტარებას ძღომაში ჰპოვებს,
თუ შეუძლია წარმოიდგინოს,
კალამ – ქაღალდი არ ჰქონდეს პოეტს.

რა მოაშუშებს ამხელა სნებას,
რა ეშველება ჟამს მიშლილ-მოშლილს,
რა უამურმა დაჰქროლეს წლებმა,
რა საბრალოა პოეტი ბრბოში...

დამსხვრეული ფანდური ვარ

ვიცი, განა ვერა ვხვდები,
ჩემი დღენი დათვლილია,
ყვავილები – ჩემი დები
უკვე მწარედ დამტირიან...
ოთხიოდე ნაღდი ლექსი
შემოგწირე როგორც ხემსი, –
სხვა რა გითხრა, საქართველოვ,
სიხარულის ნატრული ვარ,
დამსხვრეული ფანდური ვარ...

პუბლიცისტის ჩანაწერები

ანდერსონი, განათლების ცენტრი

სამხრეთ კაროლინის შტატში, ქალაქ ანდერსონის განათლების ცენტრში, ინგლისური ენის კურსებზე, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ადამიანები გავიცანი.

მექსიკელი ესპერანსა შვიდი შვილის დედაა. საოცრად ენერგიული ქალბატონია.

მექსიკაში ოჯახის რჩენა ძალიან გაგვიჭირდა, ამიტომ მეუღლესთან და ორ ვაჟიშვილთან ერთად ამერიკაში ჩამოვედით, – მითხრა ქალბატონმა ესპერანსამ.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ბულია და ქუთაი სტამბოლიდან ჩამოვიდნენ.

– სახლში წითელი ჯიპით დავბრუნდებით, – ოცნებობს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი.

ეგვიპტელი ახმედი შუახნის კეთილი და თავაზიანი მამაკაცია. იერით ჩვენებურს ჩამოჰგავს. ხშირად ვართ ერთად.

ცოტას წელში გავსწორდები და სამშობლოში წავალ, – ამბობს იგი.

ჩინელი კიმი ახალგაზრდაა. სწავლაზე ოცნებობს. თავდაუზოგავად შრომობს, რომ სწავლის ქირა დააგროვოს.

კოლუმბიელი ახალგაზრდები ინგრიდ ბორმანი და ჩარლზ დარვინი მეგობრები არიან. ისინიც გაჭირვებამ ჩამოიყვანა ამერიკაში.

– ჩემს ქვეყანაში ძალიან ბევრი ღარიბი და ცოტა მდიდარი ცხოვრობს, – მითხრა დარვინმა.

რა იცოდა კოლუმბიელმა ახალგაზრდამ, რომ უნებლიეთ გული დამიკოდა.

უმალ თვალწინ დამიდგა ერთ დროს ლაღი და ამაყი, დღეს კი წყეულ მავანთა ძალისხმევით წელში გაწყვეტილი, გაძარცვული, გამათხოვრებული, მაგრამ მაინც სულზე უტკბესი სამშობლო.

ანდერსონი, სამხრეთ კაროლინა
ოქტომბერი, 2000

ჯუმბერ ჯიშკარიანი

ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან

გაზეთ „ახალი ერა“-ს რედაქტორს, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ვულოცავ „ახალ ერას“

ბატონო ელიზბარ!

ერთადერთი, რაც დღეს უხვადაა უსახსრობით გაწამებულ, მავანთა ძალისხმევით გაჩანაგებულ საქართველოში – გაზეთებია, რომელთა უმრავლესობა ტყუპისცალივით ჰგვანან ერთმანეთს.

როდესაც შევიტყვე, ახალ გაზეთს თქვენ უნდა წარუძღვეთ, – მიამა ფრიად. საქართველოს უერთგულესი, თავდადებული ქართველი მამულიშვილი, შეძლებთ გარს შემოიკრიბოთ ერი და ბერი, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია კატასტროფის პირას მისული სამშობლოს მომავალი. მჯერა, თქვენ შეძლებთ ახალი გზა უჩვენოთ ჩვენს წამებულ ქვეყანას...

გთხოვთ, მიგულოთ თქვენს გვერდით.

ჯუმბერ ჯიშკარიანი,
ანდერსონი, სამხრეთ კაროლინა, აშშ
4 აპრილი, 2000

როდის დადგება „ოქროს ხანა“!

ამას წინათ, მეგობარმა გაზეთები გამომიგზავნა ნიუ-იორკიდან. ჩემი ყურად ღება მიიპყრო მოხსენებამ კაცობრიობის განვითარების შესახებ. მოხსენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით დამუშავდა, განვითარების პრო გრამის ჩარჩოებში. მასში აღნიშნულია, რომ ჩვენს ცოდვილ პლანეტაზე ბევრი რამ მოუწესრიგებელია. ყოველ შემთხვევაში, დედამიწაზე დაგროვილი კაპიტალი მეტად უთანაბროდაა

განაწილებული. კერძოდ, მსოფლიოში ორასი ოჯახი, ძლი ერნი ამა ქვეყნისანი, იმდენ სიმდიდრეს ფლობს, რამდენსაც დედამიწის მოსახლეონის უღარიბესი ფენის ორი მილიარდი წარმომადგენელი; ხოლო პლანეტის მთელი მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს (უფრო სწორად, არსებობს) შემოსავლით, რომლის ექვივალენტი დღეში ორ დოლარს არ აღემატება!

ამის წაკითხვისას ელდა მეცა.

დღეში ერთ სულზე ორი დოლარი ხომ თვეში სამოცი დოლარია, ანუ ასოცი ლარი. ეს ის თანხაა, რომელსაც თურმე გაეროს ექსპერტები საგანგაშოდ მიიჩნევენ. აქვე დავსძენ იმათ გასაგონად, პარლამენტში რამე საკითხის განხილვისას ან კანონის მიღებისას რომ წამოიძახებენ: – ბატონებო, ეს ამერიკაში ასეა, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთო! – თვით ამერიკაში სიღარიბის ზღვარი 1999 წელს ოფიციალურად შეადგენდა: ერთ სულზე – 8240 დოლარს წელიწადში, ორ სულზე – 11.060, სამ სულზე – 13.888, ოთხ სულზე – 16.700 დოლარს! (გულო, ჩადექ საგულესა!).

დასამალი როდია, საქართველოში ხელფასებისა და სოციალური დახმარების ინდექსი ადამიანის ღირსების შემლახველი და ყველაზე სამარცხვინოა მსოფლიოში! ქვეყანაში პროფესორის ხელფასი 50–70 ლარია, ხოლო მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის დღიური საარსებო თანხა რამდენჯერმე ნაკლებია მსოფლიოს მოსახლეობის უღარიბესი ფენის დღიურ შემოსავალზე.

რას იზამ, რამეში ხომ უნდა ვიყოთ პირველები. „მტკიცედ“ გავსულვართ მსოფლიოში პირველ ადგილზე სიღარიბის დონით. რა სომალი, რის სომალი?

ამ ციფრების კომენტირება მმართველი პარტიის იმ ენამოქარგული, უსაშველოდ განათლებული წარმომადგენლებისთვის მიგვინდვია, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების წინ მოსახლეობას ამუნათებდნენ, – ოღონდაც კიდევ ერთხელ გვენდეთ, აგვირჩიეთ და გპირდებით... ეს ოთხი წელიწადი საქართველოსთვის ოქროს ხანა იქნებაო...

არ გვინდა ბატონო „ოქროს ხანა“! მხოლოდ ის გვითხრან, მათი ძალისხმევით ამერიკელთა სიღარიბის ზღვარს რამდენ ოთხწლედში მივუახლოვდებით?

„ახალი ერა“, 4 აპრილი, 2000

გოჩა მალანია – სოხუმელი „კასკადიორი“...

ოცდასამი ივლისი არასოდეს დაავიწყდება სოხუმელ გოჩა მალანიას. იგი დროებით ფლორიდის შტატის ქალაქ სანკტ-პეტერბურგის მახლობლად კლევოტერში, მეუღლესთან ერთად ცხოვრობს.

იმ დღეს, ჩვეულებრივ, დილის ექვს საათზე გამოცხადდა სამუშაოზე. ის იყო, სუპერმარკეტში შევიდა, რომ ფეხდაფეხ ოთხი ნიღბიანი მძარცველი შეჰყვა.

როგორც დეტექტურ ფილმებშია, – ერთმა ნიღბიანმა იარაღის მუქარით გოჩა აიძულა, იატაკზე გართხმულიყო, სამმა მძარცველმა კი მენეჯერი ოფი სისკენ წაიყვანა, შუბლზე პისტოლეტები მიაბჯინეს და რკინის სეიფის გაღება უბრძანეს. როგორც კი სალარო „გაასუფთავეს“, სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა.

გოჩა არ დაიბნა, უმალ გარეთ გავარდა, დაზაფრული მენეჯერი ძალით ჩაისვა მანქანაში და მძარცველებს გამოუდგა. მენეჯერმა მობილურით პოლიციას შეატყობინა, თან მანქანების მოძრაობის მიმართულებას კარნახობდა.

– ფრთხილად იყავით! ეცადეთ, მხედველობიდან არ დაკარგოთ! – გადმოს ცეს ცენტრალური სადისპეტჩეროდან.

მძარცველები, ეტყობა, კარგად იცნობდნენ უბანს, ამიტომ სწრაფად მანევრირებდნენ, ხშირად იცვლიდნენ მიმართულებას, არც წითელ შუქნიშანს ერიდებოდნენ, მაგრამ მდევარს ვერ დაუსხლტნენ. გოჩა, როგორც ნამდვილი კასკადიორი, „კუდზე გამოება“ მძარცველების „პონტიაკს“.

ხუთ წუთში პოლიციის საპატრულო სამსახურის ორი ვერტმფრენი ცაში აიჭრა, რომლებმაც მძლავრი პროჟექტორებით დასერეს ქალაქის ზეცა.

კიდევ რამდენიმე წუთი და, მანქანების მოძრაობის მიმართულებით ყველა ქუჩა და გასასვლელი პოლიციის მანქანებმა და მოტოციკლისტებმა გადაკეტეს...

ხუთივე მძარცველი ადგილზე შეიპყრეს.

თურმე, მეხუთე მონაწილე დაქოქილ მანქანაში ელოდა ჯგუფის წევრებს, მაგრამ გოჩა მალანიას გაბედულებამ და საზრიანობამ მათი ჩანაფიქრი ჩაშალა.

...სულ ათ წუთს გრძელდებოდა თავაწყვეტილი რბოლა სანკტ-პეტერბურგის მყუდრო ქუჩებში, მაგრამ ეს ათი წუთი არასოდეს დაავიწყდება გოჩა მალანიას...

იმ დღეს მან დიდი გამოცდა ჩააბარა...

როგორც ოპერაციაში მონაწილე

პოლიციელებმა აღნიშნეს, ეს ნამდვილი გმირობა იყო – შეიარაღებულ მძარცველებს კვალში მისდიო სრულიად შიშველი ხელებით!

ინფორმაცია შემთხვევის შესახებ მეორე დღესვე დაბეჭდა „სანკტ-პეტერბურგ თაიმსმა“, ხოლო „ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილების ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ეთერ ფიჩხაძემ ჩემთან და გოჩასთან ინტერვიუ ჩაიწერა. გადაცემა თბილისში კი მოისმინეს, მაგრამ მე ვერ მოვახერხე.

ფლორიდა, ლარგო
31 ივლისი, 2004 წელი

მოპატიჟება საქართველოში

გუშინ ხათუნა ჩარკვიანმა ნიუ-იორკიდან ფაქსით ინფორმაცია გამომიგზავნა, რომელიც „დილის გაზეთისთვის“ მოუმზადებია. მითხრა, რომ უფრო ვრცელი მასალა „ფორტუნასთვის“ მიუწოდებია, მაგრამ სამწუხაროდ, აქ მისი მოსმენის საშუალება არ მაქვს. „ფორტუნას“ კი არა, „ამერიკის ხმასაც“ ვერ ვისმენ, განა პარადოქსი არ არის?

საქართველოში მაშინ ვისმენდი „ამერიკის ხმას“, ქვეყანა გარე სამყაროსგან „რკინის ფარდით“ რომ იყო გამიჯნული. დღეს კი დემოკრატიის ციტადელში – აშშ-ში „ამერიკის ხმის“ ქართულ გადაცემას ვერ ვუსმენ.

უფულობაი დაუდგეს თვალი, თორე... ეგ რა პრობლემაა?

არა უშავს, ესეც მალე მოგვარდება.

ფოტოგამოფენა „გეპატიჟებით საქართველოში“

სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ ანდერსონის განათლების ცენტრში გაიხსნა ფოტოგამოფენა – „გეპატიჟებით საქართველოში“, რომელიც მოაწყო გეოგრაფმა და ჟურნალისტმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა. იგი დროებით ამერიკის შერთებულ შტატებში იმყოფება და მეტად საინტერესო ჰუბლიკაციებით აგრძელებს კონტაქტს ქართულ მასმედიასთან.

გამოფენაზე სტუმრები ინტერესით ეცნობიან საქართველოს ბუნებას, ისტორიას, ხელოვნების ნიმუშებს, არქიტექტურის ძეგლებს, ტურისტულ ობიექტებს.

– გამოფენა ნამდვილი აღმოჩენა იყო ჩვენთვის, – წერს შთაბეჭდილებათა წიგნში ვენესუელელი ადრიანა დიასი.

– საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ზოგიერთი ძეგლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იუნესკო მფარველობს, – წერს მექსიკელი ესპერანსა გვადალახარადან.

– პირდაპირ განსაცვიფრებელია საქართველოს მიღწევები სპორტში, – წერს ბრაზილიელი რაქელი, – ჩემი სამშობლო ტერიტორიით 120-ჯერ აღემატება საქართველოს, მოსახლეობის რაოდენობით კი ოცდაათჯერ. მიუხედავად ამისა, საქართველოს მრავალი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ჰყოლია სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ასეთი მიღწევები ბევრად უფრო დიდ ქვეყნებსაც არა აქვთ.

ბატონ ჯუმბერს განზრახული აქვს მეორე გამოფენა გინესის მრავალგზის რეკორდსმენს ჯუმბერ ლეჟავას მიუძღვნას, რომელიც მერვე წელია ველოსიპედით მარტოდმარტოდ მოგზაურობს დედამიწის გარშემო და ამჟამად აფრიკაშია.

ხათუნა ჩარკვიანი,
ნიუ-იორკი, აშშ,
სპეციალურად „დილის გაზეთისთვის“

P.S. ამ გამოფენის შესახებ ინფორმაცია გაზეთ „Новое русское слово“-მაც დაბეჭდა. ეს გაზეთი ერთადერთი ყოველდღიური რუსულენოვანი გაზეთია მთელ ამერიკის კონტინენტზე. *ჯ.ჯ.*

„შოთა რუსთაველის ფრესკა მსოფლიო კულტურის ფასდაუდებელი საგანძურია“

ამერიკაში დროებით მცხოვრები ქართველები შეშფოთებულები ვართ იერუსალიმში ჯვრის მონასტერში მომხდარი ვანდალიზმით!

ყოველდღე ვრეკავ ნაცნობ-მეგობრებთან ნიუ-იორკში, ნიუ-ჯერსიში, ბოსტონში, ჩარლსტონში, სან-ფრანცისკოში.. ყველანი შეძრწუნებულები არიან.

ვიცი, რაც ხდება საქართველოსა და ისრაელში.. გუშინ ტელეფონით დავუკავშირდი ნიუ-იორკში ქართულენოვანი რადიოპროგრამის დამაარსებელსა და წამყვანს, კოლუმბიის უნივერსიტეტში ქართული ენის ლექტორს, ქალბატონ მანანა ჯინჯიხაშვილს, რომელმაც განაცხადა:

– შოთა რუსთაველის ფრესკა მსოფლიო კულტურის ფასდაუდებელი საგანძურია, –

თქვა მან, – საქართველოში დავიბადე და გავიზარდე. ამიტომ ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, ფილოლოგისთვის, საერთოდ, ადამიანისთვის, „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა განუზომელია!

სამყარო, ფართო გაგებით ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ, პირველად „ვეფხისტყაოსნით“ გავიცნობიერე.

დედამიწაზე არსებობდა გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ერთადერთი გამოსახულება!

სიტყვებით შეუძლებელია გადმოსცე, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფრესკას არა მარტო ქართველი ერისთვის, არამედ მსოფლიო კულტურისთვის!

დედამიწაზე არის კულტურის ნიმუშები, რომელთა ღირებულებას მიწიერი საზომით ვერ შეაფასებ. მაგალითად, „ჯოკონდას“ ფასს ვერ ადებენ! იმიტომ, რომ ის ყოველგვარი შეფასების მიღმაა!!!

არა მარტო ჩემთვის, მსოფლიო კულტურისთვის ასეთი გახლავთ შოთა რუსთაველის ფრესკა!

ამიტომ ის, რაც იერუსალიმში მოხდა, ჩემთვის ძალიან დიდი ტკივილია! ამავე დროს, ვამაყობ, რომ ჩემმა ხალხმა ასე აქტიურად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ ვანდალიზმისადმი. ისრაელში ქართველი ებრაელები ყოველ დღე გრანდიოზულ მიტინგებს აწყობდნენ, რომ გაირკვეს სიმართლე.

ვფიქრობ, გამოძიება დაადგენს, მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის ხელმყოფთა ვინაობას.

ფლორიდა, აშშ

გორბაჩოვი... ექვს სტრიქონად

ყოფილმა საბჭოთა პრეზიდენტმა მიხაილ გორბაჩოვმა და მისმა ქალიშვილმა ირინა ვირგანსკაიამ ამას წინათ შორეული კოლორადოს შტატის მორისონის ფორტის რესტორანში ისადილეს – იუწყება ჟურნალი „COWBOYS INDIANS“. სტუმარს სადილზე ბიზონის სუკით გაუმასპინძლდნენ.

– ამერიკის დასავლეთის სამზარეულო ძალიან მომეწონა. იგი, თურმე ჩემი სამშობლოს – სამხრეთ რუსეთისას ჩამოჰგავს, – განაცხადა ყოფილმა პრეზიდენტმა.

ჟურნალში დაბეჭდილ ფოტოსურათს თვალი რომ შევავლე, უმალ ქართული ანდაზა მომაგონდა – დრონი მეფობენ და არა მეფენი.

„ახალი მსოფლიო წესრიგისა“ და „ახალი აზროვნების“ არქიტექტორი, „პერესტროიკის“ წამომწყები, რომელსაც მსოფლიოს ზესახელმწიფო ლაყე კვერცხივით შემოემსხვრა ხელში, თავისი ზეობის ჟამს, ამერიკაში რომ ჩამოვიდოდა, დედამიწა ზანზარებდა... ორი ათასი რკინისმკვნეტელი სუპერმენი იცავდა მის უსაფრთხოებას. მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები მის ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს აღნუსხავდნენ. ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე მისი სურათები და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები იბეჭდებოდა. დღეს კი მის მოგზაურობას ამერიკის დასავლეთში ერთ ჩვეულებრივ ჟურნალში სულ ექვსი სტრიქონი ეძღვნება...

რას წარმოიდგენდა საბჭოეთის მესაფლავე, საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი, რომ ამერიკაში მორიგი სტუმრობისას ბიზონის მწვადების რეკლამა მოუწევდა...

ჭეშმარიტად! დრონი მეფობენ!

სამხრეთ კაროლინა, აშშ

გაზეთ „დავითის ფარის“ რედაქტორს – სიმონ კრიხელს

ბატონო სიმონ! თქვენი გაზეთის ბოლო ნომერი მივიღე. ძალიან დიდი მადლობა. კორექტურა თითქმის არ იყო!

ამჯერად გიგზავნით ორ წერილს, ოსვენციმზე და ბრინკლი სმიტერსზე. სურათებს ცისანა მოგაწვდით,კარგი იქნება პირველ წერილს მიშა ჯანაშვილის ნახატს თუ დაურთავთ. მჯერა, თქვენც მოგეწონებათ. ქალბატონი ცისანა მოგაწვდით ასევე ადელ და ბრინკლი სმიტერსების პორტრეტს. ეს სურათი ცისანას სმიტერსების ოჯახმა როკფელერების ფონდისთვის სასაჩუქროდ შეუკვეთა.

ბატონო სიმონ! მინდა შემოგთავაზოთ წერილების სერია „საოცარი მიწისქვეშეთი“ (ახალი ათონის, წყალტუბოს მღვიმე, სათაფლია და დინოზავრის ნაკვალევი; მსოფლიოს უგრძესი – მამონტის მღვიმე – კენტუკის შტატში; მსოფლიოს ულამაზესი მღვიმე – კარლსბადი – ნიუ-მექსიკის შტატში; ოჰაიოს მღვიმე, დაკარგული ზღვის მღვიმე ტენესის შტატში; ამ მღვიმეშია მსოფლიოში უდიდესი მიწისქვეშა ტბა; ასევე ფრასასის მღვიმე იტალიაში; მაცოხა – ჩეხეთში,

დომიცა – უნგრეთში და სხვ. ეს მღვიმეები სხვადასხვა დროს მოვინახულე, მაგრამ შთაბეჭდილება არ გამნელებია).

ბატონო სიმონ! გუშინ „ნიუ-იორკ თაიმსში“ დაიბეჭდა წერილი იუდა ისკარიოტელზე. დასტამბულია ხელნაწერის ფრაგმენტი, რომელიც უპოვიათ მღვიმეში! ჩემმა მეგობარმა თარგმნა, მაგრამ ბევრი რამ გაუგებარი დარჩა ჩვენთვის. თუ წერილს თქვენი გაზეთისთვის ათარგმნინებთ, გთხოვთ, თარგმანი მეც მარგუნოთ; ძალიან მადლობელი დაგრჩებით.

დიდი პატივისცემით,

ჯუმბერ ჯიშკარიანი,
ლარგო, ფლორიდა
8 აპრილი, 2006

თბილისი, რეზო ადამიას

ბატონო რეზო, გამარჯობა!

მოგესალმებით შორეული ამერიკიდან და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ.

ბატონო რეზო! გიგზავნით წერილს ტერენტი გრანელის შესახებ. თუ ბატონი მამანტი მის დაბეჭდვას საჭიროდ ჩათვლის, მაშინ სასურველია წერილს დაერთოს ქალბატონი ცისანა ჯანაშვილის ოთხი ნამუშევარი: „მე და ჩემი ვარსკვლავი“; „ეგზალტაცია“; „მიმართვა ხისადმი“; „მარადისობის ლაჟვარდები“ (ეს იმ შემთხვევაში, თუ წიგნი ილუსტრირებულია; მე სამწუხაროდ არაფერი ვიცი, რა სახის წიგნი მზადდება). კარგი იქნება, თუ ბატონი მამანტის ტელეფონს მაცნობებთ. დავურეკავდი და ზოგ რამეს დავაზუსტებდი.

საჭირო სურათები სკანირებული აქვს ჩემს მეგობარს, ვანიკო ჯაფარიძეს. იგი დისკზე გადაიტანს და გადმოგცემთ.

ყოველ შემთხვევაში, ვწერ ჩემი ტელეფონის ნომერს: 1–722–518–1585.

დიდი პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით – ჯუმბერ ჯიშკარიანი.

ლარგო, ფლორიდა, აშშ
17 მარტი, 2008

„ორი მაესტრო“ კულტურის სამინისტროში

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა ლიტერატორ ნინო ჩხიკვიშვილის წიგნის – „ორი მაესტროს“ წარდგინება. წიგნი „საუნჯემ“ გამოსცა და ორი მწერლის: ოთარ ჩხეიძისა და ერლომ ახვლედიანის შემოქმედებითი ცხოვრების ეპიზოდებს ასახავს.

წიგნის ავტორი ოთარ ჩხეიძისა და ერლომ ახვლედიანის ყოფილი სტუდენტია, ამიტომაც მასში თავმოყრილია არა მხოლოდ ლიტერატურული წერილები, არამედ მწერლებთან შეხვედრების ამსახველი ეპიზოდებიც, რომლებიც მათ პიროვნულ თვისებებს კარგად წარმოაჩენს.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ განაცხადა, რომ წიგნი საინტერესო, ცოცხალი მასალით არის გამდიდრებული, რომელიც შესაბამის დროს აცოცხლებს.

„სწორედ ასეთი ადამიანები იყვნენ ოთარ ჩხეიძე და ერლომ ახვლედიანი. მართლაც, ბედი გინდა ადამიანს, რომ ორივე შენი პედაგოგი იყოს, რომლებთან ურთიერთობასაც მთელი ცხოვრება შეინარჩუნებ“, – აღნიშნა მარიამ წიკლაურმა.

ნონა კუპრეიშვილმა ნინო ჩხიკვიშვილის ახალ წიგნს გარკვეული ხელწერის მქონე უწოდა, რომელიც თანამედროვე ლიტერატურაში თავის ადგილს დაიკავებს.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: მაკა ჯოხაძე, მანანა გაბაშვილი, ირინა ონიანი, ლია მეტრეველი, ნიკოლოზ ჩუბინიძე, ხათუნა ლორთქიფანიძე, რამაზ შენგელია, ტარიელ ხარხელაური და სხვები.

დამსწრე საზოგადოებას ასევე მიმართა ერლომ ახვლედიანის დისშვილმა, მალხაზ კოხრეიძემ. შეხვედრას ესწრებოდა ერლომ ახვლედიანის ვაჟი ბაქარ ახვლედიანი.

თამარ შაიშმელაშვილი

გადაფრენა

გალაკტიონ ტაბიძეს

აი ხომ მაინც დავასწარი
ჩემს დაბადებას
და გადავლახე უჟამობის
ვრცელი კორიდა...
ბედის სიზმარი ამიფრინდა
მზეშლილ ვარდებად
და ვარსკვლავების ჟრიამული
მომწვდა შორიდან...
აი ხომ მაინც გადავლახე
უცხო საზღვარი,
არცერთი თასი აღარ დამრჩა
დაულეველი,
ახლა ლურჯთვალა გვირილებთან
ვთვრები სხვა ქარით
და ნატირალა მარტოობას
ვეღარ ველევი...
ვარ უკვდავება სიცოცხლესთან
თანაზიარი,
ლურჯა ცხენები საიქიოს
ფლოქვებფერილი...
ელვაფერებით მოფრიალე
სული მზიანი,
მერის თვალებზე სამუდამოდ
ჯვარდაწერილი.
ეს გადაფრენაც ტკივილიდან
ტკივილმა ივნო...
და სიყვარულმა ყვავილივით
გაშალა ცრემლი...
ხვალ ჩამომისხავს შემოდგომა
ნოემბრის ღვინოს,
დიდი ბავშვივით ჩავეხვევი
სამყაროს შეშლილს...

შენ მოგაბარე

შენ მოგაბარე ჩემი წარსული –
სისხლით მომკილი ხირსის ქედები...
ბოდბის მირონი სევდანაჟური...
კახეთს ცრემლივით ვერ შეველევი...
დაეთრიმლება მთებს ნავალები,
გასხივოსნდება ქარსატევარი...
და ცისკარივით დგას ალავერდი –
მზედაწურული ქრისტეს მტევანი!

მოგინამდვილებ...

მოგინამდვილებ,
ვით მზეს ქარში,
ლოცვად
ამ დილით
და დრო-მდინარე
შენს თვალებში
ჩამორინდდება...
როს ზღვის ნათელი
ჩამოდგება –
დიდი სიჩუმე,
ვინ მიგულმთვარებს
შენს მაგივრად,
ვინ გამენდობა?

* * *

ეს ღამე ღელვის ყანეული,
მე შენზე ნატვრით არეული...
მიწიდან ცამდე ვარ ეული –
თითებზე ცრემლის ანეული...
გულიდან მზემდე ნამეული
სიცოცხლე – ვნებაგარეული...

* * *

ჩამომეშალა
შენი სიყვარული –
სიჩუმის პირამიდა
ხელისგულისოდენა
ცრემლი...

ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუსიშვილი

შეულამაზებელი სიმართლე სჯობს...

(ბექა ქურხულის რამდენიმე მოთხრობა)

1999 წელი გახლდათ. გაზეთში „ახალი საქართველო“ ერნესტ ჰემინგუეის წერილი „მწერალი და ომი“ წავიკითხე; ყოველი დროისათვის აქტუალური და საინტერესო სტატია, თუმცა მაშინ არა მარტო მისმა პათოსმა იმოქმედა ჩემზე, არამედ მშვენიერი ქართულით თარგმნილმა ტექსტმა. მთარგმნელის სახელი და გვარი – ბექა ქურხული – არაფერს მეუბნებოდა, გარდა იმისა, რომ ავტორს საჭირო თემა შეურჩევია სათარგმნელად...

მას შემდეგ 13 წელი გავიდა... დღეს იგი რამდენიმე პროზაული კრებულის ავტორია; დაიბადა 1974 წელს. მისი პირველი ნოველები 1991 წელს გაზეთ „მამულში“ დაიბეჭდა. 1999-2004 წლებში იყო გაზეთ „დილის გაზეთის“ რეპორტიორი საქართველოსა და კავკასიის კონფლიქტურ რეგიონებში; 2004 წელს გამოიცა მწერლის პირველი წიგნი „წერტილი... დაკარგული ტერიტორიის დაკარგული ადამიანები“; 2005 წელს – პროზაული კრებული „სახლი სხვაგან“; 2010-ში – „შეხვედრა მას შემდეგ“.

მოთხრობები: „ადამო“, „ცარიელი საფერფლე“, „ზაფხულის მოკლე ღამე“, „10.000 სიტყვა“ – შესულია ლიტერატურულ კრებულებში: „39 რჩეული მოთხრობა“, „ქართული საყმაწვილო მოთხრობების რჩეული“, „ხვამლი“. 2011 წელს გამოიცა რომანი და მოთხრობები „ორი მთვარის ამბავი“; 2012-ში – მოთხრობების კრებული „ზაფხულის მოკლე ღამე“.

მინდა შევჩერდე მის რამდენიმე მოთხრობაზე, კერძოდ – „შეხვედრა მას შემდეგ“, „აჭარელი“, „ცარიელი საფერფლე“, „კახური დღე მარსელში“, „ზაფხულის მოკლე ღამე“, „ლერა Масква“, „ბებო“.

აქედანვე შევნიშნავ, რომ ბექა ქურხულის თხრობის მანერა იმდენად უშუალოა, რომ თითქმის ყველაფერში ეთანხმები,ყველაფერს მისი თვალით უყურებ, ზომავ და უკეთებ ანალიზს, იმდენად დამაჯერებელია, რომ წინააღმდეგობას არ უწევ და „სიამოვნებით“ მიჰყვები უბანში, სახლში, ქუჩებში, ვინმეს მისაშველებლად თუ პირიქით... მწერლის პერსონაჟები მკითხველის მეგობრები, მეზობლები, ნაცნობები ხდებიან... იგი, ამის თქმა თამამად შეიძლება, ცხოვრების შეულამაზებელი ჩვენებით, ახალგაზრდებს და არა მარტო მათ, ასწავლის, უზიარებს ცხოვრების ანაბანას... სამშობლოს, ადამიანის სიყვარულს, შიშის დაძლევას, ადამიანური სისუსტების მიტევებას... ვაჟკაცობას, კაცობას...

„ჩვენ ძალიან ფაქიზად უნდა მოვეკიდოთ ყველაფერ იმას, რაც ჩვენს წარსულში არსებობს და როდესაც ამას გავაკეთებთ, მაშინ ჩვენ არა მარტო წარსულს დავფასებთ, არამედ მომავალსაც ავაშენებთ. სხვანაირად ეს არ მოხერხდება“... – წერდა ბატონი აკაკი ბაქრაძე; ეს თეზაა ავტორისთვის მისაღები, როდესაც ხაზგასმული სიმართლით წერს 90-იან წლებში ჩვენს დედაქალაქში განვითარებულ მოვლენებზე, მათ უარყოფით შედეგებზე. ნათლად ჩანს რეპორტიორის თვალით დანახულ-განცდილი საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე პროცესები...

მოთხრობები; „ცარიელი საფერფლე“, „აჭარელი“... ამის თვალსაჩინო მაგალითებია. – „თბილისი მაშინ საკუთარ თავს ჰგავდა. ყველაფერი რთული, მაგრამ ადვილად გასაგები იყო. აჯანყებულმა, ჩაბნელებულმა, მეომარმა და დანგრეულმა ქალაქმა პატრონმკვდარი სამურაივით გაიკეთა ჰარაკირი და სისხლით მოთხვრილი

სახით კიდევ ერთხელ ჩაემხო საკუთარ ხეობაში.

არც მაშინ იყო რაიმე უჩვეულო. თბილისში ავარდნილი ხანძარი ყველა იმ ცეცხლს ირეკლავდა, საუკუნეების განმავლობაში რომ დაჰკანკალებდა თავზე ამ ქალაქს, ქუჩებს, სახლებსა და სახლებიდან გამოსულ, ცეცხლში თავაღერილად მოსიარულე მის შვილებს. მაგრადაც ჩაიხოცნენ, გადაიძეგა სასაფლაოები... მაგრამ მაშინ ყველაფერი ნაღდი იყო და გასაგები. მერე ეს ჩათლახები დაბრუნდნენ საიდანღაც, ბლომად ჩათლახები, და ყველაფერი გადაღებეს, თავისთვის გადაღებეს, ესენი ცეცხლში მოსიარულეები არ არიან და ვერც ხანძრის სუნს იტანენ. სისხლით მოსვრილ სამურაის, გეიშას მაკიაჟი გაუკეთეს და ეგრევე დატოვეს. მაშინ ამდენი „ბასანოშკიანი“ და ზურგჩანთიანი სულელი უცხოელი არ დადიოდა ქალაქში და არც თბილისი ჰგავდა დისკოთეკის ჭყეტელა „სვეტამუზიკიან“ დარბაზს... ქალაქში ცეცხლი ენთო, გამოდიოდნენ და გამოდიოდნენ ცეცხლიდან ბიჭები, რომ საფლავში ჩაესწროთ ამათვის და თან წაეღოთ თავისივე ხელით გადამწვარი ქალაქი. მათ ადგილას კი ეს „ვან,თუ,ფრი, ფო“ გაიჩითნენ, თავიანთი ბათინკებით, ფართებით და რაღაც უბედურებებით“...

„გარეთ წივილ-კივილით დაშხუოდა აწყვეტილი და ბრმა ტყვია. ჩაიწუილებდა, მოიყოლებდა ცივი გამყინავი სტვენის ხმას. ყველა მხრიდან უსტვენდნენ, როგორც ხულიგნები „იარმურკაზე“. პეკინზე იარაღმა გადაიგუგუნა. ავტომატი არ იყო. ავტომატი დოლიძის მხარეს მუშაობდა, რიტმში ისროდა, თითქოს მელოდია გამოჰყავდა — კაიფობდა. მერე ისევ პეკინზე დასცხო...

მეტროში ლეშის სუნი იდგა... ხალხი ტალღადაკრული ქვიშის მარცვლებივით ირეოდა ერთმანეთში — ერთ დიდ, უფორმო და უმწეო, მაგრამ სასტიკ ცხოველს ჰგავდა. ყველას ერთი სახე ჰქონდა. შეშინებულები ათვალიერებდნენ ერთმანეთს და ჩუმად ზუზუნებდნენ... ვაგონში ისეთი ჭყლეტა იყო, შეგეძლო ორივე ფეხი მოგეკეცა და გაჩერებულიყავი...“

შთამბეჭდავია მოთხრობა „აჭარელი“ რეალისტურ-პატრიოტული განცდითა და თითქოს ფანტაზიური ხვეულებით; იდეით, ფორმითა და მოყოლილი ამბების საქმის ცოდნით... „ორღობეში ქისტის კერკეტა ბავშვები თამაშობდნენ... მზე ჩადიოდა,უკვე კარგად იყო შემგლისფერებული. ბავშ ვები ისევ ქვებს ესროდნენ ერთმანეთს. უცებ ქართული გინება გაისმა, რომელიღაცას ნერვებმა უმტყუნა და გინება წამოსცდა. ჩეჩნებს, ჩვენი სვანებისა არ იყოს, გინება არა აქვთ და როცა ძალიან გაუჭირდებათ, ქისტები ქართული გინებით გადიან იოლას, ჩეჩნები — რუსულით, მაგრამ საერთოდ ვერ ეწყობიან და ერიდებიან მაგ საქმეს“... ვაჰაბისტების... „ემირმა დამშვიდობებისას მანქანა დაქოქა და თავის პატარა ბიჭს რაღაცა უთხრა ქართულად. ბიჭმა ხოტორა თავი გამოყო მანქანის ფანჯრიდან და სრულიად მოულოდნელად დასცხო: „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი, და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი...“

„...პირველი ომი რომ დაიწყო, ჯოჰარასთან ხალხი მივიდა — ეხლა რაღა ვქნათ, ჯოჰარ, როგორ მოვიქცეთო. არ იცით, როგორც უნდა მოიქცეთ? უნდა იომოთო! — უთხრა ჯოჰარმა. იარაღი მაინც მოგვეცი, რო ვიომოთ, იარაღი დაგვირიგეთ და ვიომებთო... რითიც გინდათ, იმით იომეთო — ჯოჰარა ეჩხუბა ხალხს, გაბრაზდა — მე რა იარაღი უნდა მოგცეთო... მე რას შემომყურებთ, მე რა ვიცი, თქვენ რით უნდა იომოთ, გინდა თოფით იომეთ, გინდა ხანჯლით, ფიწლით, ცელით, კეტით, ეგ ჩემი საქმე არ არის,თუ არა და იშოვეთ, ვერ იშოვით და ცარიელი ხელით იომეთო. ერთი ახალგაზრდა ბიჭი მდგარა იქ ხალხში, მიტინგში წინა მდგარა, ჯოჰარასთან ახლოს და ახლა ის გაბრაზებულა ძალიან მაგრად — ჰე, ჯოჰარ,აბა,რეებსა ლაპარაკობ,რა სიტყვაა ეგა, ხელით იომეო, შენ, აგე, ოციათასიანი დუბლიონკა გაცვია და მე ცარიელი ხელით ვეომო რუსულ ტანკებსო?.. გაიხადა მაშინ ჯოჰარამ თავისი დუბლიონკა, იმ ბიჭს გადაუგდო და უთხრა: აჰა, ჩაიცვი, შენი იყოს და ნაგანი კიდევ ჯიბეში დევს. აბა, შენ თუ მეომარი ხარო. იმ ბიჭმა ნაგანი იქვე მიტინგზე, ხალხში დაცალა, ჰაერში გაისროლა და ომში წავიდა იარაღის საშოვნელად. ხალხიც მას გაჰყვა...”

მწერალს — ამ ისტორიების შეხსენება მკითხველისთვის იმისთვის დასჭირდა, რომ ყველამ თავისი დასკვნები გააკეთოს და, ამავე დროს, ახლა მაინც გაიაზროს იმ პროცესების „სიკეთეები“, რომლითაც მოცული იყო 90-იანი და შემდგომი წლების საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ყოფა... ეს ტენდენციები ხომ დღესაც გრძელდება?!.

საკმარისია წაიკითხოთ ბ.ქურხულის მოთხრობა „კახური დღე მარსელში“ (სხვა მოთხრობები წაკითხული რომც არ გქონდეს...), რომ მიხვდე მის

პოზიციას, პატრიოტიზმს, მის ძალიან მგრძნობიარე დამოკიდებულებას საკუთარი სამშობლოსადმი, იმ ტრაგიკული ადამიანებისა და მოვლენებისადმი, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ იმდროინდელი, XX საუკუნის 20-იან წლებში, პოლიტიკური ვითარების მსხვერპლნი გახდნენ. „... — ჩვენ გაგვიმარჯოს — თქვა ქაქუცამ — ჩვენ უპატრონოდ დაგდებულ ქვეყანას, იმის ცასა და მიწას,იმის მზესა და მთვარეს,იმის წყალ-ჭალის ხმებს, ჩვენს წინაპრებსა და შთამომავლებს გაუმარჯოს. საქართველო უკვდავია, ბევრი ეგეთი და უარესი ჭირისთვის გაუძლია და კიდევაც გაუძლებს. ჩვენ რა გვეშლება ჩვენ უბედურებს, ეგრე მიწიდან ამოგლეჯილი ბალახებივით რო დავრჩით... უფლის ნება ეგეთი ყოფილა, დაილოცა იმისი სახელი — ქაქუცამ დალია. ცოტა ხანში იტალიური რესტორანი „ჩაკრულომ“ გააყრუა. იტალიელები შუბლშეჭმუხვნილნი უყურებენ ჩამოძენძილ და ხმაურიან სტუმრებს. ნეაპოლიური სიმღერები აღარ ისმოდა. განსაკუთრებით ალექსანდრე სულხანიშვილი ახშობდა. ცრემლებს აღარცა მალავდა და მთელი ხმით ღრიალებდა: „მტერო დამჩაგრე არ ვტირი, ტირილი დიაცთ წესია, ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესია“... „ჩაკრულოს“ „ბერი კაცი ვარ ნუ მომკლავ“ და „ზამთარი“ მოჰყვება. მერე მთლად აიშვეს და „ბიჭმა გოგო გადიტყუა“ და „ცანგალა და გოგონა“ მოაყოლეს“..

მწერალი მუდმივად სოციალურად დაუცველი ადამიანების გვერდითაა, მათი ტკივილითა და სიხარულით ცხოვრობს; მათი განცდები, ცხოვრებისეული გაჭირვებები მისთვის ძალზე მახლობელია, მკითხველისთვის გადამდები და გულის ამაჩუყებელი... ამის დასტურად ვრცელი მოთხრობა „ბებო“ იკმარებს, თუმცა არც „ცარიელი საფერფლე“ და სხვა მოთხრობები განიცდიან ამის სიმცირეს.

„... — პატრონი არა გყავს, ბიჭო? — ჰკითხა და უცებ მიხვდა, როგორ ელოდა მისი ხმის გაგონებას, — როგორ არა გვყავს, მაგრამ გვითხრეს, წამლები და საჭმელები გაგვითავდაო და გამოგვიშვეს. ჩვეულებრივი სევდიანი ხმა ჰქონდა. სევდიანი და ამავე დროს უჩვეულოდ მშვიდი. რბილად მოეფინა მისი ხმა ხის ტოტებში გაჩრილ ღამის სიბნელეს... მერე წლების მერე მიხვდნენ, რომ ასეთ დროს თუ გადარჩი, ძალიან სასაცილო ხარ, თუ ვერა და უარესი — მკვდარი. მიხვდნენ, მაგრამ როგორც ყოველთვის, ძალიან გვიან... მანამდე კი ბრუნდებოდნენ და /ნაძარცვი/ კურტკის ნაცვლად ნაპოვნი გიჟი მოჰყავდათ თან... ამირანი მშვიდად მოაბიჯებდა... დიდი ხელები და ალალი, სუფთა თვალები ჰქონდა. კიდევ უფრო თენდებოდა. როგორც ყოველთვის, დილაბნელზე, იღვიძებდა ბებერი მკვლელი — თბილისი... /— გააგიჟებდნენ, — თქვა მოულოდნელად ამირანმა. /— ვის? /— ღმერთს. ჯვარზე, რომ არ გაეკრათ, გააგიჟებდნენ. ხალხი გააგიჟებდა. /— ე,რეებს ამბობ,ტო... ისე, მართლა, წარმოიდგინე ოცდათოთხმეტი წლის იესო... ერთი წელი ცოტა კი არ არი... /№ -მა პირჯვარი გადაიწერა; — ჩუუ ბიჭო, სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, — თქვა და ჯიუტად გადააქნია თავი,— არ შეიძლება დაღლა, არც გაგიჟება. წაქცევა არ შეიძლება. უნდა ადგე. ადგე და იარო”../

ამას გასაძარცვად „ხელში ჩაგდებული“ გიჟი ამირანი ეუბნებათ „მძარცველებს“; დილით კი — „დილის მზეს უცნაური კმაყოფილება მოჰყვა. ყველაფერი დამთავრდა, ყველა ხიფათი უკან დარჩა. — დაჩირჩლული ჟაკეტი გახადეს... ამირანი ვერ იტანდა სიგარეტის ბოლს. დაიძინეს... შუადღე წუხანდელი ყინვით დამზრალ ფანჯრებს ალღობდა. ტანსაცმლიანები მიყრილიყვნენ ლოგინზე და ჩახოცილებივით ეძინათ. სახლი სიგარეტის სუნით იყო გაბუღული. ოთახში აშლილ მტვერს და ბოლს მზის შუქი ზოლ-ზოლ ჭრიდა. ამირანი წასულიყო. ხელი არაფრისთვის ეხლო. მარტო საფერფლე იყო ცარიელი... „ — გიჟი ამირანი გაცილებით სუფთა, წესიერი, „ჭკვიანი“ ადამიანია, ვიდრე ბიჭები... თუმცა, ეს ცუდი ბიჭები ბოლოს და ბოლოს, მაინც კარგები არიან,რადგან ამირანს არაფერი დაუზიანეს, შეეცოდათ — თან წაიყვანეს, ის ღამეც ერთად გადააგორეს... კი, ბევრი ადგა (ამირანის მსგავსად) და დაღლისა და გაგიჟების მიუხედავად გზა გააგრძელა. ბევრმა ვერ შეძლო, ამის ძალები აღარ ეყო...

მოთხრობა „ბებო“ ესაა რეალისტური, ცრემლებამდე სევდიანი, დარდიანი და მაინც, ქართული სულით გამთბარი ნაწარმოები, რომელიც სავსეა ჩვენი ოცწლიანი, ყოველდღიური ყოფის ამსახველი ფრაგმენტებით... თემატურად მათ ასე დავყოფდი: ბებოს ოთახი; ძილი და სიზმრები; შუქის ინკასატორი; გაფუჭებული ტელევიზორი; გიჟი ბასკიტა; კასეტაჩახვეული მაგნიტოფონი; გაჩენილი ხანძარი; ვაგზლის მოედნის პერიპეტიები; ლტოლვილი მეგრელი ქალები; პოლიციელები და მოვაჭრეები; ციგნის ბავშვები. დასასრული.

ბატონი თამაზ ჭილაძე წერდა: „რთულია მწერლობა. ღმერთმა არც ერთი ადამიანი არ დაამსგავსა ერთმანეთს, თითოეულს დააყოლა რაღაც ისეთი,რაც მხოლოდ მას აქვს... აი, ამის აღმოჩენაა მწერლობა“. დიახ,ბექა ქურხული „ცდილობს“ ჩვენთვის უკვე ისედაც აღმოჩენილი „ბებიების“ ხელმეორედ – მისებურად, მწერლური თვალითა და ალღოთი „აღმოჩენას“; მას ეს ზედმიწევნით კარგად გამოუვიდა...

„ბებო მიდიოდა... მიდიოდა ინერციით... ნელა, ფრთხილად, გამოზომილი ნაბიჯით, ოღროჩოღრო ასფალტმოგლეჯილ ტროტუარზე, ფეხი ერეოდა, ბარბაცებდა და უმწეოდ ცდილობდა წონასწორობის შენარჩუნებას. ხელს არავინ აშველებდა... რამდენჯერმე წაიქცა. გადარჩა, არაფერი მოუტეხავს. ერთი ხერხი იცოდა,როგორც კი ატყობდა, რომ წონასწორობას კარგავდა, თვითონვე ჯდებოდა. ეს ილეთი ჯერჯერობით შველოდა... საცობში მოყოლილი,ნერვებდაწყვეტილი მძღოლები, ყოველთვის გინებით და სიგნალით ხვდებოდნენ მათ კაპოტთან უცებ აღმოჩენილ, შალის ნაგლეჯებში გამოხვეულ დედაბერს, რომელიც დაჰინოზებულივით თუ მთვარეულივით მიბორიალობდა გუბეებსა და მანქანებს შორის... გადააღწია ქუჩის მეორე მხარეს. როგორც იქნა, მიაღწია „თავის ადგილამდე“ – როგორც აღთქმულ ქვეყნამდე, მაგრამ ისე იყო არაქათგამოლეული, რომ აღარაფერი უნდოდა, როგორც იქნა, დაჯდა, ჩაიმუხლა, დაიდო წინ, თავისი ლურჯ-წითელი თუნუქის ყუთი და ჯოხზე ჩამოდებულ საკუთარ ხელს მიაყრდნო შალის ქუდიანი თავი. მთელი სხეული უკანკალებდა. ძალიან დაიღალა... ამასობაში ჩასთვლიმა და პირველი წკარუნიც გაისმა,ოცთეთრიანი იყო. მრგვალი, მელოტი კაცი, ჭაღარა ხუჭუჭა თმა კეფაზე ჰქონდა შერჩენილი. უკვე გასცდა, ზურგიდან ჩანდა. ჩვევად ჰქონდა, ვინც გაიკითხავდა, აუცილებლად თვალს აყოლებდა... ისევ ჩასთვლიმა. შიგადაშიგ წკარუნი ისმოდა. შიმშილი დაავიწყდა. მერე გვერდით მჯდომმა მუხრანელმა დარომ შავი პური, ქარხნის ყველი და შუაში გაჭრილი, გაფცქვნილი კიტრი მიაწოდა. ცოტა შენაყრდა. შიგადაშიგ ფულს უყრიდნენ. პურის საყიდელი ფული უკვე ჰქონდა.. თუ ასე გაგრძელდებოდა – მაკარონის, შაქრის, გრეჩიხის და ცოტაოდენი ტკბილეულის ფულიც შეუგროვდებოდა... ზამთრის მოქუფრული, ცივი დღე იყო. მალე დაბნელდებოდა. ბებოს მანამდე უნდა მიეღწია თავის ოთახამდე, თორემ ღამე თუ მოუსწრებდა, დაიღუპებოდა. ღამე კი არა, დაბინდდებოდა თუ არა, ვეღარაფერს ხედავდა. ცოტა ხანში უნდა ამდგარიყო და სახლისკენ დაძრულიყო. რაც უფრო ახლოვდებოდა ეს დრო, მით უფრო უდუნდებოდა მუხლები. სიბნელის დადგომასთან ერთად საფრთხეც მატულობდა. სულ უფრო და უფრო მატულობდნენ მთვრალები და მგლის ლეკვებივით დაუნდობელი, ცივი, სახიფათოდ ცარიელთვალებიანი ქუჩის ბავშვები. ციგნები...“

მწერალს იმედი აქვს, რომ იმ მკითხველში, რომლისთვისაც სულერთი გამხდარა ასეთი ადამიანების არსებობა, სათანადო რეაქციას გამოიწვევს; არადა, ჩვენდა სამარცხვინოდ, მათი რაოდენობა ჯერჯერობით არ შემცირებულა... და, საერთოდ, ისიც საკითხავია, კითხულობენ კი ისინი, ვინც სათავე დაუდეს ასეთი „ბებიების“, ქართველი მათხოვრების... მომრავლებას, ამგვარი ყაიდის მხატვრულ ლიტერატურას?!.

ქალის, სიყვარულის თემა თითქოსდა ჩრდილშია,მაგრამ საკმარისია „აღმოაჩინო“, რომ მაშინვე ავტორის გამოთქმულ მოსაზრებებს დაეთანხმო, გაიზიარო მისი მართალ-ხალისიანი დამოკიდებულება... „ლერა Масква „ვალს ბასტონს“ მღეროდა. ისეთი ქალი იყო, უცებ რომ უყვარდები, ძალიან იოლები რომ არიან და ძალიან ჭკვიანები. იოლადვე გიშვებენ, იმიტომ, რომ ჭკვიანები არიან... სამზარეულოდან ისევ ისმის წყლის ხმა. მიდი, იქნებ როგორმე ჩაკეტო. მერე მაღაზიაში ჩადი და ჩემი სახელით ერთი „ქემელი“ გამოართვი. გამოგატანენ. ოღონდ, ლურჯი არ ამოიტანო, ყვითელი გამოართვი. ნამდვილი. რომ ამობრუნდები, მაგნიტოფონი ჩართე, ერთად მოვუსმინოთ როზენბაუმს. ნამდვილს. ოღონდ მე ის უფრო მევასება: „ზახაძიწე, კნამ ნა აგანიოკ...“ ჩემი არეული ბავშვობის დროინდელი სიმღერაა. ძაან ნამდვილი. და, როცა ეს ყველაფერი მოგბეზრდება, როცა მოგბეზრდება წყლის გაფუჭებული ონკანის ჯაჯგური, ჩემი მრავალმნიშვნელოვნად მოწყენილი სიფათის ყურება და „წადი!“ „მოდი!“ „წაიღე!“ „მოიტანე“-ს მოსმენა, შეგიძლია ერთი კარგად, გულიანად დამაპალაშო და საიდანაც მოხვედი, იქ წახვიდე. როგორც მოხვედი,ისე – „ჩერეზ“ ტელევიზორი! დაბრუნდი შენს მოსკოვში. მიმატოვე. შენ მაინც ხო ხარ იოლი. იოლი და ჭკვიანი... ჰა, დროზე, თორემ მორჩება მაგ თქვენს RTVI-ზე ეგ თქვენი „Жизнь прекрасна“, დარჩები აქა და გარბენინებ ნისიაზე... წავიდა,წავიდა ლერა Масква“...

ამ მოკლე ციტატაში კარგად ჩანს მამაკაცის ბუნება /იმედია, არ მიწყენენ!/, მისთვის „ჭკვიანი, იოლი ქალის“ მისამართით გამოთქმული, კეთილი სურვილებით სავსე მართალი „მონოლოგი“... ლერა Масква მაინც მიდის, რადგან ასე სჯობს მისთვის, „საქმისთვის“... კითხვა გვრჩება: – ნუთუ, მართლა ჯობს იოლი და თან ჭკვიანი ქალი, რომელიც იოლად გიშვებს, ადვილად გთმობს?!. ვფიქრობ, უკვე ჩვენშიც მომრავლდნენ იოლი, ჭკვიანი, მდედრები... საკითხავია, რა სიკეთე მოიტანა ამან, ასეთმა გაიოლებულმა ურთიერთობებმა?!..

კიდევ ერთი ციტატა ამავე მოთხრობიდან: „...ახლა სარდაფი: ხომ გითხარი, კიბის ქვეშ არის ამოშენებული. მაგარი სარდაფია, საინტერესო, სხვა სარდაფებს არ ჰგავს. ყოველ შესვლა-გამოსვლაზე მახსენდება ნიკო ფიროსმანი, სიცოცხლის ბოლოს კიბის ქვეშ ცხოვრობდა და იქვე მოკვდა. საქართველოში მაგარი ხალხი ხშირად კვდება კიბის ქვეშ, კიბეზე და ქუჩაში...“ – ეს არ არის ცინიზმით ნათქვამი, ეს მწარე რეალობაა, მწერლის ტკივილი, შეხსენება-ხაზგასმა იმისა, რომ არ შეიძლება ადამიანები ქუჩებში, კიბეებზე... იხოცებოდნენ, ხშირად გაუგებარი მიზეზებით...

აბსოლუტურად ვეთანხმები ავტორს, როდესაც იგი მოთხრობაში „ცარიელი საფერფლე“, აკრიტიკებს, დასცინის მათ, ვისაც ჯეიმ ჯოისის „ულისე“ არ წაუკითხავს და მაინც ირწმუნება, რომ წაკითხული აქვს, თვლის რომ მწვერვალია და ა.შ. კარგად აქვს გამათრახებული ქართული კუდაბზიკობა... „ – გეუბნებოდი არა, ტო... / №-მა უკმაყოფილოდ ამოხედა. / – რა გინდა? / – რა და, რამდენჯერ გითხარი – შეეშვი-მეთქი... /№-მა სიბრაზისგან მოგუდული ხმით ჰკითხა: – რა გინდა? – თან გაბოროტებული იყურებოდა წინ. / – გეუბნებოდი, შეეშვი-მეთქი. არა, სიმონ, ვერ გაგაგებინე. მაგას რა უნდა დაეწერა, ბიჭო, ბრმა იყო, ორ ნაბიჯზე ვერ ხედავდა, ქალები არ ევასებოდა და არ უნდოდა, რომ სამშობლოს შესწირვოდა, თვითონ შემეწიროს სამშობლოო, ამბობდა. რისი დამწერი იყო? მაგის გაგიჟებული ხარ, ბაზარი არ არი... / – „ულისე“ ყველაზე მაგარი წიგნია! / – წადი თქვენი! ის ხო შულერი იყო და აბა თქვენა ხართ სიაფანდები; ვითომ გაიგეთ, ვითომ აზრზე ხართ. „წვინტლისფერი ზღვა“, არა?/ – მაგ, „წვინტლისფერი ზღვის“ მერე აღარ წაგიკითხავს და რა გახიპიშებს?/ – გიჟი ვარ? „წვინტლისფერი ზღვის“ მერე რაღას წავიკითხავდი? სუ კარგად იყოს, ტო... / – იქნებ ირლანდიელებს ეგეთი ზღვა აქვთ, ტო,იცი? ნანახი გაქ? რა გინდა?.. / – ზღვა ყველგან ზღვისფერია. შეიძლება ცოტა ფსკერისფერი, ზეცისფერი, ჩაძირული, „პარახოდებისა“ და დამხრჩვალი მეზღვაურების ფერი შეერიოს. / – და პორტებში ატირებული იმ მეზღვაურების ბოზების ფერი. / – მაგარი! ბედი რა, სიმონ, თორე ეგ გენიოსი უნდა იყოს და ჩენ პურის დანებით დავრბოდეთ?..“ მართლაც, რომ მიუღებელია პატარა ქვეყნის მწერლის სურვილი – სამშობლო შეეწიროს მას და არა პირიქით...

ბექა ქურხულის სათქმელის მოსატანად წერის საკუთარი სტილი აქვს მომარჯვებული, რომელშიც ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში; მის პერსონაჟებს უხდებათ მეტყველებაში ქალაქურ-კახური ტონალობა, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრისთვის მიუღებელი ჟარგონი და ბილწსიტყვაობაც, რადგან ხალხის წიაღიდან გამოსულებს ნამდვილად არ მოუხდებოდათ ლამაზად, კულტურულად... საუბარი; მათი ხასიათების, მიდრეკილებების წარმოჩენა დაკარგავდა ნატურალიზმსა და „მახლობლის“, „ნაცნობის“, „ნათესავის“, „მეზობლის“... შეგრძნებას... მის ნაწერებს მეტ ხიბლს მატებს მხატვრული შედარებები; მოვიტან რამდენიმე მაგალითს: 1) „ერთი ფანჯრიდან ყოველთვის მოკრიალებული ლურჯი ცა და კაშკაშა მზე ჩანს, ღამით კი ვარსკვლავებით არის მოჭედილი და ზედ დიდი ყვითელი დაჩვრეტილი მთვარე ადევს. მეორე ფანჯარაში ნაცრისფერი, დაბლა დაწეული ცა მოჩანს, რომელიც ბუტბუტით აწვება სახლის კედლებს და ფანჯრის კუთხეში გაბზარულ შუშას. ღამით კი არაფერი ჩანს, მრუმე სიბნელის გარდა. სადმე კუთხეში მომწყვდეულივით, თუ გამოკრთის ღრუბლებგადაფარებული მთვარის ათინათი“. 2) „ცაში გამყინავად ყიოდნენ პორტის მაზუთში ამოზუნზლული თოლიები და ნისკარტს ხმელთაშუა ზღვას უმიზნებდნენ“. 3) „ვათოშილ ცაზე ერთი ვარსკვლავი ეკიდა. მთვარე მათ ზურგს უკან იყო გადაწეული და ცდილობდა რამე დაენახა“. 4) „გარეთ ღამე ქალაქს ცხრილავდა... გარეთ ახლა ქალაქი ცხრილავდა ღამეს“. 5) „მომლოდინე სიჩუმეში რაციამ ყელგამოჭრილი კაცივით ამოიხრიალა“... 6) „ბებუთის პირმა თეთრად, დამცინავად გაიკრიალა“. 7) „მძიმე ღამე გაჭირვებით, ტანჯვით თენდებოდა, ძალით იფხიზლებდა თავს“. 8) „დიდი თვალები და გრძელი ცხვირი

ვარსკვლავთმრიცხველივით მომლოდინედ მიეშვირა ცისკენ“!.. და სხვა.

ყველა მწერლის შემოქმედებაში მკითხველი ავტორის პიროვნებას „ეძებს“, ცოტათი მაინც მასთან მიახლოებულ პერსონაჟს; ავტორი კი ან შეგნებულად „ინიღბება“,ანდა მინიმალურად,გაბნეულად გასცემს „ინფორმაციას“. ასე მგონია (შეიძლება ვცდები კიდეც, როდესაც ასეთი დაბეჯითებით ვცდილობ ამის დასაბუთებას...), ბექა ქურხული პირიქით იქცევა; ყოველგვარი შეფუთვის გარეშე, ლანგრით გვაწვდის პიროვნულ თვისებებს, ხასიათის ნიუანსებს, გარკვეულ ეპიზოდებს საკუთარი ცხოვრებიდან, ხშირად დოკუმენტურადაც... ვფიქრობ, მისი ნაწერების ერთ-ერთი ღირსება ესეც გახლავთ; ყოველივე ერთადერთს ემსახურება, დაიჯერო „შეულამაზებელი“ მონათხრობი, მისი ასაკის გახდე და ცოტა ხნით მაინც მისი ცხოვრებით იცხოვრო თბილისსა თუ დედაქალაქის გარეთ...

მსურს ჩემი ნათქვამი ორი მოთხრობიდან მოხმობილი ციტატებით გავამყარო: – „ეგნატე ნინოშვილის სახელობის ბიბლიოთეკა ბავშვობაში, 1986 წლის ზაფხულში აღმოვაჩინე... მახსოვს ძველებური გიშრის ბეჭედი, ცხვირზე ჩამოწეული სათვალე, შეკავებული ღიმილი, ყავის ჭიქები, ლამბაქზე პრიანიკები და ნუშის ნამცხვარი... კითხვა მაგრად მიყვარდა. კითხვა და თაროებს შორის ბორიალი, წიგნების ქექვა და იქაური სუნი. ნესტის, წიგნის ფურცლების, მოხალული ყავის და რაღაც უსახელო, განუმეორებელი სუნი. თან ყოველ წიგნს საკუთარი, თავის განუმეორებელი სუნი ასდიოდა. მაგალითად,ზუსტად მახსოვს,რომ „ნაკადულის“ გამოცემულ „ჩიპოლინოს თავგადასავალს“ ცხადად ასდიოდა ხახვის მძაფრი სუნი. ოღონდ მაღაზიაში ან ბაზარში დახლზე ნაგდები ხახვის კი არა, ზაფხულში, მზისგან გამომშრალი, გაყავისფრებული,აყალო მიწიდან ამოსული ხახვის მწვანე ფოჩის სუნი, თავზე თეთრი გვირგვინისმაგვარი ყვავილით. კიდევ უფრო მიყვარდა ავი, სათვალიანი და ჯერ კიდევ ლამაზი ბიბლიოთეკარი დეიდების შებმა და მათთან გაშინაურება... და აი, ახლა ამდენი წლის შემდეგ, მოვდიოდი საღ-სალამათი... მივედი და დავდექი. პირდაპირ აღარ შემიღია კარი... ისევ ის ვერცხლის გიშრისთვლებიანი ბეჭდები, ცხვირზე ჩამოწეული ძეწკვიანი სათვალე, ყავის და ჩაის ჭიქები... არ იყო მხოლოდ გაკვირვებული თვალები და შეკავებული ღიმილი, თაროებს შორის საბოდიალოდაც აღარ შემიშვეს, კატალოგში მოძებნეთო... თითქოს პატარა კნუტი გულის წვერზე კბილებით ჩამბღაუჭებოდა და ეგრე ეკიდა. კუდსაც კი ვგრძნობდი „აქეთ-იქით რო იქნევდა.“ /„შეხვედრა მას შემდეგ“/.

„...ბაზრის მხრიდან მხარზე ჩანთა გადაკიდებული მაღალი ბიჭი გამოჩნდა. ეს ბიჭი რამდენიმე დღეში ერთხელ ჩნდებოდა, ყოველთვის ესე ჩანთააკიდებული მოდიოდა. ხან თავჩაღუნული და ჩაფიქრებული მოდიოდა, გრძელი ნაბიჯით, ხან პირიქით, თავაწეული და მხრებში გაშლილი... ცალყბა ღიმილი დასთამაშებდა სახეზე და თვალებშიც რაღაც უცნაური, ველური და ხალისიანი ცეცხლი უელავდა. ბებოს რამდენჯერმე მოხვდა თვალში და დაიმახსოვრა. ცნობდა უკვე. სხვებისგან არჩევდა. გაუცნობიერებლად, თავის გიჟ მეზობელ ბასკიტასაც ამგვანებდა. მოდიოდა დაღლილი სახით, სწრაფი, მსუბუქი გაშლილი ნაბიჯით, ბებოს ყოველთვის გასცდებოდა ხოლმე. მერე ჩერდებოდა, თითქოს რაღაცა გაახსენდა და ყოყმანობსო. მერე ცალი ხელით, მეორეზე ჩანთა ჰქონდა მხარზე გადაკიდებული, ჯიბეების ჩხრეკას მოჰყვებოდა, ბებოსთან ბრუნდებოდა, ერთ ან ორ ლარიანს აძლევდა, ოღონდ თუნუქის ყუთში კი არა, პირდაპირ ხელში აწვდიდა და რატომღაც იქით ეუბნებოდა მადლობას... ყოველთვის ასე ხდებოდა. ახლაც იგივე განმეორდა. ეწეოდა, იდგა, ერთი ხელით ჯიბეს იჩხრიკავდა და სიგარეტის ბოლს ცალ თვალს უხუჭავდა... მივიდა, ამ ჯერზე ორმოცდაათეთრიანი მიაწოდა – „მადლობთ“ – თქვა პირში სიგარეტგაჩრილმა და წავიდა, გზა გააგრძელა... “/„ბებო“/.

ერნესტ ჰემინგუეი წერდა: „მწერლის ამოცანა უცვლელია. თვითონ იცვლება. ამოცანა უცვლელი რჩება. ეს ამოცანა კი ყოველთვის იმაში მდგომარეობს, წერო სიმართლით და შენი აღმოჩენილი სიმართლე ისე გამოხატო, რომ მკითხველმა საკუთარი გამოცდილების ნაწილად მიიღოს“... – არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ცნობილი მწერლის ეს სიტყვები და თავად წერილში მტკიცედ ჩამოყალიბებული არგუმენტები, ძალიან ჰგავს ბექა ქურხულის შემოქმედებას, მის მიერ არჩეულ გზას... ალბათ, ამიტომ იყო, რომ სრულიად ახალგაზრდამ სათარგმნელად, სწორედ, ეს სტატია აირჩია...

პოეზია

თამაზ ჩადუნელი

ლამის დრომაც ამოიდგას ენა

ლამის დრომაც ამოიდგას ენა,
ნაწამებმა სიტყვითა და სისხლით,
ბოროტება, როგორც ფოთოლცვენა,
აშიშვლებს და ხალხს მიხვეტავს მიჯრით.

ლამაზ ფერებს გადაფარავს თოვლი,
მიწას აქცევს მოსახატავ ტილოდ –
დრო მოვიდა კვლავ გიჟური ლტოლვის:
სიყვარულო, სად ხარ ჩემო წილო?!

სიცივეა, სიცივეა სრული,
დროს არ შერჩა სიბრალული კაცის...
ხარ ყინწვისის კედელს მიხატული,
მაგრამ ბედი ლოცვას აღარ მაცდის.

დრო წავიდა უსარგებლო ბოდვის
და უვადოდ დასამარდა ლხენა,
აუხდენელ სიყვარულის ცოდვით
ლამის დრომაც ამოიდგას ენა.

* * *

ნარნარ ხათუნებს
წამოახტუნებს
ტკბილი სიზმარი
ტრფობით ნადაგი...
სიმებს ოსტატმა
ჰანგი მოსტაცა,
ხმა გადმოღვარა
როგორც ბადაგი.
ჰანგი აბორგდა
და მომაგონდა –
თუ ვიყავ ნაზი,
ვიყავ ხვადაგიც...
ზოგი მათრობდა,
ზოგი მართობდა,
ზოგსაც არ ჰქონდა
ფასი ფარდაგის.
ახლა აღარ ღირს,
ალბათ აღარ ღირს,
ფიქრი წარსულზე
და ძებნა ნაკლის...
სიმებს ოსტატმა
ჰანგი მოსტაცა,
ჰანგი გაფრენის...
ჰანგი ნანატრი.

ეს გაზაფხული

კიდევ ერთხელ,
კიდევ ერთხელ გაზაფხულდა,
გაზაფხულსაც დაეკარგა სითბო...
სილამაზით ტკბობის ნიჭიც
გაწარსულდა,
ამწვანება გარეთ აღარ მიხმობს.
შრიალებენ ყელში წვიმამოწოლილი
ხეები და გადარჩენა უკვირთ.
იქნებ ხეებს შერჩათ ნიჭი მოლოდინის?
ცოცხლობენ და არაფერი უჭირთ.
იქნებ ხეებს ისევ უყვართ, იმედი აქვთ
მომავალში სიყვარულით თრობის,
ცოცხლად ყოფნა იქნებ თავად იმედია,
ვიდრე ყელზე არ წაგიბამს თოკი.
მზე ანათებს და ჩიტები ფრთხიალებენ,
ხის ტოტებზე იზმორება დილა.
მოდი, ერთ დღეს ყველას თავი მიანებე!
მარტოსულად ყოფნა შეგხვდა წილად.
გაზაფხული შენთვის აღარ
გაზაფხულობს,
სიცოცხლეა უმძიმესი ტვირთი.
ამ თბილ დილას
მე არაფერს არ ვნატრულობ,
ცას შეახმა ოცნებების კვირტი.
...და მე მიკვირს –
არაფერი რომ არ მიკვირს!
რომ გაზაფხულს ადევს კვდომის ფერი,
რომ მზე მოჰგავს სათამაშოს,
ცაზე მიკრულს,
რომ ჩემს შიგნით არაფერი მღერის!

ემზარ ხვიტალიშვილი

ძველი რვეულიდან

(დღიური)

01.05.2000. ვიცი, მთელი ცხოვრება გამყვება, არ მომასვენებს მოუნელებელი ტკივილი გივი გეგეჭკორის საშინელი სიკვდილის გამო. ყველაფერი ჩამწარდა. რამდენი რამე დარჩა მოსასწრები, წასაკითხი. ერთი წიგნი, მე რომ მივუტანე (შატობრიანის „საფლავისმიღმა ჩანაწერები“) ახლაც გადაშლილია მის მაგიდაზე, შუამდე მისულა. დაგტანჯავდა პალატაში მისი ყურება. ლუკმას ვერ ირგებდა. ყლუპ წყალს ვერ სვამდა. ოცდაერთი დღე წვეთოვანზე ჰყავდათ. ეს იყო ხელოვნურად გახანგრძლივებული აგონია. წვალებას აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა. წელმოწყვეტილი შევდიოდი მასთან. ცოლი, ლია, სულ თავზე ადგა. ერთადერთი და, ნორაც, როცა შეძლებდა, მასთან იყო. დედამისს, ქალბატონ ელიკოს, ვისთვისაც გივი არაფერს იშურებდა,სული კი ედგა, მაგრამ ასეთ სიცოცხლეს რაღა აზრი ექნებოდა.

იწვა გივი და ნელა ტოკავდა. „ძალიან ცუდად ვარ!“ – ყველაზე ხშირად ამას იმეორებდა. ის ერთი თირკმელი როგორღაც სამ წელიწადს რომ გაძლო, კიბომ გამოხრა, გაუჩერდა. აზოტი უკიდურესად იყო აწეული (ათასი). გადასხმების შემდეგ თითქოს დაიკლო – შვიდას ოთხმოცზე ჩამოვიდა, მაგრამ ექიმებს (მათ შორის, სკოლის მეგობარს ბორის ჩხოტუას) აღარაფრის იმედი აღარ ჰქონდათ. სუნთქვაგაძნელებულს, პირღიას, ჰაერი აღარ ჩადიოდა ფილტვებში. შვება არსაით არ იყო. ჩანდა, სიმსივნე მოედო მთელ სხულს. მუცელი შეებერა, თვალები უცნაურად გაუფართოვდა. საამქვეყნოს რომ არ ჰგავდა, ყველა ატყობდა. ყველაფერზე უარს იტყოდა, ოღონდ ამ მდგომარეობისთვის დაეღწია თავი. უეჭველი იყო, ერთადერთი ხსნა სიკვდილი გახდა და კიდევაც დაუსხლტა ჯოჯოხეთურ სატანჯველს. უკანასკნელ მისვლაზე თავი ჩემკენ გადმოაბრუნა და მთხოვა, რამე მირჩიეო. გამხნევება ვცადე, წავილუღლუღე, რომ ასეთ ყოფაში სხვა

ქცირე პროზა

დროსაც ყოფილა და გადარჩენილა...

გივი გეგეჭკორზე, ვინც ჩემთვის უახლოესი და განუზომლად ძვირფასი იყო, კიდევ ბევრჯერ მომიწევს დაწერა. ძალიან დამაკლდება იგი.

08.07.2000. ყველაფერს სხვანაირად ვხვდები. არ ვიცი, რაა ამისი მიზეზი, როგორ ხდება. მეტროს ვაგონში მჯდომს (უმთავრესად, საბურთალოს შედარებით მოკლე, გადასასვლელ ხაზზე), ბორბლების რიტმული დაგა-დუგი, ღია ფანჯრიდან შემოჭრილი უსიამო, მშრალი ხრაჭუნი და ხრჭიალი ბეჭების თავზე მოწნულ, ზურგზე განტოტილ ნერვების ტალღოვან ბადეში მაცოცხლებელ ძალად მეღვრება ღონეგამოლეულს, მოქანცულს და სამომავლოდ თითქოსდა მხნეობას მმატებს,როგორღაც გავხალისდები ხოლმე. შეიძლება ეს უძილობისგან აფორიაქებულ ტვინში გაჩენილი ილუზიაც იყოს, მაგრამ ასეთი შეგრძნება რომ მეუფლება,სრულიად აშკარაა.

ლექსი დაწერის საბაბად ქცეულ ცალკეული სტრიქონების, სხვადასხვა ჩანაფიქრთა ბიძგი გზაში, მოძრაობის დროს რომ მომდის, ბევრჯერ მაქვს გამონაცადი. ხშირად დავრწმუნებულვარ – რაღაც გარედან მობჯენილი ძალის ხელში იარაღად გამოვიყურები, ხელად აღვეგზნები ხოლმე და მერე სათქმელი გზას იკვალავს. ასევე არაერთგზის დამმართნია – უმრავლესობა იმისა, ჩემს ხელს ქაღალდზე რომ აღუბეჭდავს, ხანი როცა გადის, მავიწყდება, აღარ მახსოვს; ბუნებრივად ვეთიშები თუ ვემიჯნები ადრე დაწერილს. ეს დიდად არ მაწუხებს, პირიქით, ახალ მიჯნათა გადასალახად განმაწყობს.

მეტრო ვახსენე და სურვილი მიჩნდება ვთქვა – იქ, სადაც სადგურების ჭერსა და კედლებს (უფრო განაპირა ადგილებში მიგრძვნია) წყალმა, სინესტემ რომ არ გამოჟონოს, აგრეთვე, ძირს დაგებულ ცემენტის შპალებსაც, გამდნარი მაზუთით, შავი ფისით პოხავენ და ჰაერში დგება დამბანგავი სურნელი, რისი შეყნოსვაც დიდად მსიამოვნებს. მაზუთის,ბიტუმის განზავებული და მაინც მძაფრი ანაორთქლი ჩემს გადაქანებულ წარმოსახვაში რატომღაც მარადიულობას უკავშირდება და ასე მგონია – თუ მიწისქვეშა ტალანებში დაგუბებული ეს ჰაერი შევისუნთქე,აღარასოდეს მოვკვდები. მეეჭვება ამნაირი განცდა სხვა ვინმესაც ექნეს. თანაც აქ სახარბიელო არაფერია, მხოლოდ მე მიზიდავს და მაბრუებს.

28.07.2000. ერთი ინგლისური რომანის კითხვისას დამეუფლა მოულოდნელი შიში თუ უცნაური შეგრძნება (ღვთის წყალობით, მალე გონს მოვეგე და ყველაფერი დალაგდა), რომ ამაოდ მივკვალავდი ფურცლებს და რაც არ უნდა ჩავკვირვებოდი წაკითხულის აზრს, ვერაფერს გავიგებდი. მომეჩვენა, ტვინი თანდათან უნდა მქცეოდა ჯერ გამლღვალ და მერე გაგრილებულ, გამაგრილებულ კალად. ერთადერთი, რაც ცნობისწადილს აღმიძრავდა, ის იყო, რომ ამ შემაშფოთებელი მეტამორფოზის დროს ჩემი ათასი უბედურების გადამტანი ტვინი თვალისმომჭრელ ბრჭყვიალს დაიწყებდა და გადახურებული თავის ქალიდან (ხვრელებს თავადვე იპოვიდა) გარეთ გადაინაცვლებდა. უვნებლად ჩაბუდებულ ბადურებზე იგი ასე ირეკლებოდა – გაბრტყელებული ჩანდა, თითქოს ვეება შავ ტაფაზე გაადნეს და ალაგ-ალაგ კიდებწაწვეტებული ბლინის ფორმა მისცესო. ისიც გავიფიქრე (ნეტავი რითი?), ჩემს ტვინს აწევისას,თუ ამას შევძლებდი, ტყვიის სიმძიმე ექნებოდა, თუმცა ასეთი გაბედული ცდის დროს მე უკვე გამოთიშული, ყურებდაცობილი უნდა ვყოფილიყავი და ჩემი სახელიც კი არ მეხსომებოდა, არათუ პერსონაჟებჩახლართული რომანის ნაკლებად შთამბეჭდავი ეპიზოდები. არც ისე იშვიათად მეცხადება უცნაური და თანაც სახილველად იოლი ჩვენებები, მაგრამ თავს ვიჭერ, ვერიდები, ზედმეტად რომ არ გადავიძაბო.

ამაზე უფრო ის მაწუხებს ბევრი რამე, მათ შორის შედევრები, ადრე რომ წამიკითხავს, პირწმინდად მაქვს დავიწყებული. მაგალითად, ვინმემ რომ მომთხოვოს, ვერაფრით ვერ მოვუყვები თომას მანის „ტონიო კრეგერს“, თუმცა ამ გენიალურმა მოთხრობამ სიჭაბუკეში ერთიანად შემძრა, ამაფორიაქა (ზამთრის საღამო რომ იყო,ეს მახსოვს). ყველაფერს თავიდან ვეღარ მივუბრუნდები, საამისოდ არც დრო მეყოფა და არც ძალა. დავიწყების მთავარი მიზეზი ის მგონია, რომ წაკითხულთან ჩემი დამოკიდებულება უკიდურესად ემოციურია,ვიძაბები და მერე ამბავთა თუ შემთხვევათა უმრავლესობა ვეღარ მომიგონებია... მხოლოდ საერთო განწყობილება მახსოვს, ისიც ბუნდოვნად.

28.08.2000. დღემდე არასოდეს მიფიქია იმაზე – ჩემი არყოფნის შემდეგ (როდისმე ხომ უნდა მოვკვდე?), სხვა რას გამიკეთებდა. მთავარია, რომ რაღაც-რაღაცებს მე თვითონ ვაკეთებ სხვებისთვის (ეს ერთგვარ კმაყოფილებას მანიჭებს) და ამას არავის დავამადლი.

ჩემი გაფანტული,არათანაბარი ღირსების ნაწერთა დალაგებას, მოწესრიგებასა და გამოცემას დიდძალი დრო, ენერგია და, ცხადია, ფული დასჭირდება. არა მგონია, ვინმემ საამისოდ თავი გადასდოს, მიჭირისუფლოს. ნეტა მოვასწრო და სანახევროდ მაინც შევძლო იმის გაკეთება, რაც განზრახული მაქვს. წარსულის, სამუდამოდ ჩავლილის, ხსოვნაში ჩარჩენილის ცალკეულ სურათებს და ეპიზოდებს კი გავაცოცხლებ, მაგრამ არა მგონია, მოგონებათა ერთიანი, შეკრული, მწყობრი წიგნი დავწერო. თავისებური მთლიანობა ნააზრევისა ალბათ მაშინ გამოჩნდება, როცა ყველაფერი დალაგდება, თემებისა თუ განწყობილებების მიხედვით შეირჩევა. დასანანია – ბევრი არცთუ უმნიშვნელო რამე მაქვს ჩაფიქრებული, დაწყებული და ჯერჯერობით ალალბედზე მიტოვებული; როდის რას დავამთავრებ, ამჟამად ვერაფერს ვიტყვი. ყოველივეს, რა ჩემს აფორიაქებულ ტვინსა და გულში იქნება გამოტარებული, შეუძლებელია დიდი სინანულის გრძნობა არ დააგუბოს, სხვასაც არ გადაედოს; ეს იქნება წინასწარ განწირული, ამაო ცდა იმისა, დავიწყების პირქუშ ოკეანეს გამოვტაცო უმოწყალოდ გამქრალი სახეები, ყოველივე, რაც მინახავს და რასაც ჩემს ზედმეტად მგრძნობიარე არსებაში წარუშლელი ანაბეჭდები დაუტოვებია.

26.06.2000. განსჯების დიდად მოყვარული არა ვარ, მაგრამ ბოლო ხანებში ამაზედაც დავფიქრებულვარ –

რადგანაც ბუნება, არსებობის ულმობელი განრიგი ასე გვერდაუვლელად გზღუდავს, გამწყვდევს მკაცრად შემოსაზღვრულ დროში და იმის მცირე ნაწილსაც ვერ ასწრებ, რაც დაგეგმე, იძულებული ხდები (ეს, უმეტესად, ჩემნაირ ნერვებაწეწილებს, ყოფადაულაგებლებს ემართებათ) ხშირად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წერო.

შეიძლება ბოლოს,გარკვეული ხნის მერე, ასეთ სახელდახელო ნააზრევთა თავმოყრამ, ერთობლიობამ შექმნას მთლიანობის შთაბეჭდილება თუ მას მიმსგავსებული ილუზია. ერთი რამ უეჭველია – მთავარი ხაზი ანუ უმთავრესი თვისება შენი ხასიათისა ანდა შეძენილი ჩვევებისა უთუოდ გამოვლენილი იქნება შენს მიმოფანტულ,დანაწევრებულ ჩანაწერებში. ამნაირი მიდგომა საკუთარი ქმედებისა და გამონათქვამებისადმი, ცხადია, ახალი არ გახლავთ და ჩვენს უკიდურსად არეულ დროში აქეთკენ სულ უფრო ბევრნი იხრებიან.

ანტონენ არტოს მემკვიდრეობაზე გამოთქმულია შეხედულება (სიუზან ზონტაგი), რომ ეს არის „ნაგლეჯების გიგანტური გროვა“. აშკარაა, იყო ამის თქმის საფუძველი. ვნანობ, რომ რამდენიმე წლის წინ არ ვიყიდე არტოს თეატრალური წერილების მცირე წიგნი. ალბათ კიდევ გამოვა გაცილებით სრული,მნიშვნელოვანი კრებულები, გენიოსად და შეურაცხადად შერაცხილი ამ ნატანჯი კაცისა. მისი შეშლილობა ასეთ დროს არაა სათვალავში ჩასაგდები, როგორც, მაგალითად, უაილდის, პრუსტის, კოკტოს, ბარტის და სხვათა საჩოთირო სექსუალური გადახრები, ავადმყოფური მიდრეკილებანი.

გაცნობიერებული, შეგნებული უსისტემობა, მწყობრ, პედანტურად დალაგებულ მოძღვრებათა წინააღმდეგ მიზანდასახული გალაშქრება, როგორც ცნობილია, აშკარად გამოიკვეთა კირკეგორის ფილოსოფიურ ნააზრევში. მისი თავისუფლად მდინარე ნაწერების კითხვას უფრო უდებ გულს, ვიდრე ჩამოწიკწიკებულ, პარაგრაფების სულისშემხუთავ სალტეებში მოქცეულ ტომებს დიდი, სახელმოხვეჭილი ფილოსოფოსებისა. ესეც ალბათ დრომ მოიტანა – ადამიანთა გონება გადაიღალა, სისადავეს ელტვის.

ზომიერების დაცვა მუდამ, ყოველთვის საჭიროა, არავის აწყენს. ეს გუმანით, ტანითაც უნდა იგრძნო; გონით ჭვრეტას სხეულიც უნდა მიაშველო. შეიძლება არ მიჰყვებოდე რაიმე მკაცრად შედგენილ მონახაზს, მაგრამ ასეთი მიდგომა არ ნიშნავს – დაგერღვეს აზრის მთავარი, გამჭოლი მიმართულება; შოპენჰაუერს, რომელიც ძალიან მიყვარს (მისი რამდენიმე წიგნი სხვადასხვა დროს გამტაცეს), ყოველნაირად ხელეწიფება წერა და ამ პირქუში,მოურიდებელი გენიის პესიმიზმი სრულებითაც არ მაყენებს ცუდ გუნებაზე.

კონტრაპუნქტული აზროვნება და ხატვა, გაუთავებელი გადახტომ-გადმოხტომები (ეს უმეტესად ნიჭის უკმარისობის შესანიღბავად ხდება) დღესდღეობით ჩვეულებრივ ამბად იქცა.

ტრაფარეტთა ტყვეობაში რომ არ მოექცე, რომელიმე ხერხი, მანერა თუ თვალსზრისი უსაშველოდ და უთავბოლოდ არ უნდა გააბატონო. ამის თაობაზე მსოფლიო სახელის მწერლები ხშირად გვაფრთხილებენ. არა მგონია, მხოლოდ მე ვფიქრობდე, რომ დიდი ამერიკელი რომანისტი უილიამ ფოლკნერი (იგი განუხორციელებელი პოეტი გახლდათ) ზედმეტად მიენდო ცნობიერების ნაკადს; მისი წიგნების კითხვამ (ტრილოგია, „ხმაური და მრისხანება“, „სინათლე აგვისტოში“,მოთხრობები და სხვა) ბევრჯერ განმაცდევინა სასიამოვნო მღელვარება, მაგრამ ზოგი მისი რომანი (მაგალითად, „აბესალომ,აბესალომ!“) ძნელი წასაკითხია, გიჭირს გაგება, რომელი პერსონაჟი წარმოთქვამს ამა თუ იმ მონოლოგს. ამ მხრივ შედარებით ნაკლებად სცოდავდა მისგანავე ნაფერები თომას ვულფი, ვისაც ნიაღვარივით მომსკდარი ტალანტის გაშლა არ დასცალდა.

ცხადია, ნამდვილი შემოქმედი თავს ყველა შემთხვევაში უნდა ფლობდე, მაგრამ არც ბუნებრივად მოკრძალებული ფანტაზიის შეზღუდვა ივარგებს. ესეცაა – ფორმის გრძნობა არასოდეს არ უნდა დაკარგო. ნაწერს, ქმნილებას,უპირატესად, გარშემოწერილობა, გამოკვეთილი კონფიგურაცია, გრაფიკული სახე ანიჭებს სიმკვრივეს, თუ ეს არ გაითვალისწინე, განაზრახი ხელში ჩაგეშლება. ყოველივე ამას ვინმეს ჭკუის სასწავლად როდი ვამბობ – უფრო იმისთვის გავისარჯე, ჩემს თავს მინდა ამოვდო აღვირი.

შოჩენა ჯუხთიშვილი

მარადიული წიგნი

მეტად სასიამოვნო ლიტერატურულ სიახლეზე მინდა ვესაუბრო საზოგადოებას და ვაუწყო მას, რომ ლია რუსიაშვილის „სალი კოლხელი“, რომელიც მწერალმა და პოეტმა ქალმა ახლახან გამოსცა, თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო შენაძენია. მეტსაც ვიტყოდი, – წიგნის მესამე ნაწილის სახელდების, „მარადიული ებრაელის“ ანალოგიით, გავუბედავდი, რომ მისთვის მარადიული წიგნი მეწოდებინა. დამეთანხმებით, რომ მარადიული შეიძლება ეწოდოს ისეთ ნაწარმოებს, რომელიც, ცხადია, ეხება მარადიულ პრობლემებს. ამ გაგებით, ალბათ, ყველა მარადიული წიგნი მარადიული ცხოვრებაცაა, რამეთუ ეპოქალური მოვლენები ხშირად იქცევა ფასეული ლიტერატურული ქმნილების სულისჩამდგმელ მიზეზად. ახლაც ასეა. ჩვენს საცდურმომძლავრებულ ყოფიერებაში, სადაც აპოკალიფსური მოლოდინის სიო დაძრწის, დიახაც, სიხარულით უნდა ვეგებებოდეთ წიგნს, რომელიც გადარჩენისაკენ მოგვიწოდებს,– ჩვენს შვილებს საყრდენად შეუდგება და სამშვიდობოს გაგვიყვანს.

„სალი კოლხელი“ ლიტერატურული ენით სთავაზობს მომავალ თაობას მეგზურობას მარადიული სიცოცხლისაკენ მიმავალ გზაზე. მაგრამ რა არის ოდენ მისია მხატვრული სრულქმნის გარეშე? მარადიული წიგნების სხვა ავტორთა მსგავსად, ლია რუსიაშვილი ახერხებს იმას, რომ შეუმცდარი ალღოთი მოქსოვოს საინტერესო სიუჟეტები და შექმნას ნარატივი, რომელიც ზედაპირს მიღმა აირეკლავს მარადკაცობრიულ საკითხავთა უალტერნატივო პასუხებს და კეთილგონივრულ მინიშნებებს უპასუხოდ დარჩენილ კითხვებზე. ამ მისიითა და ფასეულობით, სბავშვო წიგნებიც შეიძლება იქცნენ სულისშემძვრელ წიგნებად, მით უფრო, რომ ბავშვურ წარმოსახვათა თვალსაწიერი უკიდეგანოა და ყოფლისმომცველი.

დამეთანხმებით,რომ იმ უამრავ საწუხართა შორის, რაც ქართულ საზოგადოებაში არსებობს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბავშვთა აღზრდის საკითხია. მათი ნამდვილი კეთილდღეობა,რომელიც სულიერ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული, სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ფასეულობებით ვცხოვრობთ ჩვენ თავად,რა ცხოვრებისეულ მაგალითს ვაძლევთ ჩვენსავე შვილებს?.. საზოგადოება ხომ დღესაც დგას ისტორიული არჩევანის წინაშე: ღმერთი თუ უღმერთობა, სულიწმიდის მადლი თუ ცრურწმენათა ტყვეობაში ყოფნა?!

ოჯახი,სადაც ნაწარმოების მთავარი გმირი, სალი კოლხელი ცხოვრობს,ქრისტიანული ოჯახის ნიმუშია. პირადი მაგალითითა და ცხოვრების წესით, საღვთისმეტყველო ლიტერატურის ცოდნით შეიარაღებული მშობლები ძალდაუტანებლად აშენებენ და ამკვიდრებენ თავიანთ შვილებში ქრისტიანულ მსოფლხედვას. მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეტად ხატოვნად და მარტივი ენით შემოაქვს საუკეთესო იგავები საღვთო წიგნებიდან, საცნაური ეპიზოდები წმინდანთა ცხოვრებიდან. თავადაც გმირი დედა, შვიდი შვილის აღმზრდელი ქალი და ნიჭიერი მწერალი ლია რუსიაშვილი ახერხებს, რომ ბუნებრივად მიიტანოს სარწმუნოებრივი დებულებები თავის პერსონაჟებამდე, რომლებიც საკუთარი შვილების რეალური პროტოტიპები არიან. დედა – ავტორისა და დედა – პერსონაჟის აღმზრდელობითი მეთოდის მთავარი მიზანი ისაა, რომ ყველა ქართული, ქრისტიანული ოჯახი მარადიული ცხოვრების მკვიდრი გახდეს. სწორედ ეს, ზეციური მარადიული ქალაქის მკვიდრობაა ნაწარმოების დიადი მიზანი. ამავე მისიის შემცველია წიგნის მთავარი გმირის, – მორწმუნე, კეთილი და გულისხმიერი სალი კოლხელის პიროვნებაც და ბავშვური თავგადასავალიც.

შეიძლება ითქვას, რომ მარადიული ცხოვრების ამსახველ მარადიულ წიგნში სალიც მარადიული გოგონას სახეა. ექვსი და-ძმისაგან განსხვავებით, მას აქვს საოცარი უნარი სამყაროს სიდიადის შეცნობისა. მასთან მეგობრობენ უცნაური, საზოგადოებისაგან გარიყული ადამიანები. სალი მეგობრობს გლახასთან, ღვთივსათნო სალოსთან, რომელიც ქვეყნიერებაზე იმ მიზნით დაიარება, რომ დემონურ ძალებს

შეებრძოლოს, განაიარაღოს ჯადოქრობის ნიღაბამოფარებული ბნელი ძალები, ამხილოს კერპთაყვანისმცემლობა...

ნაწარმოების ოთხივე ნაწილი საინტერესო სათავგადასავლო სიუჟეტს გვთავაზობს: „უცნობი დედოფლის საგანძური“, „ოქროს ვაშლის საიდუმლოება“, „მარადიული ებრაელი“ და „ყვარლის ლოდი“. თითოეული მათგანი მთავარი იდეით დატვირთული ნარატივია: საქართველოში სულიწმიდის მადლი ტრიალებს; ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში დაფარული საიდუმლონი უნდა გაცხადდეს და აღსრულდეს ნება უფლისა – სატანის მსახურება უნდა დაიგმოს და დაითრგუნოს. სალი კოლხელის ცხოვრება და თავგადასავალი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იზრდებოდნენ ქართველი ბავშვები, ხოლო მისი ოჯახი – მოდელია ქრისტიანული ოჯახისა. აქ შეურყეველია მამის ცოდნა და ავტორიტეტი, – მას აქვს სწორი ორიენტაცია სარწმუნოებრივი და კულტურული ფასეულობებისადმი; მარადიულია დედის სიბრძნე და მზრუნველობა. მწერლის ლაღი ფანტაზია და ხალასი იუმორი კი ანცი და-ძმის ოინებს საინტერესო სანახაობად წარმოგვიდგენს.

იდეური სიმწიფითა და მხატვრული ოსტატობით გამორჩეულია „სალი კოლხელის“ მესამე და მეოთხე ნაწილები. სულმოუთქმელად იკითხება და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს „მარადიული ებრაელის“ ბოლო ნაწილი, სადაც გადმოცემულია გლახასა და მარადიული ებრაელის დრამატული შეხვედრა და დიალოგი. აქ ძალდაუტანებლად შემოდის ძველი და ახალი აღთქმის მოტივები და მკითხველის ცნობიერებაში ილექება ბიბლიური და სახარებისეული იდეები და ჭეშმარიტებანი. უმცროსი ასაკის მკითხველისათვის გასაგები ენითაა მოთხრობილი ებრაელი ერის ისტორია და განმარტებულია მისი საღვთო დანიშნულება. ქართული ერის განსაკუთრებულ მისიაზე კი შეგვახსენებს კულმინაციური პასაჟი – ებრაელი მოშე სალი კოლხელს ჩუქნის წმიდა დავით წინასწარმეტყველის ბეჭედს და საქართველოში ტოვებს მას.

მეტად საინტერესო კულტურულ-ისტორიული ცოდნით ამდიდრებს მკითხველის წარმოსახვას ნაწარმოების მეოთხე თავი: „ყვარლის ლოდი“. აქ განმარტებულია ბევრისათვის ჯერაც გაურკვეველი საკითხები იმის შესახებ, თუ სად მთავრდება წარმათობა და სად იწყება ქრისტიანობა,რას ნიშნავს მამლის შეწირვის რიტუალი წარმართული დროის ნიშებთან და სხვ. მთავარი კი ისაა, რომ დრამატული სიუჟეტის ფონზე მწერალი ფარდას ხდის მთავარ საიდუმლოებას: დემონები და მის მსახურებაში მყოფი ადამიანები დღესაც ცდილობენ კერპთაყვანისმცემლობის აღორძინებას და მას ქრისტიანული მსახურების სახით ნიღბავენ.

ლია რუსიაშვილის, როგორც მწერლის დამსახურება მარტო ის როდია, რომ თავისი მხატვრული ქმნილებით მარადიული ცხოვრებისაკენ მოგვიწოდებს, არამედ ისიც, რომ გვაბრუნებს სიტყვიერ ხელოვნებასთან, როგორც ინტელექტუალური სიხარულის წყაროსთან. „სალი კოლხელი“ ლაღი იუმორით, ხატოვანი ენით დაწერილი ექსპრესიული პროზის ნიმუშია. მწერალი გვმასპინძლობს ჩვენსავე ბავშვობის წარმტაც საუფლოში, – იქ, სადაც ყოველი ჩვენგანი ენით გამოუთქმელი განცდებით ენათესავებოდა სამყაროს, ისმენდა ბუნების ხმებს და მასთან განუყრელ კავშირში იმყოფებოდა. სწორედ ამგვარი იდილიური ჭვრეტით შეიმეცნებს ნაწარმოების მთავარი გმირი, სალი კოლხელი ერთპიროვნული ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროს. სარწმუნოებრივი განცდით აღიქვამს სიცოცხლეს, რომელსაც სულიწმიდის მადლი განაცხოველებს.

არ შეიძლება, საგანგებოდ არ აღვნიშნო ერთი რამ: გარდა იდეური ღირებულებისა „ყვარლის ლოდი“ გამოირჩევა მწერლური ოსტატობით, პეიზაჟებისა და ქართული სოფლის იდილიის მაღალმხატვრული წარმოსახვით. აქ დამაჯერებლადაა დახატული ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათი, უნაკლოდაა გადმოცემული მათი კახური დიალექტით გაჯერებული საუბარი, – თითქოს ჩვენც ვხედავთ და ვესაუბრებით მათ, ვყნოსავთ ზაფხულის ულამაზესი ფერებით აჭრელებული ბუნების სურნელს...

კიდევ მეტის და მეტის თქმა შეიძლებოდა ამ მშვენიერ წიგნზე,მაგრამ დავასრულებ და ვიტყვი კიდევ ერთს: ლია რუსიაშვილის „სალი კოლხელი“ დროული და საჭირო შენაძენია ქართველი ბავშვებისა და ქართული ოჯახებისათვის, უმცროსებისა და უფროსებისათვის. ის მარადიული წიგნია, რომელიც მარადიულ სიმართლეზე გვესაუბრება, – ღირებული ლიტერატურაა, რომელსაც ძალუძს ჩვენი შვილების სულიერ მეგზურად იქცეს.

ჩვენი პატარებისათვის

ინგა მილოხავა

მოქარგული ხელსახოცი

დილით ადრე მეომარმა შეკაზმა ცხენი, აბჯარი აისხა და თავის პატარა შვილს გამოეთხოვა. საომრად უნდა წასულიყო, ქვეყნის შორეულ, ჩრდილოეთ საზღვართან შავ დევებს უნდა შებრძოლებოდა სხვა საუკეთესო მეომრებთან ერთად. მეომრის პატარა ასული თვალცრემლიანი გამოეთხოვა მამას. მეომარმა ცხენი ყალყზე შეაყენა და გააჭენა დილის მზით განათებულ გზაზე. მეომრის ასული სახლში შებრუნდა, პირისფერი აბრეშუმის ხელსახოცი გამოიტანა და გზის პირას, მუხების ქვეშ ლოდზე ჩამოჯდა. უნდოდა საომრად წასული მამისთვის ხელსახოცი მოექარგა, მაგრამ არც ნემსი ჰქონდა, არც ძაფები, არც მაკრატელი. უცებ სადანღაც პატარა ზღარბი გამოცუნცულდა და გოგონას წინ დასკუპდა.

– შენ ნემსი გჭირდება? მოდი, მოქაჩე, ამომაძვრე ერთი ეკალი და ნემსიც გექნება. – თქვა ზღარბმა.

– რომ გეტკინება? – შეწუხდა მეომრის ასული.

– არა უშავს, მე გულით გჩუქნი და, აბა, შენ იცი, რა ლამაზ ხელსახოცს მოქარგავ.

გოგონამ მადლობა გადაუხადა ზღარბს. ნემსი უკვე ჰქონდა...

ტყიდან წითური მელია გამოვიდა და გოგონას წითელი ძაფის გორგალი გაუწოდა:

– აი, აიღე, ეს ჩემი ბეწვიდან დავართე, გამოგადგება.

მეომრის ასულმა მადლობა გადაუხადა. ახლა უკვე წითელი ძაფიც ჰქონდა.

მალე ქათქათა კურდღლებიც გამოჩნდნენ და თავიანთი თეთრი ბეწვის დიდი გორგალი მიაგორეს გოგონას ფეხებთან. ახლა თეთრი ძაფიც ჰქონდა.

– ცოტა ხანს გვაცადე, – აშრიალდნენ მუხები, – ფოთლებიდან მწვანე ძაფს დაგიმზდებთ, ქერქიდან კი – ყავისფერს.

სანამ მუხები ძაფს ართავდნენ, ღიღილოებმა თავიანთი ყვავილები აქციეს ძაფად, ნაკადულებმა ვერცხლისფერი ძაფი აჩუქეს, მზემ ოქროს სხივები დაახვია ხის ტოტზე და ფეხებთან ჩამოუგდო მეომრის ასულს, იებმა იისფერი ძაფი დაართეს, მგლებმა – ნაცრსფერი, მაგრამ პატარა გოგოს არ შეეშინდესო და ტყიდან არ გამოსულან, ყორანს გაატანეს, რომელსაც თავისი ფრთებისფერი ძაფი მიჰქონდა მეომრის ასულისთვის. როცა მზე შუბის ტარზე შედგა, გოგონას უამრავი ფერის ძაფი ჰქონდა. ამ დროს მოფრინდა მერცხალი და თავისი კუდი აჩუქა – მაკრატელი.

მეომრის პატარა ასული მხურვალე მადლობას უძღვნიდა ყველას, გული აუჩუყდა, ძალიან გახარებული იყო, მამა რომ დაბრუნდებოდა, მოქარგულ ხელსახოცს დაახვედრებდა.

მთელი დღე ქარგავდა მეომრის ასული. პირისფერ ხელსახოცზე ნელ-ნელა გამოჩნდა ნაქარგი მთები, ტყეები, ყვავილებით სავსე ველები, მაღალი კლდე და წყალუხვი მდინარე. ნაქარგი ცოცხალს ჰგავდა და ძალიან ლამაზი გამოვიდა.

სულ რამდენიმე ხაზიღა დარჩა და ხელსახოცი მზად იქნებოდა. მზემ ბოლოჯერ მოავლო თვალი მიწას და დასაძინებლად მოემზადა. უკვე თვალები ეხუჭებოდათ ყვავილებს, უკვე მოძებნეს ბუდეები ჩიტებმა, იისფერი ჩრდილები წვებოდნენ უკვე ხევებში და ამ დროს გზაზე მოხუცი ქალი და პატარა ფერმკრთალ გოგონა გამოჩნდნენ. ისინი ნელ-

ნელა, მძიმედ უახლოვდებოდნენ ლოდს, რომელზეც მეომრის ასული იჯდა და ქარგავდა და როცა მასთან მივიდნენ, ნაქარგი უკვე დამთავრებული იყო. მეომრის ასულმა შეხედა მოხუცი ქალის სევდიან სახეს, პატარა ფერმკრთალი გოგონას ცრემლებით სავსე თვალებს და გული შეეკუმშა.

მოხუც ქალი მის წინ ჯოხს დაეყრდნო და თავი ჩაქინდრა.

– საიდან მოდიხართ, ბებო, ან ამ პატარა გოგოს რადა აქვს თვალები ცრემლებით სავსე? რა კაეშანი ჩასდგომა გულში? – ჰკითხა მეომრის ასულმა და ფეხზე წამოდგა.

მოხუცმა შაოსანმა ქალმა ამოიოხრა:

– ეს ჩემი შვილიშვილია. შავმა დევებმა მშობლები დაუხოცეს, სოფელი გადაწვეს და მისი პატარა მეგობრები ტყედ წაასხეს. ამიტომა აქვს ნაღველით სავსე გული.

– აქ მომიცადეთ, ახლავე წავალ და ჩემს თოჯინებს მოვუტან, თუ უნდა. ჩემს ახალ ცისფერ კაბასაც ვაჩუქებ, იქნებ დარდი ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეს. გემრიელ ნამცხვარსაც წამოვიღებ. მეტი არაფერი მაქვს, – თქვა მეომრის ასულმა და გასაქცევად მოემზადა.

ამ დროს პატარა გოგონამ ბებიას კალთაზე მოქაჩა და ჩუმად რაღაც უთხრა.

– დიდი მადლობა, შვილო, მაგრამ ჩემს შვილიშვილს შენი მოქარგული ხელსახოცი მოეწონა, მხოლოდ მას შეუძლია ცოტათი მაინც დაუყუჩოს ტკივილი. ეს მოქარგული მთები, ველები, კლდეები და მდინარე, თავის მშობლიურ მხარეს აგონებს, სადაც ბედნიერი იყო ერთ დროს, – თქვა მოხუცმა და ცრემლები მოიწმინდა, – თუ ხელსახოცს აჩუქებ, ძალიან მადლობელი ვიქნებით ორივენი.

მეომრის პატარა ასული შეცბა. მან ხომ ომში წასული მამისთვის მოქარგა ეს ხელსახოცი. მამა რომ დაბრუნდება, უნდა აჩუქოს.... წამით შეყოვნდა, მაგრამ შეხედა პატარა გოგონას ცრმლიან და დარდით სავსე თვალებს და უყოყმანოდ გაუწოდა თავისი მოქარგული ხელსახოცი:

– აი, წაიღე, თუ ეს შეგიმსუბუქებს დარდს, მე ბედნერი ვიქნები. შენი იყოს.

პატარა გოგომ სიხარულით გულში ჩაიკრა ხელსახოცი. მოხუცმა ქალმა მადლობა გადაუხადა მეომრის ასულს და ბებია და პატარა სევდიანი გოგონა დაადგნენ უკვე ბინდში გახვეულ გზას. მეომრის ასული დიდხანს უყურებდა, მერე კი შინ დაბრუნება გადაწყვიტა.

– არ იდარდო, – დაიშრიალეს მუხებმა, – ხვალ კიდევ დაგირთავთ მწვანე და ყავისფერ ძაფებს.

– ჩვენ ღიღილოსფერ ძაფებს დაგახვედრებთ, – დაიჩურჩულეს ღიღილოებმა.

– ჩვენც მოგცემთ ვერცხლისფერ ძაფებს და მზეც ისევ გაჩუქებს სხივებს, — დაიწკრიალეს ნაკადულებმა.

ტყიდან კი გაბმული ყმუილი მოისმა – მგლები ჰპირდებოდნენ, რომ დილისთვის ნაცრისფერი ძაფის გორგალი მზად იქნებოდა. მეომრის ასული დაემშვიდობა ყველას, მადლობაც გადაუხადა, მაგრამ ის აღარ უთქვამს, რომ მეტი აბრეშუმის ხელსახოცი აღარ ჰქონდა და რაღაზე უნდა მოექარგა....

ამ დროს კი მისი მამა შეუსვნებლად მოაგელვებდა ცხენს სახლისაკენ. ძალიან გაუჭირდა რჩეულ მეომართა რაზმს შავ დევებთან ბრძოლა, ბევრი მათგანი დაიღუპა. მაშინ მეფემ მეომარს უბრძანა, გაექროლებინა რაში და დამხმარე ძალა მოეყვანა. მეომარმა ყალყზე შეაყენა ცხენი, უჭირდა მეგობრების დატოვება, მაგრამ სხვა გზაც არ იყო, მათრახი გადაჰკრა თავის საყვარელ რაშს, აქამდე არასოდეს დაუკარებია მათრახი მისთვის და გააქროლა. შავმა დევებმა დაინახეს, რომ მეფემ შიკრიკი გაგზავნა და მეომარს დაედევნენ. მიჰქრის მეომარი ველზე, ყვავილები ჩუმად ესალმებიან, მაგრამ მას არ ესმის, ეჩქარება, მიწა ზანზარებს, დევები მოსდევენ, საცაა დაეწევიან. გადაირა ველი და ტყის პირას ხის დიდი სასახლე დაინახა. სასახლის წინ მოხუცი ქალი და პატარა სევდიანი გოგონა ისხდნენ. გოგონას მუხლებზე ეფინა მოქაგული პირისფერი ხელსახოცი.

– გამარჯობა, მეომარო, შესდექ და მომისმინე, – უთხრა მოხუცმა ქალმა მეომარს, – მე ამ მხარის ფერია ვარ, მთების და ველების დიდი დედოფალი, ეს კი ჩემი შვილიშვილია, მდინარეების ფერია. თავგანწირული მიაგელვებ შენს ცხენს, ისიც თავს არ იზოგავს, მაგრამ შავი დევები საცაა დაგეწევიან, ვერაფერი გიშველის. აი, აიღე ეს მოქარგული ხელსახოცი და როცა იგრძნობ, რომ დევები სულ ახლოს არიან, შენს ზურგს უკან გადააგდე, მაშინ ნახავ რა მოხდება. ამ ხელსახოცს საოცარი მადლი და ძალა აქვს. ის, რაც მასშია ჩაქარგული, ყველანაირ ბოროტებას დაამარცხებს.

პატარა სევდიანმა ფერიამ მოქარგული ხელსახოცი გაუწოდა მეომარს და გაუღიმა. მეომარმა დაინახა, რომ ხელსახოცზე ტყეები, შრიალა მინდვრები, კლდე, მთები და წყალუხვი მდინარე იყო მოქარგული, გული უცნაურად აუჩქროლდა, თუმცა ძლივს მოასწრო მადლობის გადახდა, მიწა აგუგუნდა, შავი დევები საცაა წამოეწეოდნენ და მეომარმა გააქროლა თავისი რაში.

დილამდე ასე მიჰქროდნენ მეომარი და მისი ერთგულ ცხენი. დილით კი ორივემ იგრძნო, რომ ძალიან დაიღალნენ, დევების ფეხის ხმა კი სულ უფრო ახლოვდებოდა, მეომარს მოეჩვენა, რომ მათი სუნთქვაც კი იგრძნო, მაშინ ამოიღო მოქარგული ხელსახოცი და ზურგს უკან გადააგდო. ხელსახოცი ნაზად დაეფინა მიწას, გაიშალა და უცებ მასზე ამოქარგული ტყეები, ველები, მთები, კლდე და მდინარე ნამდვილ ტყეებად, ველებად, კლდედ და მდინარედ იქცნენ. დევები გაცოფა მოულოდნელმა წინააღმდეგობამ. შეცვივდნენ ტყეში, ძირიანად გლეჯდნენ ხეებს, მაგრამ რას დააკლებდნენ უღრან ტყეს, ბევრ მათგანს გზა აებნა და სამუდამოდ იქ დარჩა. მხოლოდ რამდენიმემ დააღწია თავი ტყეს და ველზე გავიდა. ამასობაში მეომარმა დიდი გზის გავლა მოასწრო და დაწინაურდა, მაგრამ დევები მაინც ჯიუტად ჩაუდგნენ კვალში. უცებ მათ წინ მაღალი კლდე აღიმართა, დევები შეეცადნენ კლდე დაემსხვრიათ, მაგრამ სამმა მათგანმა მკლავი მოიტეხა და ტკივილისგან აღრიალებულები იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. მხოლოდ ორმა დევმა შეძლო კლდეზე აფოფხება, მისი გადალახვა და დევნა განაგრძო. მეომარი უკვე ძალიან შორს წასულიყო, მაგრამ დევები მაინც მისდევდნენ. უცებ მათ წინ მოქარგული, ახლა კი ნამდვილად ქცეული მთა აღიმართა. ორივე დევი ძლივძლივობით აბობღდა მთაზე, მწვერვალს მიაღწიეს და ის იყო თავდაღმართში უნდა დაშვებულიყვნენ, რომ უცებ სადანღაც მოფრინდა უზარმაზარი არწივი, ერთ დევს კლანჭები დაავლო და ცაში აიტაცა. დარჩა ბოლო დევი. მან მაინც მოახერხა მთიდან ჩამოსვლა და ისევ მისდევდა მეომარს, მაგრამ უეცრად წინ მოქარგული, ახლა უკვე ნამდვილად ქცეული წყალუხვი მდინარე გადაეღობა. დევი დაუფიქრებლად გადაეშვა მდინარეში, მაგრამ მდინარე ვერცხლისფრად ალაპლაპდა, აიქოჩრა, დევი ტალღებზე ბურთივით აათამაშა და შორს გაიტაცა, ვინ იცის სად, რომელ ქვეყანაში წაიყვანა.

მეომარი მიხვდა, რომ დევები აღარ მოსდევდნენ, მაგრამ მაინც შეუსვენებლად მიჰქროდა. მალე მიაღწია კიდეც იქამდე, სადაც თავისი ქვეყნის ჯარი ეგულებოდა. მეომრები ცხენებზე შესხდნენ, გაქუსლეს შავ დევებთან მებრძოლი მეგობრების დასახმარებლად. ადრე მოქარგული, ახლა კი ნამდვილი მთები, ველები, ტყეები, კლდე და მდინარე ესალმებოდნენ და გზას უთმობდნენ მეომრებს. სულზე მიუსწრეს მეგობრებს და მეფეს, შავი დევების ლაშქარი უკუაგდეს და თავიანთი ქვეყნის საზღვრებიდან შორს განდევნეს.

გამარჯვებულ ლაშქართან ერთად დაბრუნდა სახლში მეომარი. პარმაღზე შვილი ელოდებოდა. მამის დანახვაზე სიხარულისგან შეჰკივლა და მისკენ გაიქცა. მამამ ხელში აიყვანა და ცხენზე შემოსვა.

– დაბრუნდი, მამა, ჯანმრთელი, უვნებელი დაბრუნდი! – ეტიტინებოდა მეომრის პატარა ასული და მამას დაღლილ, წვერმოშვებულ, მტვრიან სახეზე უსვამდა პატარა ვარდისფერ თითებს, – მე შენ ლამაზი ხელსახოცი მოგიქარგე, მაგრამ სევდიანი ბებია და პატარა გოგონა მოვიდნენ, გოგონას ტკივილით და დარდით ჰქონდა გული სავსე, მოეწონა ნაქარგი და იმას ვაჩუქე შენი ხელსახოცი. შენ სხვას მოგიქარგავ, მამა!

მეომარს გული შეეკუმშა, დაღლილი მტვრიანი სახე ჩარგო შვილის ფაფუკ, რბილ თმაში და ჩუმად, ძალიან ჩუმად თქვა, ისე რომ გოგონას არც გაუგონია: ,,ვიცი, შვილო, რომ მომიქარგე ხელსახოცი და ძალიან მადლობელი ვარ შენი.''

კონსტანტინე კაპანელი

კონსტანტინე (კოწია) კაპანელი ქართველი ლიტერატურათმცოდნისა და ფილოსოფოსის კონსტანტინე გრიგოლის ძე ჭანტურიას ფსევდონიმია. იგი დაიბადა 1889 წლის 5 მაისს აბაშის რაიონის სოფელ კაპანაში.

კონსტანტინე კაპანელმა დაამთავრა საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ქუთაისისა და ბათუმის სასწავლებლებში. 1923 წლიდან ლექციებს კითხულობდა თბილისის კონსერვატორიასა და ამერკავკასიის უნივერსიტეტში. 1929 წლიდან მოსკოვში გადავიდა და მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში კითხულობდა ლექციებს ქართული ხელოვნების შესახებ. 1931 წელს კაპანელი დაბრუნდა სამშობლოში, აქ ის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგედ აირჩიეს.

კონსტანტინე კაპანელის ორგანოტროპისტული მსოფლხედვაზე დიდი გავლენა იქონია ნიცშეანობამ და ბიოლოგისტურმა სოციოლოგიამ. კონსტანტინე კაპანელი ავტორია თეორიისა, რომელსაც ორგანოტროპიზმი უწოდა. გამოქვეყნებული აქვს 300-ზე ნაშრომი, იყო პოლიგლოტი, კარგად ფლობდა რუსულს, ფრანგულსა და ლათინურს. იცოდა ავრეთვე, ინგლისური, იტალიური, გერმანული, უკრაინული, ბულგარული და პოლონური ენები. მართალია ის რეპრესირებული არ ყოფილა, მაგრამ შეიზღუდებული და უგულებელყოფილი იყო. კაპანელი მეაცრად აკრიტიკებდა ქართულ რეალობას. საინტერესოა ისიც, რომ იგი არ უყვარდათ ქალებს მათზე დაწერილი ერთი ფილოსოფიური ოპუსის გამო და მას პირდაპირ სადარბაზოებშიც კი ხვდებოდნენ.

თემები, რომლებსაც კონსტანტინე კაპანელი 50-60-იან წლებში ამუშავებდა, ჩვენთან დღემდე არ არის ბოლომდე გახსნილი და შესწავლილი. ფაქტია, რომ მან თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ წარმოაჩინა საქართველოში. დისიდენტების მიერ საზღვარგარეთ გატანილი მისი ნაშრომები კი ცნობილი და აღიარებული იყო მსოფლიოს ფილოსოფიური აზრის კორიფეების მიერ.

კონსტანტინე კაპანელი გარდაიცვალა 1952 წლის 10 დეკემბერს, დაკრძალულია თბილისში.

გთავაზობთ ერთ თავს კონსტანტინე კაპანელის წიგნიდან „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“. ეს თავი ქართული ტიპის კვლევას ეძღვნება.

ქართული ტიპი

მემკვიდრეობით მიღებული ჩვეულებები ხშირად კანონებად იქცევიან. როგორც კერძო ადამიანის, ისე ერის ცხოვრებაშიაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა: რაც სულსა და სხეულს ოდესმე წარსულში შეუთვისებია, ის გადადის საშვილიშვილოდ; და მომავალი ბიოლოგიურად და ისტორიულად მხოლოდ იმას გააკეთებს, რის ემბრიონი წარსულის შემოქმედებით მღელვარებაში ჩასახულა.

შეიძლება ითქვას თამამად,რომ ტრადიცია ერთნაირად ამოძრავებს, აყალიბებს, ასხეულებს ნებისყოფას და სულის აქტივობას, როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ ცხოვრებაში.

მამა-პაპური მოძრაობა ტანისა, ყოველდღიური მიხრა-მოხრა, მიდრეკილება ამა თუ იმ საქმისადმი, თავისებურება გარეგნული და სულიერი, მოდგმას ყოველთვის დაეტყობა.

არაფერი წუთისოფლად არ იკარგება, არც ბუნებაში და არც ჩვენი სხეულის ევოლუციაში: ჩვენი უბრალო ხელის აწევის, ან ფეხის გადადგმის ფორმა განსაზღვრულია ჩვენი წინაპრების ორგანიულ ჩვეულებებში.

ყოველი ერი თავის კულტურას, თავის ცივილიზაციას აძლევს ელფერს იმ მიწა-წყლისა და გეოგრაფიული მდგომარეობისა, რომელთა გავლენას განიცდის საუკუნეთა განმავლობაში: იქმნება თავისთავად ერთგვარი შეფარდებულება ეროვნულ კულტურასა და გეოლოგიურ-გეოგრაფიულ მდგომარეობას შორის.

დიდმნიშვნელოვანია პასკალის სიტყვები: „ალპების აქეთ რაც ჭეშმარიტებაა, ალპების იქით ის სიცრუეა“. ესე იგი, ტერიტორიული ყოფა ჩვენი აძლევს ინდივიდუალურ თავისებურებას ჩვენს კულტურულ-ცივილიზაციურ შემოქმედებას.

ჩვენ მომწყდეული ვართ განსაკუთრებულ გეოლოგიურ-გეოგრაფიულ პირობებში და ყველა ჩვენს იდეალებს, ჩვენს ღმერთებს, გმირებსა და ოცნებებს, ყოველი ჩვენი ნებისყოფის გამოცხადებასა და მოძრაობას აქვს ბოლოს და ბოლოს ხასიათი გეოტროპიული და ტერიტორიული.

საქართველო გეოგრაფიულად უსწორმასწორო ქვეყანაა, მის ყოველ კუთხეს აქვს თავისებური გეოლოგიური ინდივიდუალობა, იმერეთის ფიზიოგრაფია სულ სხვა არის, ქართლ-კახეთის – სულ სხვა; გურიის ბუნება სამეგრელოს ბუნებას არ წაგავს, რაჭა-ლეჩხუმი ტაო-კლარჯეთისგან დიდად განსხვავდება თავის გეოგრაფიულ-გეოლოგიური მოკვეთილობით.

კუთხური სხვაობა და თავისებურობა საქართველოში ჰქმნიდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კუთხურ ფსიქოლოგიას, პროვინციალობის კულტს, განკერძოებისა და განაპირების ჩვეულებებს.

მართალია, საშუალო საუკუნეებში ეს კუთხური ფსიქოლოგია და პროვინციალიზმი ფეოდალური სახელმწიფოებრივი სისტემის ნაყოფი იყო არა მარტო ჩვენში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც, საერთო მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში; მაგრამ ევროპაში ფეოდალურ სისტემის რღვევას მაშინათვე თან დაჰყვა სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია, ჩვენში კულტურის ცენტრალიზაციას ხელს უშლიდა, გარდა ჩვენი მიწა-წყლის დახეთქილობისა, ჩვენი ისტორიული ბედიც.

ჩვენი ეროვნული კულტურის საუკეთესო წუთები ეპიზოდური ხასიათისაა: სისტემური ხასიათი ჩვენს ცივილიზაციას არა აქვს, აღმოსავლეთის ურდოები მოსვენებას არ გვაძლევდნენ,საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს ოჯახსა და სახელმწიფო დაწესებულებებს აოხრებდნენ; ვერც დავით აღმაშენებლის გამჭრიახობამ,ვერც თამარ მეფის ელვარებამ ვერ შექმნეს სისტემა ხანგრძლივი და შეუწყვეტელი ეროვნული კულტურისა.

ერი იბრძოდა, სისხლს ათხევდა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ხშირად მარცხდებოდა; აღმოსავლეთიდან შემოდიოდნენ ჯალალ-ედინები და შაჰ-აბაზები, ანგრევდნენ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, იტაცებდნენ საგანძურებს.

მხოლოდ, რაკი საქართველო არ წარმოადგენდა კულტურულ-ცივილიზაციურ ერთეულს, რაკი საქართველოში არ არსებობდა ერთი ცენტრი ეროვნული კულტურისა, ჩვენი მტრები ჩვენს სამშობლოში შემოსვლით,ბოლოს და ბოლოს, ბევრს ვერას გვავნებდნენ: მართალია, ერთ კუთხეს აოხრებდნენ და გლეჯდნენ, მაგრამ მეორე კუთხეში თითქოს ნორმალურად მიმდინარეობდა კულტურულ-ისტორიული მუშაობა. სკოლა, ლიტარატურა,დიპლომატია, ხუროთმოძღვრება განაგრძნობდნენ არსებობას და ერი მუშაობდა, ერი ქმნიდა ცივილიზაციურ ღირებულებებს.

სწორედ ამან გადაარჩინა საქართველო განადგურებას, დაღუპვას. წარსულში რომ მომხდარიყო სრული ცენტრალიზაცია ჩვენი კულტურისა, ჩვენს რასიულ-ეროვნულ არსებობას ბოლო მოეღებოდა ისე,როგორც მოეღო ბოლო ასურელებისა და ელინების არსებობას.

ამგვარად, ჩვენს ცივილიზაციურს პროვინციალიზმს, ჩვენს კულტურულ კუთხურობას ჰქონდა დადებითი ხასიათი, ჰქონდა ერთგვარი მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული არსებობისათვის და დღეგრძელობისათვის.

მაგრამ ამასვე ჰქონდა უარყოფითი ხასიათი – ეს იყო მიზეზი ჩვენი ისტორიული სისუსტისა და გაურკვევლობისა, ეს იყო უპირველესი მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად ჩვენი კულტურის ორიგინალობისა, მსოფლიო ისტორიაში, კაცობრიობის საერთაშორისო ცივილიზაციურ შემოქმედებაში ჩვენ ვერ დავიკავეთ ისეთი ადგილი, როგორიც ეკადრებოდა ჩვენს წარსულს.

სახელოვანი წარსული გვაქვს, ლიტარატურა ჩვენი მდიდარია, მეტყველება ფერადი, მაგრამ საერთაშორისო თვალსაზრისით, მაინც პროვინციალები ვართ;

ჩვენი რუსთაველი დიდია შინაგანი განცდით, მხატვრული გრძნეულობით, მაგრამ ალიგიერის გრაანდიოზობა მაინც ჩრდილავს მას კაცობრიობის ისტორიაში.

ვაჟა-ფშაველას აქვს გოეთესა და შელის პანსოფიური თვისებები, მას აქვს საკაცობრიო იდეალების მშვენიერი ორიგინალური სახეები, მაგრამ ვაჟა-ფშაველა მაინც „პატარაა“,მაინც პროვინციელია ამ სიტყვის ტრაგედიული მნიშვნელობით, იმიტომ, რომ წუთისოფლად ისტორიული უკულმართობის წყალობით „პატარაა“, პროვინციულია მთელი საქართველო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ინგლისური პოეზია

თარგმნა
ირმა ჯანგირაშვილმა

პოლ დანბერი

* * *

სულ მცირედი ოცნება და
სულ მცირედი გარჯა,
ხან ტკივილი, ხან ხალისი –
სიხარულით მფენი;
ცოტა ბრძოლა, ცოტა დავა
და თუ რამე დარჩა –
ამას ჰქვია, ჩემო კარგო,
დღეს, ცხოვრება ჩვენი!
გაზაფხულის ლურჯი დილა
ოცნებებით მავსებს,
სიხარულის სხივს რიჟრაჟზე
დაბადებულს გვიან,
მოგალობე ჩიტუნას თუ
თვალციმციმა ზეცას,
სუყველაფერს, ჩემო კარგო,
სიყვარული ჰქვია...

ემილი დიკინსონი

* * *

ქვეყნად არავის ესმის
ვის ვეძებ, ან ვის ვუხმობ,
მხოლოდ ბუნება მშვიდი
მეალერსება უხმოდ;
სანუგეშოდ გწერთ წერილს,
(თუმც, ნუგეშს ვერსად ვხედავ!),
შემინდეთ, თავხედ გულმა
ტრფობა რომ გაგიბედათ...

* * *

გულო, მოდი, დავივიწყოთ
ღამე მართლაც საოცარი,
სითბო დელგმად მოვლენილი
და თვალები სალოცავი,
მაგრამ გულო, ამაოა,
წინ ვერ აღუდექი ძალებს,
შენ – როგორც გსურს, მოიქეცი,
მე – ვერაფრით შევიცვალე!..
რობერტ ბერნსი

* * *

წვიმს... ჰო, ისევ წვიმს
და როგორც უწინ
ცრემლს მაგონებენ ციცქნა წვეთები,
მოგიხმობ, გელი, თუმცა ამაოდ,
შენ ჩემკენ აღარ მოიხედები...
წლები მოჰქრიან, წლენი, ო, წლები,
ვერ მოგაბრუნე უხმო ძახილით,
ახლა შენ მიხმობ; ჩვენ შორის დრო დგას,
დრო – ალესილი, ბასრი მახვილი...
დაგაგვიანდა! მიწაზე ისევ
მიდი-მოდიან წვიმის წვეთები,
ვიცი, მარტო ხარ და კვლავ მომიხმობ,
დასაკარგავად არ გემეტები!
და მაინც, უკვე ვეღარ მოგისმენ,
მე აღარაფრის არ მსურს გაგება,
სულ ამაოა, იმ სიყვარულის
კვლავ გახსენება და ქადაგება...
ნუღარ მეძახი, გადავიღალე,
ერთგულებით და უამინდობით,
დაგაგვიანდა ძლიერ, ძვირფასო,
დაგაგვიანდა, გესმის? – მშვიდობით!
თომას მური

* * *

რეკენ და რეკენ დაუსრულებლად,
თითქოს იხსნება ზღაპრის კარები,
კვლავ მახსენებენ ახალგაზრდობას
მწუხრის ზარები, მწუხრის ზარები;
ვგრძნობ, ჩაუვლია ბედნიერებას
და მხიარული ერთ დროს გულები,
საფლავში წვანან – სიმარტოვის თუ
ცხოვრებისაგან გათანგულები;
როს ჩემი წასვლის დადგება ჯერი
და ცივ სამარეს მივებარები,
კვლავ იმღერებენ სევდის სიმღერებს,
მწუხრის ზარები, მწუხრის ზარები...

უილიამ ბლეიკი

* * *

სიყვარული რა არის?
გრძნობა ღამისმთეველი,
ქარის ფრთებით დაფრინავს
ფრთხილი, შეუმჩნეველი;
როცა გულმა სიმღერა
წამოიწყო თავიდან,
ის თავნება ასული
სიზმარივით წავიდა;
თქმაც კი ვერ მოვასწარი,
სევდა არ მამყოფინა,
სიყვარული მარტოდენ
სატანჯველი ყოფილა!..
ედიტ სეგალი

* * *

მარგალიტის მძივებად
ბრწყინავს ფანჯრის მინაზე,
თითქოს, ციდან ჩამოჰყვა
ანგელოზის სინაზე
და უამურ შუადღით
ვიღაც არხევს ვერცხლის სიმს,
ვზივარ მარტო, გარეთ კი
უმოწყალოდ წვიმს და წვიმს...
პოლ დანბერი

* * *

ფრთამოტეხილ ფრინველს ჰგავს
დღე – ოცნების გარეშე,
უნაყოფო მინდორზე
ყინვა დუმს მოთარეშე.
ნუ, ხელს ნუ ჰკრავთ ოცნებას,
გეყოთ გამბედაობა,
ნატვრამკვდარი სიცოცხლე
მოჰგავს არარაობას...
ტენის ჰუდი

* * *

ჩვენი ხელები კვლავ შეხვდებიან,
არ შეხვდებიან ჩვენი გულები.
ო, მეგობრებო, ჟამთა სვლისაგან
ვართ სამუდამოდ დაკარგულები;
მიყვარდით, ჰოი, რარიგ მიყვარდით!
გეტრფოდით კრძალვით, მწამდა ყოველი,
იწვიმებს, ალბათ, თქვენთან შეხვედრას,
კვლავინდებურად აღარ მოველი;
ასე ყოფილა! ბედის განაჩენს,
მოდით, ნურასდროს დავემდურებით,
ჩვენი ხელები კვლავ შეხვდებიან,
არ შეხვდებიან მხოლოდ გულები!..

ანა ახმატოვა
(1889-1966)

აჩრდილი

„რა იცის ერთმა მარტოქალმა
სიკვდილის ყამზე?“ *
ო. მანდელშტამი

გამორჩეული ვარდისფერობით,
ბანოვანობით, ეშხით, სიმაღლით,
რისთვის მეჩვენე, წელთა სიღრმიდან,
რად მომაგონე პროფილი შენი,
კარეტის კარის მიღმა რომ კრთოდა.
ზოგთათვის იყავ თვით ანგელოსი,
ზოგთათვის კიდევ ფრინველი უცხო.
ხოლო პოეტმა ლელს შეგადარა.
და შენ კი ყველას, ყველას ერთბაშად
ბნედდი წამწამთა მწველთა სიმუქით,
დარიალელი ასული ნაზი.
ჰოი, აჩრდილო! შენ მომიტევე,
მაგრამ ტაროსმა, ნათლის მფლობელმა,
თან უძილობამ, თანაც ფლობერმა,
ნაგვიანევმა იასამანმა,
მე გამახსენა მშვენება შენი,
შენი უღრუბლო ცხრაას ცამეტი,
მზეთუნახავად შეგრაცხეს ოდეს!..
მე კი, ასეთი მოგონებები
აღარ შემფერის, აჩრდილო ვგონებ!

_____

* მთარგმნელის შენიშვნა:
იგულისხმება სალომე ანდრონიკაშვილი – პოეტის მეგობარი, შექებული ოსკარ მანდელშტამის მიერ.

წარწერა წიგნზე

„რასაცა გასცემ შენია...“
შოთა რუსთაველი

სადაური სად ვღაღადებ,
დამიტანა ზვავმა სადით!
მე გასაცემს კვლავაც გავცემ,
არც რა დამიკარგავს ამით.

საუკუნოდ ვრაზავ კარებს,
ზამთარი ვარ ახალა თითქოს,
მაგრამ მაინც მიწამებენ,
მაგრამ ჩემს ხმას ყველა იცნობს!

1959 წელი

* * *

პოეტი ადამი როდია – სულია ოდენ!
ბრმა იყოს თუნდაც ვით ჰომეროს!..
ყრუ – ვით ბეთჰოვენ...
ყველაფერს ხედავს უჩინოდაც,
უყუროდ ესმის ქვეყნად ყოველი, –
ის გრძნეულია,
ყოვლისმპყრობელი!

* * *

აქ დევნილობა პუშკინისა
იღებს სათავეს,
აქვე დასრულდა
დევნილობა ლერმონტოვისა.
აქ თავისუფლად ღაღანებენ
მთის ბალახები
და ერთადერთხელ შევესწარი
ტბასთან, დაისზე, ჩინართა ჩრდილში
როგორ განაბა სული მთა-ველმა,
და გაიელვეს ტურფა თამარის
უკვდავი მეტრფის
წყურვილით სავსე დიდმა თვალებმა.

1927 წელი,
კისლოვოდსკი

* * *

ეს შემოდგომა, ქვრივივით რომ
ტირის და გოდებს,
ალბათ იგონებს ქმრის ალერსს და
ვნებიან სიტყვებს.
და იმეორებს იმ სიტყვებს ქარი.
ასე იქნება, ვიდრე ღამით არ მოვა
თოვლი,
როგორც ნუგეში და როგორც ქმარი...
და მიაძინებს ცრემლებთან ომში.
თუ დაგავიწყებს ტკივილს და გვემას,
იქნებ სიცოცხლეც გასწირო და
იძინო თოვლში...

1921 წელი

* * *

როგორღაც მოხერხდა განშორება
და ღველფიც განელდა ადვილად.
ჯალათო ჩემო, დროა, მორჯულდე
და შეიყვარო ვინმე ნამდვილად.
მე კი ლაღი ვარ,
ცა მანდილად მომიხვევია
და ძილისპირულს მიმღერის მუზა,
დილაობით კი ჩიტუნები მომახარებენ,
რომ იმედებმა დიდებაში ჩაუშვეს ღუზა.
ლოცვად და ცრემლად აღარ ვღირვარ,
ჟამი დამდგომია ფოთოლცვენის.
შავი ქარები მეტყვიან სამძიმარს,
გულს გამიხალისებს ოქროსფერი.
და განშორებას მივიღებ ისე,
როგორც მალამოს ამ ჯავრისათვის.
მითხარი, სხვას თუ გაიმეტებდი,
ამ წამებისთვის, ამ ჯვარცმისათვის?

1921 წელი

ფრანს კაფკა (1883-1924)

ჰიბრიდი

ერთი უცნაური ცხოველი მყავს, ნახევრად კნუტი, ნახევრად – ციკანი. ეს ერთი სამემკვიდრო წილია მამაჩემის ქონებიდან. მაგრამ ის მაინც ჩემს დროს განვითარდა, წინათ უფრო ციკანი იყო, ვიდრე – კნუტი. თუმცა ახლა ორივესგან ნამდვილად ბევრი აქვს. კატისაგან თავი და ბრჭყალები, ციკნისგან სიმაღლე და ფორმა; ორივესგან – თვალები: ველური და ციმციმა; თმა-ბეწვი რბილია და მწირად დადებული, მოძრაობები, როგორც ხტომა, ასევე – მიპარვა. მზის ნათებაში ფანჯრის რაფაზე მრგვალდება და კრუტუნებს, მდელოზე კი მირბის, როგორც ველური და, ძნელად თუ დაიჭერ. კატებს გაურბის, ციკნებს სურს თავს დაესხას. მთვარიან ღამით სახურავის ღარი მისი უსაყვარლესი გზაა. კნავილი არ შეუძლია და ვირთხები სძულს. საქათმის გვერდით საათობით შეუძლია დადარაჯებულს წოლა, მაგრამ ჯერაც არ უსარგებლია მკვლელობის შესაძლებლობით. მე მას უტკბესი რძით ვკვებავ, იგი ხანგრძლივი ამოსუნთქვით ისრუტავს სითხეს მტაცებლის კბილებით. რაღა თქმა უნდა, ეს დიდი სპექტაკლია ბავშვებისთვის. კვირას, ნაშუადღევს სტუმრობის დროა. მე მზეცუნა სამიზნეზე მყავს და მთელი სამეზობლოს ბავშვები ჩემს ირგვლივ დგანან.

ამ დროს განსაცვიფრებელი კითხვები ისმება, რომელსაც ვერცერთი ადამიანი ვერ უპასუხებს: რატომ არსებობს ასეთი ცხოველი, რაღა მაინცადამაინც მე მყავს ის, მანამდე თუ არსებობდა ასეთი ცხოველი, როგორ იქნება ის სიკვდილის შემდეგ, მარტოსულად გრძნობს თავს თუ არა, რატომ არ ჰყავს კნუტები, რა ჰქვია მას და ასე შემდეგ.

მე არ ვირჯები პასუხებისთვის, ვრცელი განმარტებების გარეშე ვკმაყოფილდები მხოლოდ იმით, რომ ვაჩვენო ის, რაც მე მაქვს. ზოგჯერ ბავშვებს კატები მოჰყავთ – ერთხელ, სხვათა შორის, ორი ციკანიც მოიყვანეს. მაგრამ მათი მოლოდინის საპირისპიროდ „გაცნობა“ არ მოხდა. ცხოველები ერთმანეთს მშვიდად, შეჰყურებდნენ ნადირის თვალებით და აშკარად ორმხრივად იღებდნენ თავიანთ ყოფნას, როგორც ღვთაებრივ საქმეს. ჩემს წიაღში ნადირი არც შიშს, არც დევნის ნეტარებას იცნობს. ჩემზე მოკრული, თავს გრძნობს ნეტარად.უფრო ოჯახისკენ იჭერს, რომელმაც ის გამოზარდა. ეს, არა რომელიღაც უჩვეულო ერთგულებაა, არამედ ნამდვილი ინსტიქტი ცხოველის, რომ დედამიწაზე სახელდობრ უთვალავი ფეხმძიმობაა, მაგრამ ალბათ არცერთს სისხლით ნათესავი არ ჰყავს და, ამიტომ მფარველობა, რაც მან ჩვენთან იპოვა, წმინდაა.

ზოგჯერ იძულებული ვარ გავიცინო, თუ მე ფეხებზე მიკიდებს, ფეხებს შორის დაჰქრის და ჩემგან მოსაშორებელი სულაც არ არის. უკმაყოფილო იმით, რომ ის ციკანი და კატაა, სურს ლამის ძაღლიც იყოს. – ერთხელ, როცა მე, რაც დიახაც ყველას შეიძლება შეემთხვას, ჩემს ბიზნესსა და ყველაფერს, რაც ამაზე ჰკიდია, გამოსავლის პოვნა აღარ შეეძლო, ყველაფრის დანგრევა მოვინდომე და ამგვარ კონსტიტუციაში შინ საქანელა სკამზე ნადირით კალთაში ვიწექი, იქვე წვეთავდა, როგორც უეცრად დავინახე, მისი საშინელი წვერთმიდან ცრემლი. – იყო ის ჩემი, იყო ის მისი? – ჰქონდა ამ კატას ციკნის სულით ადამიანური პატივმოყვარეობაც? – ბევრი არ მიმემკვიდრია მამაჩემისგან, მაგრამ ამ სამემკვიდრეო წილს ვტოვებ საჩვენებლად.

მშფოთვარება ორგვარი აქვს თავის თავში, ზოგი კატისგან და ზოგი ციკნისგან, რომლებიც ასე განსხვავდებიან. ამიტომ თავისი კანი მისთვის ისე ვიწროა. – ზოგჯერ ხტება ის სავარძელზე, ჩემს გვერდით, ებჯინება წინა ფეხებით ჩემს მხრებს და თავისი დრუნჩი ჩემს ყურთან მოაქვს. ისე, თითქოს, ეს მე რამეს უნდა მეუბნებოდეს, და სინამდვილეში იღუნება ის შემდეგ და შემომყურებს თვალებში, შთაბეჭდილებას რომ დააკვირდეს, რადგან შეტყობინება ჩემთვის მოამზადა. და თავაზიანი რომ ვიყო, ვიქცევი ისე, თითქოს რაღაც გავიგე, და თავს ვიქნევ. – შემდეგ ხტება მიწაზე და ცეკვავს ჩემს ირგვლივ.

იქნებ ამ ცხოველისთვის ყასაბის დანა ხსნა იქნებოდა, მაგრამ მე მას, როგორც სამემკვიდროს, ამაზე უარი უნდა ვუთხრა. ამიტომ უნდა ველოდო, სანამ მას სუნთქვა თავისით წაერთმევა, თუ მე ის ზოგჯერ გამგები ადამიანის თვალებიდანაც შემომხედავს, რომელნიც გამგებ საქმეებს მოითხოვენ.

გერმანულიდან თარგმნა
ხათუნა პატაშურმა

„შენ, ნიჭო, ჩემო...”

თამაი ბაბიოშვილი

თამაში მზეზე – იქ, სადაც ცა-მეტია

„მე გავუძღვები წინ სილამაზეს, ჯვრიდან
რომ მოჩანს და გულს აქანებს.
. . . . . .
ეს ხომ მამულის სიყვარულია,
ეს ხომ სამშობლოს სიხარულია.”
ლიზი ბუდაღაშვილი

ლიზის შემოქმედებაზე წერას რომ ვაპირებ, ვფიქრობ, ძალიან დიდი, თეთრი ფურცელი ავიღო, რადგან ძალიან ბევრი რამე მექნება დასაწერი. ამასვე ვფიქრობ ლექსის ან ზღაპრის დაწერის წინა წამებშიც, მაგრამ ხშირად ისე ხდება, რომ ლექსიც და ზღაპარიც ძალიან მოკლე გამომდის. ისეთი მოკლე, რომ... გორის მწერალთა კავშირის შემადგენლობას, ახალბედა პოეტი გოგონა ჩემი პატარა ლექსებით რომ გამოვეცხადე და თანდათან მათი კიდევ შემოკლება რომ დავიწყე, შემოქმედებითი გაერთიანების ხელმძღვანელმა, დიდმა ადამიანმა – პოეტმა და დრამატურგმა ვაჟა დადიანიძემ მკითხა, რა ხდებაო. მე ვუთხარი, რაც მთავარია, იმას ვწერ, დანარჩენზე, რაც ამ სიტყვების და აზრების იქით იგულისხმება, მკითხველმა იფიქროს-მეთქი. – ბარემ ცარიელი ფურცელი მოგვიტანე და ყველაფერს ჩვენ თვითონ ვიფიქრებთო – გულიანად გაიცინა. ეს, რა თქმა უნდა, შესანიშნავი და თან გენიალური ხუმრობა იყო. – ჩვენ, მკითხველებს შენი ფიქრის გზაც გვაინტერესებსო, – მითხრა.

კარგით, დავიწყოთ „ფიქრობანას თამაში“:

„ეს ცხოვრება თამაშია...
მოდი ერთად ვითამაშოთ...“
„ეს ცხოვრება დადგმაა,
სპექტაკლია დიდი...
ნუთუ ამას ვერ ვხვდებოდით?
რა როლი გაქვს, იცი?“

– ამას ფიქრობს ლიზი ბუდაღაშვილი, რომელიც ამჟამად, 2013 წელს, მხოლოდ 13 წლისაა (დაბადებულია 13 მარტს); თუმცა ამასვე ფიქრობენ მოხუცებიც, როცა გალევენ სიცოცხლის გზას – ყველაფერი თამაში ყოფილა... ჩვენ კი რა სერიოზულად ვუყურებდით ყველაფერს; რამდენს ვწუხდით და ვნერვიულობდითო.

„შენ იყავი ბავშვი, შენ იყავი სუფთა,
და ამასთან ერთად ტყუილების გუდაც;

ეს ბავშვური სისუფთავე ბადებს ჭეშმარიტებას, რომელსაც ადვილად სწვდებიან პატარა ბავშვები და „დიდი ბავშვები”. ლიზის ძალიან უყვარს პატარა თოჯინები. თავის ოთახში სათამაშოებისთვის პატარ-პატარა სამფლობელოები მოაწყო, სადაც ისინი ლიზისთან ერთად ცხოვრობენ – თამაშობენ ფიქრობანას:

„ლამაზია ჩემი სამყარო
ტბაში მოცურავე გედებით;
ლამაზია ჩემი პალიტრა,
მასზე მრავლადაა ფერები...“
„ლამაზია ჩემი მელოდია,
ვარდს ხომ ლამაზი აქვს ეკლებიც;

ლამაზია ჩემი სათამაშო,
ცეცხლზე მოგიზგიზე ენებით...
ლამაზია ჩემი სამეგობრო
დიდი და გაშლილი ფესვებით.”

„ლამაზია ჩემი საქართველო... სულმთლად ლამაზია სიცოცხლე...“ – ამბობს ლიზი და ამით, ერთგვარად, გვასწავლის კიდევაც, ვიფიქროთ სწორად: „ჩემთვის ყველაფერი ლამაზია!“ – სილამაზის დანახვა, აღმოჩენა და მისით აღტაცება შევძლოთ.

განსაკუთრებით ამაღლებული და ამაღელვებელია ლიზის ,,საუბრები დედასთან”:

„– დედა, ძალიან მეხმარები,
ყოველთვის მეყვარები!..“
„მაპატიე, რომ შენსავით გზა ჯერ ვერ გავანათე, მაგრამ ვეცდები, ვეცდები...“

მომავალი თაობებისათვის მისაბაძი იქნებოდა ლიზის სათუთი დამოკიდებულება დედისადმი. დღეს ბევრი მშობელია (ზოგადად, ადამიანი) მიტოვებული არა მარტო შვილებისგან, არამედ ყველასგან. როცა ადამიანს, შვილის სახით, ეგულება მარადიული, სანდო მცველი და საყრდენი, დამერწმუნებით, ეს დიდი წყალობა და ბედნიერებაა:

„ლამაზ კენჭებს მოგართმევ,
თან სულ ფერად-ფერადებს
და შენს სუფთა ოცნებებს
მალე გაგიფერადებ...
„... კიდევ ერთხელ მაკოცე
და არასდროს იფიქრო,
რომ იქნები შენ მარტო...“

ეს ნათელი გრძნობა ჩირაღდანს ჰგავს, მთელ ცხოვრებას რომ ანათებს და ადამიანს კეთილმსახურებისთვის განაწყობს:

„დრო ისევ ქარგავს,
თითქოს შენ გბაძავს...
მაგრამ ისეთი ნაქარგი
არ გამოსდის, როგორიც შენია,
რადგან უკიდეგანო სიყვარული
მხოლოდ შენშია!
დედა...“

გაიხარე, დედა, ასეთი მადლიანი სიყვარულით რომ აავსე პატარა ლიზის გული; გული, რომელიც დედის სიყვარულიდან ქართლის დედის და ღვთისმშობლის წილხვდომილი სამშობლოს სიყვარულამდე გაიზარდა.

იქვე – „მინდა, რომ მუდამ ვრეკავდე სამოთხის წმინდა ეჟვანს.“...

ლიზი ბუდაღაშვილი თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის მე-8 კლასის წარჩინებული მოსწავლეა. მაღალი აკადემიური მოსწრების გამო სკოლამ ნება დართო, ერთი აკადემიური კლასი ექსტერნად ჩაებარებინა. სკოლის დირექტორი – მამუკა მესხიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წარმატებულ მოსწავლეს და იზიარებს მის ყოველ გამარჯვებას. ლიზიმაც იცის, რომ ნამდვილი მამულიშვილი, პირველ ყოვლისა, ცოდნის საგანძურს უნდა ეზიაროს.

„დიდი მრავლისმეტყველი სიტყვაა ეს მუსიკა, არა?.. ფორტეპიანო და როიალი ერთნაირი ფენომენია. როიალის ჯადოსნური ბგერები ხავერდოვანია, ვიდრე რიგითი ფორტეპიანოსი. როიალი ისეთი დახვეწილი, ისეთი არისტოკრატიულია... („მე და ჩემი ფორტეპიან“) – ამბობს ზ. ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელის (ნიჭიერთა ათწლედის) მე-7 კლასის მოსწავლე. პროფესორ ალექსანდრე გარბერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლიზი ამჟამად უკვე 4 საერთაშორისო პიანისტთა კონკურსის ლაურეატია. პარალელურად, ამავე სასწავლებელში ეუფლება კომპოზიციის ხელოვნებას კომპოზიტორ მერი დავითაშვილის ხელმძღვანელობით; წერს მუსიკალურ ნაწარმოებებს. ამასთანავე, ლიზი სწავლობს საქართველოს რესპუბლიკურ სამხატვრო სასწავლებელში, პედაგოგ გულო მაჩაიძის კლასში. ლიზი მადლიერებით იხსენებს ყველა პედაგოგს, ვინც კი აზიარებს მეცნიერებისა და ხელოვნების ღრმა საიდუმლოებებს.

ლიზი მრავალ სამხატვრო გამოფენაში მონაწილეობდა. განსაკუთრებით საინტერესოა საპატრიარქოს მიერ გამართულ კონკურსებზე შექმნილი მისი რელიგიური ნამუშევრები:

„ლამაზია ჩემი ისტორია,
როგორც დახუნძლული მტევნები;
ლამაზია ჩემი მონატრება,
უკან მახედებენ ფრესკები.“

ფუნჯის თამამი მონასმებით, ფერთა თამაშით, იდეურად გამართული ლიზის „სუფთა ნამუშევრებ“ მისსავე ფილოსოფიურ მინიატურაშიც „დიალოგი მხატვართა“ არის გამოფენილი:

„მომკალი, მაგრამ ხელით არა, ფერით მომკალი... მთხოვე, ოღონდ დაჩოქვით არა, ფერით მთხოვე; შემისრულე, ოღონდ საქმით არა, ფერით შემისრულე; მამოგზაურე, მაგრამ ტრანსპორტით არა, ფერით მამოგზაურე“..

კითხულობ ლიზის „ფაიფურის თოჯინა“ და ფიქრობ, ადამიანებიც ხშირად ამ თოჯინებივით არიან – გაშეშებულნი, ცივი, უემოციო, გაყინული სახეებით და არაფრის და არავის დანახვა არ შეუძლიათ. გაიღიმეთ, ადამიანებო, „იგრძენით სამყაროს არსებობა“! ლიზი 8 წლიდან წერს. იგი პოეზიისა და ლიტერატურის 4 საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია.

„წინ დიდი გზაა... როგორ გავივლი ამ გზაზე? ვალმოხდილად? ისე, როგორც ღვთის შვილს შეეფერება? მე მოვინდომებ, შევეცდები, ვიცხოვრებ ისე, რომ ჩემი ყოველი დღე უკანასკნელს ჰგავდეს, რადგან მჯერა, რომ თუ ასე ვივლი, ეს გზა არ დამთავრდება.”.. („ჩემი ცხოვრების გზა“)

დალოცვილი იყოს ძვირფასი – პოეტური, ზღაპრული, მუსიკალური თუ ფერწერული თვლებით აკიაფებული ლიზის ცხოვრების გზა და მისი სამკითხვიანი გამოცანაც სწორად ამოხსნილი:

„თუ გინდა, ახლა მე ვატარებ, მომეცი!
– რატომ?
– ვიცი, რომ მძიმეა, გეტკინება კისერი!
– და როგორ მოგცე?
– ჩვეულებრივად... უბრალოდ გამანდე!
– არა! არა! ვერ გეტყვი... ისევ მე ვატარებ!
– კარგი, როგორც გინდა.
– და შენი მომეცი!
– არა, იყოს ჩემი მსუბუქია;
– ყველა?
– კი, ყველა.
ავტორი – რაზეა საუბარი???“

P.S. წერილი ის იყო დავასრულე, რომ ლიზიმ ახალი ზღაპრები წამაკითხა. იმდენად მომეწონა, სურვილი გამიჩნდა, თქვენც გაგიზიაროთ და მოგილოცოთ, რომ ქვეყნიერებას კიდევ ერთი ლამაზი მეზღაპრე – ლიზი ბუდაღაშვილი შეემატა! ამჯერად გთავაზობთ ლიზის ერთ ზღაპარს.

როგორ გაჩნდა ზღაპარი

დიდი ხნის წინათ, აქედან ძალიან შორს არსებობდა ულამაზესი ქვეყანა, სადაც მხოლოდ საოცრად კეთილი არსებები ცხოვრობდნენ: ფერიები, ელფები, ჯუჯები, დევები, პრინცესები, პრინცები, მფრინავი ცხენები, დრაკონები, მოლაპარაკე ცხოველები და ა.შ. ამ ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდა, არავინ არავის ეჩხუბებოდა, არავის მტრობდა და ცხოვრობდნენ ტკბილად და ბედნიერად. ფერიების დაბადების დღის აღსანიშნავად ცაზე ცისარტყელა გამოჩნდებოდა ხოლმე. ამ ლამაზ ქვეყანაში ყველას საკუთარი სახლი ჰქონდა. აი, მაგალითად ფერიები შაქარყინულის სასახლეებში ცხოვრობდნენ, ელფები – ყვავილებში, ჯუჯები – პატარა ქოხებში, პრინცესები და მფრინავი ცხენები ბროლის სასახლეებში. ამ ზღაპრული ქვეყნიდან ძალიან შორს არსებობდა ბოროტი დედოფლის სამფლობელო. მისი ერთადერთი და აუხდენელი ოცნება ზღაპრული სამეფოს

დაპატრონება იყო. მას სურდა, რომ იქაურობა ხელში ჩაეგდო, ზღაპრული არსებები მოსამსახურეებად გაეხადა და თვითონ ამ ქვეყნის დედოფალი გამხდარიყო, მაგრამ ეს ოცნება ვერა და ვერ აეხდინა.

ერთ დღესაც ბოროტმა დედოფალმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ გამგზავრებულიყო ზღაპრულ ქვეყანაში, იქ თავისი ჯადოქრობით დაპატრონებოდა მას, გაბატონებულიყო და საკუთარი, ყველასგან მივიწყებული ჩაშავებული ბოროტების ქვეყანა სამუდამოდ დაეტოვებინა. გამგზავრებამდე მან კეთილ არსებებს შეტყობინება გაუგზავნა, რომლებმაც ამ ამბის გაგების შემდეგ საბრძოლო ჯარის შეგროვება გადაწყვიტეს. ჯარში მიდიოდა ყველა, ვისაც კი ძალა და ღონე ჰქონდა: პრინცები, ჯუჯები, დევები, ძლიერი ვეფხვები და ბაჯბაჯა დათუნიები... ბოროტ დედოფალს თავიდან ჯარმა წინააღმდეგობა გაუწია და ქვეყანაში არ შეუშვა. ამის შემდეგ გაოფორებულმა დედოფალმა თავისი ჯადოქრობით მოინდომა მათი დამორჩილება; მან კარგად იცოდა, რომ ეს კეთილი არსებები ბოროტებას ბოროტებით არ უპასუხებდნენ და აუცილებლად დამარცხდებოდნენ. მართლაც მან შეძლო ყველას მოჯადოვება, შემდეგ გადაშალა ერთი სქელი, ცარიელი წიგნი და ყველა შიგ ჩასვა. მხოლოდ ერთი თეთრი მტრედი შემთხვევით გადაურჩა ჯადოქრის კლანჭებს. იგი ერთადერთი მოწმე გახდა თავისი მომმეებისთვის ამ საშინელი განაჩენის გამოტანისა. ...ბოროტ დედოფალს მტრედის გადარჩენა არ შეუნიშნავს; წიგნი კი ფერიების სასახლეში საიმედო ადგილას ჰქონდა შენახული, ყოველ დილით აკითხავდა მას, გადაშლიდა, ათვალიერებდა და ამ დროს მისი საშინელი, ამაზრზენი ხარხარი ქვეყნიერებას აყრუებდა. ჯადოქარმა თავისი ბოროტების ქვეყნიდან აქ საცხოვრებლად მეგობრებიც შემოიერთა და ასე გადიოდა დრო. წიგნში დამწყვდეულმა ზღაპრულმა არსებებმა კი იქ განაგრძეს კეთილი საქმეების კეთება.

მტრედს გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ეფრინა ძალიან შორს დედამიწისკენ და იქ მცხოვრები ბავშვებისთვის ეცნობებინა ამ წიგნის არსებობის შესახებ; იქნებ ბავშვებს თავიანთი ცოდნით მოეხერხებინათ დახმარება და ამ ჯადოქრობისგან ქვეყნის განთავისუფლება.

გადიოდა დღეები, თვეები, წლები, მაგრამ ზღაპრულ ქვეყანაში ბოროტ მეგობრებთან ერთად დარჩენილი ბოროტი ჯადოქარი, არა და არ კვდებოდა. თავის თავს ჯადოქრობით იახალგაზრდავებდა. შორს გაფრენილი მტრედი კი არადა არ ჩანდა. ამასობაში დედამიწაზე გაჩნდნენ ძალიან ჭკვიანი ბავშვები, რომელთაც შეეძლოთ თავიანთი ცოდნით და ჭკუით გამარჯვებების მიღწევა. მათ დასახმარებლად ბევრი აკითხავდა. და აი, მტრედმაც, დაღლილ-დაქანცულმა, როგორც იქნა, მიაღწია მათთან. ბავშვები დაადგნენ ზღაპრული ქვეყნის გზას და ცოდნითა და გამჭრიახობით შეძლეს იქამდე მიღწევა. ბავშვები ზომით იმდენად დიდები იყვნენ, რომ სასახლეში, სადაც ადრე ფერიები ცხოვრობდნენ, ერთი ხელი ძლივს ეტეოდათ. ამიტომ ბოროტი დედოფლის დამწყვდევა არ გასჭირვებიათ. დაატყვევეს ბოროტი დედოფალი და აიძულეს თავისივე ჯადოქრობით გაენთავისუფლებინა წლობით წიგნში ჩამწყვდეული არსებები; მაგრამ დედოფალი იმდენად ბოროტი აღმოჩნდა და იმდენად არ სურდა ამის გაკეთება, რომ მოტყუებით თავის ბოროტ სულებთან ერთად თვითონაც ჯადოქრობით იმ წიგნში შეძვრა სამუდამოდ და განთავისუფლების გასაღები თან წაიყოლა.

გაწბილებულმა ბავშვებმა ეს დიდი ზღაპრის წიგნი დედამიწაზე წამოიღეს.

სწორედ ამიტომაა ზღაპრებში კეთილისა და ბოროტის ბრძოლა – იქ ჩამწყვდეულ კეთილ არსებებს გამუდმებით სიბოროტე რომ ებრძვის. მათი ერთმანეთთან ურთიერთობის ყოველი ამბავი – ერთი ახალი ზღაპარია. თეთრი მტრედი კი თავს დასტრიალებს დედამიწას, ზოგჯერ ინფორმაციების გადატანასაც ანდობენ – იგი ხომ საოცრად ერთგული და კეთილია. ზღაპრებს კი ბავშვები ინტერესით ეცნობიან – ეს ხომ იმ შორეულ ქვეყანაში სინამდვილეში მომხდარი ამბებია ბოროტთა და კეთილთა ცხოვრებიდან.

თემურ ჩალაბაშვილი

ამას სჯობია

ისეთი გული რად გინდა,
გქონდეს და არა გტკიოდეს,
ისეთი თვალნიც დავსილან,
ცრემლი არ ჩამოსდიოდეთ.
ისეთი ხმალი რად გინდა,
მტერთან შეყრა არ შიოდეს,
ისეთი შვილი რად გინდა,
სამშობლო არა სტკიოდეს,

ისეთი ცხენი რად გინდა,
ლაშქარში არა ხვიოდეს,
ისეთი მეფე რად გინდა,
მხედართ არ მიუყიოდეს.
ისეთი მიწა რად გინდა,
სხვის ხელში გადადიოდეს.
ამას სჯობია, ქართველი
სამზეოს არ დადიოდეს.

მწერალი სიკეთის შუქით...

.

საბავშვო მწერალი დოდო ხიმშიაშვილი 90 წლისაა. ამ თარიღთან დაკავშირებით გამომცემლობა „ბაკმა“ დასტამბა მისი მოთხრობების კრებული „ყოჩივარდები“, რომლის შესავალშიც მწერალი გვეუბნება: მთელი ცხოვრების მანძილზე, თუგინდ სულიერი მერყეობის ჟამსაც კი სწორედ ბავშვობის ნათელი მოგონებები ეწინააღმდეგებიან ადამიანის სულის დამანგრეველ ძალებს... სწორედ ისინი არიან ფუძემდებელი სიკეთისა, რაც ადამიანს აფხიზლებს და აგრძნობინებს, რომ კიდევ შეუძლია სიკეთე აკეთოს, შეეწიროს იქ, სადაც საჭირო და არაადამიანურ საქციელს გაეცალოს...

სწორედ ასე იცხოვრა ღვაწლმოსილმა მწერალმა, 1942 წლის ავჯანყების თაოსნის, ეროვნული გმირისა და ნიჭიერი მწერლის კოტე ხიმშიაშვილის დამ. კოტე ხიმშიაშვილი 1942 წელს დახვრიტეს და სწორედ დოდო ხიმშიაშვილის თავგანწირვის შედეგად იგი რეაბილიტირებული იქნა სიკვდილის შემდეგ.

მწერალთა ეროვნულმა აკადემიამ დოდო ხიმშიაშვილს მწერალთა სახლში საგანგებო შეხვედრა გაუმართა და მისი იუბილე აღნიშნა.

თორნიკე ნარიოზაული

თორნიკე ნარიოზაული დაიბადა 1994 წლის 15 ივლისს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში. წარმოშობით ხევსურია, არხოტიდან.

დაამთავრა თბილისის 89-ე საჯარო სკოლა, სწავლის გაგრძელებას აპირებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ძვირფასო მარიამ

ძვირფასო მარიამ, როგორ ბრძანდებით?
არ მოგიწერიათ რამდენი ხანია,
თბილისში აპრილი დაგვიდგა თავდებით,
და როგორც ქუჩაში,
სულშიც წვიმს, მარიამ.
ელვაა ზეცაში, ჭექა და ქუხილი,
ქალაქი წვიმების სურნელით მთვრალია,
მე თქვენი დაკარგვის მომაწვა წუხილი,
ამიტომ მოგწერეთ, ძვირფასო მარიამ.
გავბედე და ლექსად მოგწერეთ თავხედმა,
დრომ ჩემი ცხოვრება რა რიგად არია,
დილით კი თქვენი თმა
საწოლზე არ მხვდება,
არც თქვენი სიცილი არ მესმის, მარიამ.
რამდენჯერ სიკვდილის სუდარა ვითხოვე,
ეს ალბათ ბავშვური სისუსტის ბრალია,
ყოველღამ თვითმკვლელი ფიქრები მიხმობენ,
ყოველღამ ვკვდები და ვცოცხლდები,
მარიამ!
წვიმს, როგორც იმ ღამით,
ჩუმად, რომ გითხარით,
ჩურჩულით – მიყვარხარ,
მიყვარხარ მარიამ,
მერე თქვენ წახვედით,
დასრულდა სიზმარი,
მე ქუჩას გავყევი, სველსა და ქარიანს.
ძვირფასო მარიამ,
თქვენს მანდილს ვინახავ,
ნიავს არ ვაკარებ, სულ თავზე ვევლები,
ნუ დარდობთ, ტკივილი
მე ბევრი მინახავს,
წვიმს, როგორც იმ ღამით
გეგონათ ცრემლები.
მერწმუნეთ არ ვტირი,
არ ვტირი მარიამ,
ჩემი ხსნა ქრისტეა და მისი ჯვარია!

მივდივარ

ვემშვიდობები ჩემი სოფლის
ყველა შარაგზას,
ყველა სულიერს თუ უსულოს,
ყველა არსებულ,
ან არ არსებულ (ჯერ) მომავალ
დროის თანამგზავრს,
და ვტოვებ სოფელს, ცის დაღვრილი
ცრემლით ავსებულს.
მივდივარ, მშვიდად მივუყვები
კაკლის დერეფანს,
უკან წარსული ამედევნა,
თითის წვერებზე,
მომდევს... მივდივარ... მივდივარ და
ცრემლი მერევა,
მინდა გავიქცე ფეხშიშველი
ცვრიან ველებზე.
გადავირბინო დედამიწა, მზეს დავეწიო,
თმაზე მოვქაჩო, ავუწითლო
სიმწრით ღაწვები,
მერცხლის ბარტყივით ავფრთხიალდე,
ზეცას ვეწვიო,
მერე? – მერე საფლავშიც უხმოდ ჩავწვები!
მაგრამ მივდივარ, და მხოლოდღა
ფიქრად მომყვება,
ეს ოცნებები სიყმაწვილის –
ანუ ბალღობის
(ჩვილის გაბმული ტირილივით
ზედ რომ მომება),
მივდივარ, რადგან აქ დარჩენის
ძალა არ მყოფნის.

არ ვიცი

„...მე რომ გაფრენა არ შემიძლია,
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“...
ტერენტი გრანელი

ვერ ვწვდები ზეცას, ირგვლივ ნისლია,
ვერ გავურბივარ უხმო წამებას,
მე რომ სიკვდილი არ შემიძლია,
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.
უცხო ვარ, უცხო ცათა მხარეში,
მზე ქოფაკივით დაგეშილია,
უფალო, დავრჩი მე შენს გარეშე –
სულ ცარიელი და მეშინია.
წვიმს თვალებიდან, დაუშრეტელად
ცრემლები, და ხელს ვეღარ შევუშლი,
სისხლი ძარღვებში აღარ მეტევა,
აღარ მეტევა სული სხეულში.
არის სიბნელე, არის წამება,
ცხრამზისთვალები ვეღარ მიცვნია,
და იქნებ ნიშნავს გარდაცვალებას,
შენთან მოსვლა რომ არ შემიძლია.
ვით ეშაფოტზე – ვდგავარ სტოვაში,
ანგელოზების თავსხმა წვიმაში,
მარტო ვარ მე – ჩემს სიმარტოვეში,
„და კვლავ მარტო ვარ
მე – ჩემს წინაშე.“
ციდან დახოცილ ბავშვებს ისვრიან,
თითქოს ჯვარცმულის ტკივილს
განვიცდი,
და მე რომ სუნთქვა არ შემიძლია,
ეს რა ჯანდაბას ნიშნავს, არ ვიცი.

ერთი დღის დღიური

მზეა.
ცა ცისფერია.
ღრუბელი თეთრი.
დილა.
ოთხშაბათი.
ოთხი აპრილი.
სახლმა გაახილა თვალები და პირი
დააღო, ავდექი. შევტრი –
ალდი აღმოსავლეთით,
ვლოცულობ ლოცვებს.
მრცხვენია ჩემი შესვარული
აზრების გამო.
ლოცვას ვამთავრებ, იმედით, რომ
ის ძალას მომცემს,
ვინც მიწა მოგვცა,
სამოთხიდან გამოგდებულებს.
ვუყურებ ოთახს. დავიღალე.
გავდივარ გარეთ. ვეფერები
მეზობლის ძაღლებს.
ფეხებთან გული დამივარდა. დავიხარე.
ვერ მოვასწარი (ძაღლებმა დაღრღნეს).
ვბრუნდები სახლში.
ვეფერები ნარცისებს. ვეძებ.
ვკითხულობ – გრანელს, ამაღლობელს,
ვიიონს, პეტეფს...
მზეა.
ცა ლურჯია.
ღრუბელი შავი.
დღესაც მიწაზე მიწევს დარჩენა,
ვგრძნობ, მის წინაშე ვარ დამნაშავე,
ვინც – მიწა, მზე და
ძეც კი მოგვცა გადასარჩენად!

სულის სიმღერა

ვდგავარ შენს წინაშე,
ამ თავსხმა წვიმაში,
და თითებს მლოცველი
ქალივით ვაერთებ,
წვეთები ჩამდიან თმებიდან ყვრიმალში,
მზეო თიბათვისავ! ამოდი! აენთე!
რამეთუ ვაშენებ აკლდამებს, საშინელ
ღამეებს უშენოდ არ უნდა გავუძლო!
წვეთები დამკლავენ, დამკლავენ მაშინვე,
როგორც კი თეთრ იებს
მუხლებზე დაგიწყობ.
განსრულდა წვიმაში ლოცვები ასულთა,
და შენი თვალების მზეები ქრებიან,
(ჯვრიდან უყურებდა
და მაინც არ სძულდა,
ეს მისი ცრემლებით ნაკვეთი შრეებია.)
დავმალე ხელები ჯიბეში, ხველებით
მივყვები სახლისკენ ქვაფენილს,
წვიმიანს,
ფეხებს მიკოცნიან იესოს მკვლელები,
ალბათ ოცდაათი ძალიან ძვირია.
გააღე კარები! ხალათის ამარა,
მძინარე თვალებით მინდა, რომ
მხედავდე,
გამოდი! დატოვე, ეგ ბნელი სამარე!
მე ვარ ამ წითელი მერანის მხედარი.
დაძლიე შიში და ხელახლა იშვები,
ბაგეს დააფარე სიწმინდის ბინდები,
წამოდი! სივრცეთა მგოსანი გიშველი,
სიცოცხლის მახვილით დაგიცავ,
გპირდები!

დაღლილი თვალები, მიწამდე დახრილი,
მეძავის ნაყიდი სიწმინდის მაგიერ,
ნამცეცებს ეძებენ, მშიერი ძაღლივით
და მერე საკუთარ ნამცეცებს დაგვიან.
ყელამდე სავსე ვარ სიკვდილის იმედით,
იქ ჩვენი შვილების სულები გველიან,
ჩამოდი ღრუბლიდან,
აქ არის.
მივედით.
შეხედე! ეს კაცი სამოთხის მცველია.
ჩაიცვი ეს ზეცა, ბეჭებზე მოიცვი,
მე სხივებს მოვიტან და
კოცონს დავანთებ,
სანამ მამაჩვენი ჩვენთვის არ მოიცლის,
აქ ყოფნა მოგვიწევს მანამდე.
ელვარებს კოცონი, კივის და შრიალებს,
მე თითებს მლოცველი
ქალივით ვაერთებ,
– შემინდე, უფალო, თუ დავაგვიანე,
სხეულში ვიყავი და ცოტა გავერთე.

წასვლა

დგანან დევებივით კორპუსები,
არ გვაქვს ბედნიერი დასასრული,
ზოგჯერ ისე ძლიერ მომსურდები,
აღარსაითა მაქვს წასასვლელი.
თვალნი ზეცის იქით გადივლიან,
მხოლოდ ცრემლები თუ გამაჩერებს,
მოსვლა ხომ ყოველთვის ადვილია,
წასვლა – სასიკვდილო განაჩენი!
ტუჩზე ცრემლისფერი მძივებია,
თვალიდან ტკივილით მოცელილი,
„მარტოს არასოდეს გძინებია,
ჩემი ნეკნისგან ხარ მოზელილი.“
ყელზე ჩემი სუნთქვა გამჩნევია
(კიდევ ბევრგან იყო დასამჩნევი),
შენ იცი, გაქცევა არ მჩვევია,
მაგრამ აღარსად მაქვს დასარჩენი.
ჰაერი ნოსტალგიით დაინაღმა,
თვალები ცრემლებით დამიმძიმდნენ,
ამ ტკივილს ვერაფრით დაინახავ,
ამ ტკივილს უნდა განიცდიდე!
სულს
თურმე
გაფრენა
სდომებია,
დამჭკნარი
ხორცისაგან
განსხვავებით,
ცრემლები დახოცილი გრძნობებია,
თვალებში მოკიაფე ვარსკვლავები.
დგანან დევებივით მომხდურები,
არ გვაქვს ბედნიერი დასასრული,
ზოგჯერ ისე ძლიერ მომწყურდები,
აღარსაითა მაქვს წასასვლელი.

* * *

სულში წვიმს,
გარეთ შეიძლება დარიც არი,
სულ შიში?
გეყოფა!
შენი საქართველო დაიცავი!
ქარი ქრის
(როგორც გალაკტიონს უხაროდა...),
დავიწვი უშენობით, უფალო, და..
დამეწვა მამა-პაპათ ადათები,
სისხლით შენახული ტრადიცია.
გავცვალო სხვაში ჩემი ცა და მთები?
სხვებმა სიყვარული სად იციან?
სხვებმა სად იციან რუსთაველი
(ბნელაა? ჭკუა და გონი დაილია?)?
სხვები არ არიან უკვდავები,
რადგან არ ჰყოლიათ მათ ილია,
რადგან არ ჰყოლიათ მათ ჩოხელი,
რადგან არ ჰყოლიათ დადიანი.
დიდოსტატის რად ღირს მარტო
ხელი?!
რად ღირს მარტო ანტონ
მარტყოფელი?!
სხვები მკვდარ შვილებზე დადიან და...
უყვართ (რას იზამენ), სიარული,
ფეხებზე ჰკიდიათ ტრადიცია,
სხვებმა არ იციან სიყვარული!
სხვებმა სიყვარული არ იციან!
სულში წვიმს,
გარეთ შეიძლება დარიც არი,
სულ შიში?
გეყოფა!
შენი საქართველო დაიცავი!
შენი ადათები დაიცავი!
შენი მიწა-წყალი დაიცავი!
შენი ცა და მთები დაიცავი!
და იყავი.

მზე აცილებდა

„...შემომთავაზა ხელმკლავი ფიქრმა“
თამაზ სანებლიძე

2006 წლის ოქტომბრის მიწურული იყო, მის ლექსებზე დაწერილი ჩემი მოკრძალებული სცენარი მოიწონეს და დღის სინათლეც იხილა... მერე ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა; ღონისძიების მონაწილეებმა, მაყურებელმა, დამდგმელმა-რეჟისორმა (ბატონი გრიგოლ ჩიგოგიძე)... კმაყოფილებით დატოვა დარბაზი; ფუშეტზე არ დავრჩი... საღამოს, მოგვიანებით, ნანამ საყვედურებით ამავსო, ერთი წუთითო და ყურმილი ახლა მეუღლეს გადასცა; მანაც არ დააყოვნა... თუმცა, ეს უკვე პოეზია გახლდათ: „...სარკეებიანი დარბაზის – სარკის ყველა ნატეხში გეძებდი, სად დამეკარგე?!“

ვიცი, ყველას თავისი მოსაგონარი ექნება ამ პიროვნებისადმი; საკუთარი დამოკიდებულება ბატონ თამაზ სანებლიძის შემოქმედებისადმი...

... მაღალი, წარმოსადეგი კაცი იყო; თბილისურ-ინტელიგენტური, დასავლურ-იმერული, კეთილშობილი ღიმილითა და უთბილესი მზერით... ექიმი და პოეტი, კარგა ხნის მანძილზე „ვრცელი საავადმყოფოს“ ხელმძღვანელი...

მის ლექსებზე სიმღერები შექმნეს ქალბატონემბმა: მარიკა კვალიაშვილმა, რუსუდან სებისკვერაძემ, ლილიკო ნემსაძემ, ბატონებმა – ვაჟა აზარაშვილმა, ჯარჯი მაღალაშვილმა...

მისთვის თბილ სიტყვებსა და მზარში დგომას არ იშურებდნენ ბატონები: ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ დოჩანაშვილი, ზაურ გომართელი, იური ჩაჩხიანი... სხვები და სხვები.

ქალბატონი ლამარა კიკილაშვილის თაოსნობით, საქართველოს რადიომ ვრცელი გადაცემა მოამზადა, რომელშიც მისი სათაყვანებელი პედაგოგი ქეთევან ანანიაშვილი და პოეტი, ლიტერატორი, ქალბატონი თამარ ჯავახიშვილი მონაწილეობდნენ.

პოეტის ლექსების კრებულის „თბილისს“ – ბოლოსიტყვაობაში ქალბატონი თამარი წერს: – „თუკი ჩვენმა დრომ – ასე წამხდარმა, დაბნეულმა და უსახურმა – ასეთი სუფთა და თავნაკარა სიყვარულით სავსე პოეზია აღმოაცენა, ჩანს კიდევ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ქართველები ერთმანეთს ვიპოვით, რომ ღმერთი მართლაც არ გაგვწირავს. ერთიც – თამაზ სანებლიძეს, როგორც პოეტს, თავისი კუთვნილი ბეწვის ხიდი გავლილი აქვს და, ვფიქრობ, არაერთხელ კიდევ გაივლის ასევე ღირსეულად“.

თამაზ სანებლიძე

ვწერ... არ ვჩქარობ... ხანდახან თვალი რაღაც უმისამართო წერტილისკენ მიშტერდება; ამასობაში წერტილი დიდდება და წრიულ დისკოს ემსგავსება, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლებიან პოეტის ლექსებიდან გამოპარული სტრიქონები: „ერთი თბილი სიტყვა თქვი და ჩემი გული შენია“... „რაც დავთესე, იმას ვიმკი, გულცელქი და თმაჭაღარა“...

თვალნათლივ ვხედავ, მთაწმინდის უბანში, კოტე მესხის №16-ში, ეზოს ჭიშკართან შეჩერებულ მამაკაცს:

„ძველი სახლის ნახვა მინდა,
გადავხვიე ხელი ფიქრებს,
ავუყევი აღმართს დინჯად,
ჩემს ბავშვობას მოვაკითხე...
ნაცნობები გამქრალიყვნენ,
პატარები გაზრდილიყვნენ,
ძველს არავინ თამაშობდა,
სხვა თამაშით გართულიყვნენ“...
„მერე დავდინჯდი, მოვედი გონზე,
მოგონებები მკრთალად მათოვდა...
წარმოვიდგინე სარეცხის თოკზე
ჩამოხრჩობილი ჩემი ბავშვობა“...

– რაოდენი ნოსტალგია და გულისწყვეტაა...

მის პოეზიაში ხომ სევდისა და გულწრფელობის სიყვარულიანი მისამართებია, რომელთაც ასეთი რუდუნებითა და ტკივილით, ხანაც სიხარულით იხსენებს; კაცი, რომლისთვისაც ჩვეულებრივი შეხვედრა იმდენად ძვირფასია, რომ ნატვრით ამბობს:

„...კვირაში ერთხელ მაინც შევხვდეთ
„ბირჟაზე“ ისევ,
თორემ მოწყენილ ბებერ ჭადრებს
ჩამოეძინათ...
თორემ ქალაქი გაცივდა და
ფერი ეცვალა!“

ქალაქი კი მისთვის განსხვავებული რანგის სიყვარული გახლდათ, გამორჩეული, სათაყვანო:

„თუ ქალაქელი ძილშიც არ ფიქრობს
მისი ქალაქი რისი ღირსია,
თუკი თბილისმა დაკარგა სითბო,
მაშინ თბილისი რა თბილისია!“
„როცა ჭაღარა შეგეპარებათ,
განისლდებიან წლები ანცობის,
როცა სიდინჯე შეგეპარებათ, –
როცა დაიწყებთ ტკბობას კაცობით...
თქვენაც ჩემსავით მოგენატრებათ
თქვენი ბავშვობის დედა-თბილისი!“
„გულწრფელად ვიტყვი, პასუხი კითხვის :
რატომ და რისთვის მიყვარს თბილისი,
ერთი მაქვს მარტო, ერთი მაქვს მარტო,
ძალზე უბრალო, ძალზე მარტივი: –
სიცოცხლე მიყვარს, ჰოდა – თბილისი,
ჩემი სიცოცხლის არის ნაწილი!“...

პოეტი დედულეთს – სიყვარულს თანაბრად უნაწილებს და საოცარი სინაზით ეფერება:

„წითელკიჭა ბრონეული,
ყვითელთავა ზაფრანა,
კბილებგაფშვნილ ნაქუჩალით
გავსებულა კალათა...
დღესაც თბილად მაგონდება
ძნელ-ჟამს ბოსტნის ბარაქა, –
ცივი მჭადი, ცოტა ყველიც,
პრასი – თავზე საყრელად...
ჩემო ტკბილო დედულეთო,
ჩემი ქვედა საქარა,
გული ისთე არსად ცელქობს,
ისთე, რავარც აქანა!“

„გული დღემდე თუ ვარგოობს,
სიყვარულით თუ აივსო,
თუ ვხარობ და ვხალისობ,
შენით, – ჩემო ქუთაისო!“

რამხელა ტკივილი და სინანულია წასული წლების არმობრუნების: – „დრო სწრაფად გარბის, ჭაღარა ბარდნის, გარბის და სასრულს უახლოვდება“... „ღრუბლებთან ერთად მიჰქონდა სადღაც ქარს სიჭაბუკის წლები და მიჰყვებოდა საოცარ დარდად გასაავდრებლად ცრემლი“...

იმის ფიქრიც ჰქონდა – როგორ, რანაირ კაცს დაუძახებდნენ, არადა ყველაფერი ისედაც ნათელი იყო... ამაზე პასუხს მისი გასხივოსნებული ანფასი თავად იძლეოდა: – „ასეთი ვარ, რაც ვარ ეს ვარ... მხრებში გამშლის სიამაყე, ოღონდ ნაღდი კაცი მერქვას“...

ერქვა, იყო... ამას ადასტურებდნენ უბნელები, სკოლელები, კურსელები, კოლეგები, ნაცნობები... მისი იმერლები – იმერეთი!..

ამას ადასტურებდა 19 თებერვლის დღეც...

დილიდან უჟმურად გათენდა; თოვლნარევ წვიმას მინებებოდა ქალაქი... გული მომეწურა – რა დროს ეს იყო?! – გავიფიქრე და ფანჯარას გულდაწყვეტილი მოვცილდი...

მერე საათი საათს მისდევდა... ვიმედოვნებდი, იმედი მქონდა... – მანაც არ დააყოვნა, დღის ორ საათზე ღრუბლები სადღაც გადაიკარგნენ, ცა გაიხსნა, გამოიდარა!

სამგლოვიარო ცერემონია დასასრულს მიუახლოვდა... მისთვის ჩვეული, მშვიდი ღიმილით ემშვიდობებოდა ბატონი თამაზი თავის სიყვარულებს – ნანას, ქეთის, შვილიშვილებს, ნათესავებს, მახლობლებს; მის საპატივსაცემოდ მოსულ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანს...

მოცარტის „რექვიემში“ ჩაძირულ, ვალმოხდილ პოეტს საყვარელი თბილისის მზე მიაცილებდა შეუცნობელ, ახალ სამზეოსკენ; რუსთაველზე უმწეოდ იშმუშნებოდნენ შეწუხებული ჭადრები... მთებზე თოვლი დამდნარიყო... შანდალი ნელ-ნელა ნთქავდა ცრემლჩამომდინარე სანთლებს...

პარადოქსებით სავსე ქალაქს კიდევ ერთი, საკუთარი მოლექსე და მომფერებელი დააკლდა!..

ლეილა ქიტოშვილი

ნინო ზედელაშვილი

მოგონებები გოდერძი ჩოხელზე

გოდერძი ჩოხელმა *უზარმაზარი ლიტერატურული და კინო შემოქმედება დაგვიტოვა. მე არც ფილოლოგი ვარ, არც კინომცოდნე, მაგრამ უფალმა წყალობა მიიღო ჩემზე, მისი ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო წლები მასთან და მის ოჯახთან ერთად გავატარე. გოდერძი ჩოხელი იშვიათი შემოქმედი და ჩვენი თანამედროვეობის უდიდესი ადამიანია. იშვიათად მინახავს მასავით უსაზღვრო სიყვარულის მქონე პიროვნება.*

ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში გამიჩნდა იდეა, ჩამეწერა იმ ადამიანთა მონათხრობი, ვინც მასთან მუშაობდა, ან უბრალოდ იცნობდა მას და შემექმნა მისი ბიოგრაფიული პორტრეტი, თუმცა გოდერძიმ, მ ისი თავმდაბლობიდან გამომდინარე, ამის უფლება არ მომცა.

გოდერძის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლის, ნინო მელაშვილის თხოვნით დავიწყე ჩანაწერების შეკრება. თავიდან ვწერდი ჩვეულებრივ, ყოფით ამბებს, სხვადასხვა ისტორიებს. მოგვიანებით ეს ჩანაწერები შევესო გოდერძისთან დაახლოებული ადამიანების ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი მოგონებებით. გასული წლის დეკემბერში, ერთ წვნიან შეკრული ეს მოგონებები, გამომცემლობა „საუნჯეს“ დახმარებით, წიგნად გამოიცა.

ალმოსავლეთის მთაში გამორჩეული, ღვთიური მადლით დაბადებულ ადამიანს ნაწილიანს ეძახიან. გოდერძი ნაწილიანი იყო და მასზე მოგონებების წიგნსაც სწორედ ასე ეწოდება.

„ნაწილიანი“ დიდი ინტერესით სარგებლობს გოდერძი ჩოხელის ცხოვრებისა და შემოქმედების დამფასებელთა შორის. წიგნის პირველი წარდგინება მოხდა სამების საკათედრო ტაძარში, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, ონის კულტურის ცენტრში, ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში, დუშეთის კულტურის ცენტრში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დაგეგმილია კიდევ არაერთი შეხვედრა.

საზოგადოების ამგვარი ინტერესი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მიმართ ერთხელ კიდევ დასტურებს, რომ გოდერძი მუდამ იქნება ქართველთა სულებში. იგი მოვიდა დასაბამიდან და თავისი სული ყოვლივით მოგვართვა მთელ კაცობრიობას.

გთავაზობთ გოდერძი ჩოხელზე რამდენიმე მოგონებას, რომლებიც პირველად „ანეულის“ ფურცლებზე ქვეყნდება.

ლუკას დიპლომი

2007 წლის ზაფხული იყო. ლუკა სადიპლომო თემაზე მუშაობდა. ორწლიანი სამაგისტროს საკმაოდ რთული კურსი დახურა და სადიპლომო თემის დიდი ნაწილიც დაამუშავა. ნინოც ეხმარებოდა. მასალის რაღაც ნაწილი რუსულად იყო. მე სწრაფად ვთარგმნიდი და ცოტა მივეხმარე ლუკას. ვკარნახობდი, ის წერდა (წერას ვერ ვიტან). მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად (ვერ სუნთქავდა, საშინლად გახდა), გოდერძი გვერდიდან არ გვშორდებოდა. ინტერესით გვისმენდა და შიგადაშიგ კომენტარებს და საკუთარ დასკვნებს ურთავდა, რა თქმა უნდა, ძალიან ჭკვიანურს. საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებში ისე კარგად ერკვეოდა, უცხოს პოლიტოლოგი ეგონებოდა. გოდერძი ამაყობდა, რომ ლუკა პრესტიჟულ მაგისტრატურას ამთავრებდა. შვილები მისთვის უზენაესი იყო.

ნიკას გადარჩენილი გოდერძი

მოსწავლისაგან რომ წამოვედი, გულმა რაღაც დარდიანად მომწიწკნა და პირდაპირ გოდერძისთან ჩავედი. კარი ნიკამ გამიღო, თვითონ იწვა.

— ნინო, კინაღამ მოვკვდი.

— რატომ, გენაცვალე!

— რა ვიცი აბა, ხელ-ფეხი ჯერ გამიცხელდა, მერე ისე გამეყინა, მეგონა ვკვდებოდი, დავწექი, მაგრამ ვერ გავთბი, კიდევ კარგი, ნიკუშა მოვიდა, მასაჟი გამიკეთა, თავისი ხელებით გამითბო გაყინული ტერფები, ეტყობა სისხლი ამოძრავდა და გავთბი. ნიკა რომ არ ყოფილიყო, მოვკვდებოდი.

— მოგიკვდეს ჩემი თავი!

გოდერძი იღიმებოდა, ნიკუშას ხელების სითბომ ძალა დაუბრუნა. მის სიყვარულს შვილების მიმართ საზღვარი არ ჰქონდა.

ხინკლებისა და ყარაულობის ამბავი

ნინომ დამირეკა მეზობლისგან და მთხოვა, ცოტა ხნით გოდერძისთან დავრჩენილიყავი. იმ პერიოდში დეპრესია გაუძლიერდა და ხშირად იწვა, ასე უფრო დაცულად გრძნობდა თავს. ფანჯარასთან მისვლის ეშინოდა, რომ იმ მეორე „მე“-ს ხელი არ ეკრა და მერვე სართულიდან არ გადაეგდო.

ნინოს დედის — ნათელა დეიდას დაბადების დღე იყო. ნინო ვერც გოდერძის ტოვებდა, და დედისთვისაც უნდოდა ესიამოვნებინა. უარს როგორ ვეტყოდი. სასწრაფოდ ხინკლები მოვახვიე და ხუთი საათისათვის, როგორც ნინომ მთხოვა, ჩავედი. ქვაბით ცხელ-ცხელი ხინკლები მივიტანე, გოდერძი არ უნდა მიმხვდარიყო, სადარაჯოდ რომ მივედი. ხინკლების დანახვაზე საწოლზე წამოჯდა და გახარებულმა მითხრა: უჰ, პირდაპირ ჩემს გულში იჯექი, თუ რა იყო. გუშინ მთელი დღე თავის მოკვლაზე ვფიქრობდი, თან შუალედებში ხინკალი მენატრებოდაო. მეც გამიხარდა, ჩემდაუნებურად, სურვილი რომ შევუსრულე.

უცებ მკითხა:

— მაგ ხინკლებში ღორის ხორცი ხომ არ ურევია?

— კი, ცოტა.

— ეჰ, ვერ შევჭამ.

გავშრი.

— რატომ?

— რომ შევჭამო, ნაღველა ამტკივდება.

ეტყობა ისე წამიხდა ხასიათი, რომ ხვეწნა დამიწყო:

— შენ ჭამე და გამიხარდებაო.

ნინო წავიდა დედასთან, მე დავამშვიდე, არ იჩქარო, ვილაპარაკებთ და გაერთობა-მეთქი.

ერთი ხინკალი შევჭამე გოდერძის ხათრით. ველაპარაკე ჩემს კახელ მეზობლებზე, რაჭველებზე, ჩემს ახალგაზრდობაზე, რა ვიცი, რაც გამახსენდა, ყველაფერზე ვეჭიკჭიკე. ინტერესით მისმენდა. მერე მთხოვა, მე თვალებს დავხუჭავ და შენი ლექსები წამიკითხე, ოღონდ არ გეგონოს, რომ არ გისმენო. ზეპირად, რაც მახსოვდა, ყველაფერი ვუთხარი. დრო და დრო თვალებს ახელდა და მიყურებდა. მერე მითხრა: ძალიან ნიჭიერი ხარ და კარგად კითხულობო.

— კარგი რა, გოდერძი, დამცინი?! ნამუსი რომ მქონდეს, შენი თანდასწრებით ხმას არ უნდა ვიღებდე. შენ გამათამამე.

— არა, მე ტყუილი არ შემიძლია, ასე რომ არ იყოს, არაფერსაც არ გეტყოდი.

ენა ჩამივარდა.

მერე დაიწყო, რაც დაიწყო. გოდერძი საწოლზე წამოჯდა და ვაჟას ლექსების კითხვა დაიწყო. გაოგნებული ვუსმენდი, ვაჟას უამრავი ლექსი სცოდნია ზეპირად. კითხულობდა მშვიდი, წყნარი ხმით, საოცარი მუსიკალობით, თან „შუალედებში“ კომენტარებს აკეთებდა.

ტელეფონმა დარეკა. ზაზა კოლელიშვილი იყო და გოდერძისთან დალაპარაკება ითხოვა, წამოდგა და კარგა ხანს ესაუბრა. რაღაც სცენარზე ლაპარაკობდნენ, გოდერძი ეუბნებოდა: მთავარ როლში გივი გადაიღე, გივი თბილიაო (გივი ბერიკაშვილი), ცდოში გადაიღე, კარგი ადგილებიაო... გაოცებული მივჩერებოდი, ეს ავადმყოფი, დასუსტებული კაცი, ერთი საათის წინ სიკვდილზე რომ მელაპარაკებოდა, უცებ სიცოცხლით და ენერგიით

აღვსებულიყო, საქმიან კაცად ქცეულიყო და გაცხოველებით ლაპარაკობდა, რაღაცას ურჩევდა, იცინოდა... და მივხვდი...

გოდერძი იმ წუთში გადასაღებ მოედანზე იდგა...

კინო მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო.

ცოტა ხანში ლელა ჯიყაშვილმა დარეკა, გოდერძი ესაუბრა, უთხრა, ჩემთან ნინო არის, ზედელაშვილიო. უცებ გაჩერდა (ჩვეულებრივზე დიდხანს გავჩერდი მასთან), შემომხედა და ლელას უთხრა:

უი, ახლა მივხვდი, მგონი, მე მყარაულობს.

ბევრი იცინა.

10 საათზე წამოვედი სახლში. ნინოც მალე მოვიდა. დათოს (ჩემს მეუღლეს) ვუამბე თავის მოკვლაზე ფიქრისა და ხინკლების ამბავი. დათოს გაუკვირდა: შე კაცო, თავის მოკვლა თუ უნდა, დანით სიკვდილს ხინკლით სიკვდილი არ სჯობიაო.

კარგა ხნის მერე ლია დარახველიძეს ვუამბე ეს ამბავი, გოდერძის თანდასწრებით. გოდერძიმ იმდენი იცინა, კინაღამ სკამიდან გადმოვარდა, თან იძახდა: დათოსაც კარგად უთქვამსო.

P.S. ზაზა კოლელიშვილმა სთხოვა, „ვარდისფერი კაცი“ გადამაღებინეო.

ვერ გაიმეტა...

„ვარდისფერი კაცის“ გადაღება გოდერძისათვის აუსრულებელ ოცნებად დარჩა.

ჩამუქებული თვალები

2004 წლის გაზაფხული იყო. გაზაფხულის ბოლოს თითქოს უძლიერდებოდა დეპრესია. გაღიზიანებული იყო, ადგილს ვერ პოულობდა, ნინოს ეშინოდა, საკუთარი თავისთვის რამე არ აეტეხა და გოდერძის ვერ ტოვებდა. მე რომ მივედი, გოდერძი სავარძელში იჯდა, ნერვიულობდა: „მეტი აღარ შემიძლია, თავი უნდა მოვიკლა. თან მეშინია, პირველად რომ მოვიკალი თავი და ვერ მოვკვდი, ახლაც ისე არ დამემართოს“. საერთოდ, გოდერძის ცისფერი, რაღაცნაირად ჭრელი თვალები ჰქონდა. იმ წუთში კი, რომ შევხედე, გული გამისკდა – თვალები ჩამუქებოდა, მწვანედ უელავდა და სადღაც შორიდან იყურებოდნენ თითქოს.

ისე შემეშინდა, მუხლებზე დავეცი და ტირილი დავიწყე, ხელებზე ვეფერებოდი და ვეხვეწებოდი, ეს აზრი გადაეფიქრებინა. ხელი წამართვა, თავზე მაკოცა და მითხრა: „ნუ ტირი, ეს გარდაუვალია, მე ამდენის ატანა აღარ შემიძლია. ჩემს შიგნით ორი გოდერძია: ერთს უნდა ძველებურად კარგად იყოს, მეორე კი ეუბნება: „მიდი, გააკეთეო“.

თავზარი დამეცა. ნინო შეწუხებული უცქეროდა მეუღლის ტანჯვას, არ იცოდა, როგორ ეშველა. ასეთი ტექსტი შემდეგშიც მოვისმინე გოდერძისგან და ძალიან მეშინოდა იმ „ცუდ“ გოდერძის არ ეჯობნა. მისი ნათქვამი მამაჩემს მახსენებდა, რომელმაც, დეპრესიაში მყოფმა, საკუთარ ეზოში ჩამოიხრჩო თავი.

ამიტომ იყო, როგორც კი ტელეფონით მის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკს გავიგონებდი, ყველა საქმეს ვტოვებდი და კისრისტეხით გავრბოდი მასთან (რამდენჯერ ოთახის ჩუსტებითაც წავსულვარ). ბევრჯერ სისულელეებიც მილაპარაკია, რომ ყურადღება გადმოეტანა სხვა რამეზე.

წლები გავიდა, მე კი ის ჩამუქებული თვალები არ მავიწყდება, ის გოდერძი არ მიყურებდა, რომელსაც მე ვიცნობდი.

ჟურნალი „ანეული“ იწყებს სააღდგომო და საშობაო ლექსების შეგროვებას ,რომელიც გამოიცემა სასაჩუქრე კრებულის სახით.

ლექსები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ჟურნალის რედაქციაში.

ან გადმოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: aneuli@mail.ru



„ყვავილები“ „პეიზაჟი“

ავტორი: ლიზი ბუდაღაშვილი

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები: თამარ ლომიძე, ჯუბა ღებელი, თამარ ფარჩუკიძე, ნანული ბუკია, ქეთევან გაბრუაშვილი, ჯუმბერ ჯიშკარიანი, თამარ მიქაძე, ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:

ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;

ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

ჯუბა დეგელის ახალი ლექსი

თამილა ჯაფარიძის პოეზია

თამაზ ხმალაძე –
„ალსარეგა“

რეჟისორის არქივიდან –
მამია ვარშანიძის
ახალი ლექსი

ზაალ ქიქოძის გახსენება

სამშობლოს მოწყვეტილი
მამულიშვილები –
ნინო ყიფიანი

თამარ შაიშმელაშვილის პოეზია

ახალი თარგმანი –
ფრანც კაფკას
„ჰიბრიდი“

კონსტანტინე კაპანელი –
„ქართული ტიპი“
(დასაწყისი)

მოგონებები გოდერძი ჩოხელზე

ახალი — გახავხულის ხმული